ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თსუ-ის უნივერსიტეტი

18 დეკემბერი, პარასკევი, 2015 წ., №16-17

ნომერში

■ ვინ გახდება თსუ-ის ახალი კანცლერი? — კანცლეროობის კანდიდატებთან საქმიანი საუბრები

გვ. 2, 4-7

■ უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები ახალი წლიდან ანაზღაურებას მიიღებენ

გვ. 8

■ დავით ჩომახიძე კვლავ თავისუფალ პროფესიას უბრუნდება

გვ. 9

■ საუნივერსიტეტო საზოგადოების წინასაახალწლო გამოკითხვა

რა მიგაჩნიათ წლის მოვლენად უნივერსიტეტში?

რა სურვილებს ჩაუთქვამთ საახალწლოდ?

ვინ არის წლის პერსონა?

გვ. 11-13

■ წლის ადამიანები გაზეთის რედაქციისთვის

გვ. 13-14

■ დასრულდა თუ არა აქიოტაქი ჟურნალისტიკის მიმართულების ახალი ხელმძღვანელის არჩევის გამო?

გვ. 15-17

სტუდ-ექიპი

22-23 გვ.

გილოცავთ ახალ 2016 წელს!

ჩვენ, ყველა, ახალი წლის მოლოდინში ვართ... ყველა სტუდენტს, ყველა პროფესორს, ყველა თანამშრომელს ვულოცავ ახალ წელიწადს! ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს! დაე, 2016 წელი ყოფილიყოს უკეთესი, ვიდრე იყო 2015 წელი. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ქვეყანაც, უნივერსიტეტიც დგას აღმავლობის გზაზე — ეს, შეიძლება, დროის მოკლე მონაკვეთში ძნელი დასანახი იყოს, მაგრამ, მჯერა, რომ ყოველ გამოცდას გაუძლებს როგორც ჩვენი ქვეყანა, ასევე ჩვენი უნივერსიტეტი. იმედია, შევინარჩუნებთ იმ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა შორეულ 1918 წელს, როდესაც უნივერსიტეტის დიდი დამფუძნებლები ქმნიდნენ კავკასიაში პირველ უნივერსიტეტს.

ლადო პაპავა,
თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი

ჯილდო ღიაობისა და გამჭვირვალობისთვის

2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა გაუმჭვირვალობის სერტიფიკატი, რომელზეც ასახული იყო დიდი შავი ბოქლომი. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნივერსიტეტი ყველა დაინტერესებული გარე პირისთვის დახურული იყო და ნაკლებად თუ ვინმეს შეეძლო შიდა ინფორმაციაზე წვდომა ჰქონოდა. ამ ფაქტს მაშინვე რეაქცია მისცა უნივერსიტეტში ახლად დანიშნულმა რექტორმა ლადო პაპავამ, რომელმაც ბოქლომის ახსნა და უნივერსიტეტის ფარგლებში ნებისმიერი ინფორმაციის გამჭვირვალობის ამოცანა დაისახა მიზნად. სწორედ ამ რეაქციას და მის ინიციატივებს 2 წლის თავზე მოჰყვა ის შედეგი, რაც ახლა დადგა.

ამა წლის 11 დეკემბერს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა 2010-2015 წლებში საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია. ღონისძიებაზე გამოვლინდა ყველაზე გამჭვირვალე და დახურული საჯარო დაწესებულებები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა სპეციალური ჯილდო: „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“.

მე-3 გვერდზე

ვინ გახდება თსუ-ის ახალი კანცლერი?

ვინ შეცვლის თსუ-ის კანცლერს დავით ჩომახიძეს, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ეწურება? — საუნივერსიტეტო საზოგადოება, ცოტა არ იყოს, ღელავს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის შემდეგ, დიდი უფლებები და გავლენა აქვს.

ამა წლის 11 დეკემბერს ამოიწურა ვადა კანცლერობის კანდიდატების მხრიდან კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის, მათ შორის, სამოქმედო გეგმების წარდგენისა. გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად 6 კანდიდატი იბრძოლებს, ესენი არიან: კახაბერ ჭეიშვილი, იოსებ არჩვაძე, ნაირა ალავერდაშვილი, თამარ კაპანაძე, ალექსანდრე ჩხიტაური და გიორგი გაფრინდაშვილი. როგორც რექტორის დადგენილებითაა გათვალისწინებული, აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტთა შეფასება განხორციელდება 2 ეტაპად: წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება უნდა მოხდეს ამა წლის 21 დეკემბრიდან არა უგვიანეს 30 დეკემბრისა, ხოლო პრეტენდენტებთან გასაუბრება — 2016 წლის 14 იანვრიდან არა უგვიანეს 28 იანვრისა. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 5 თებერვალი. ახალი კანცლერი, როგორც წესდებაშია აღნიშნული, სენატმა უნდა დაამტკიცოს.

გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი" წარმოგიდგენთ კანცლერობის კანდიდატებს და მათი სამოქმედო გეგმების პრიორიტეტებს. ჩვენთან ინტერვიუზე უარი მხოლოდ ქალბატონმა თამარ კაპანაძემ განაცხადა, რომელმაც უარის მიზეზი ასე განმარტა: ,,არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია აკადემიურ საბჭოსთან შეხვედრამდე ვისაუბრო თქვენთან ჩემს კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაზე. შემდგომში მზად ვარ აქტიური თანამშრომლობისთვის". ასე რომ, მის გარდა, საუნივერსიტეტო პრესასთან ანგარიშვალდებულება ყველამ გაითავისა და დაგვეთანხმა გასაუბრებაზე, რაც ერთგვარი დასკვნების გამოტანის საშუალებას წინასწარვე იძლევა თითოეული კანდიდატის პოტენციალის განსაზღვრისთვის.

თსუ-ის 100 წლისთავი ერთგვარი წყალგამყოფი იქნება „ახალი საუნივერსიტეტო ეპოქის" დასაწყებად

ინტერვიუ კანცლერობის კანდიდატთან, თსუ-ის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორთან, ფილოლოგიის დოქტორთან, **კახაბერ ჭეიშვილთან**:

— თქვენ დააყენეთ თქვენი კანდიდატურა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. რა პროგრამით მოდიხართ უნივერსიტეტში და რა პრიორიტეტებს გამოყოფთ?

— უნივერსიტეტში წლების მანძილზე, სამწუხაროდ, ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომელთა დიდი ნაწილი შესწავლილი და გაანალიზებული მაქვს. როგორც რიგითი უნივერსიტეტელი, ჩემს კოლეგებთან ერთად, დიდი ხანია მათი გადაწყვეტის გზებსაც ვსახავდი. ამასობაში მოვიდა დრო, როცა გამოცხადდა კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად, რაც, გამარჯვების შემთხვევაში, იძლევა იმ ხედვისა და გეგმების განხორციელების საშუალებას, რომელიც სრულ თანხვედრაშია XIX საუკუნის ქართველ განმანათლებელთა, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა და მრავალი თაობის უნივერსიტეტელთა მიზნებთან, იმედებსა და რწმენასთან — უნივერსიტეტის უმაღლესი ამოცანაა მეცნიერების ღრმად დაუფლების, სწავლისა და კვლევის პროცესის ორგანულად ურთიერთშერწყმის საფუძველზე, პიროვნების მსოფლმხედველობრივი, მორალური, მოქალაქეობრივი და პროფესიონალური ჩამოყალიბება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების 4-წლიანი ვადის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის კონცეპტუალური მთლიანობის მიუხედავად, მოცემული რეალობის გათვალისწინებით, ის ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: „2+2". აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ 2018 წლის თებერვალში, ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის არჩევიდან 2 წლის თავზე, თსუ-ს უსრულდება საიუბილეო 100 წელი. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი რესურსი და

მე-4 გვერდზე

მნიშვნელოვნად მესახება უნივერსიტეტისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭების საკითხზე ზრუნვა

ინტერვიუ კანცლერობის კანდიდატთან, ეკონომიკის დოქტორთან, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორთან, **იოსებ არჩვაძესთან**:

— რა მოტივით შემოიტანეთ განცხადება ვაკანტურ ადგილზე. რა მიზნები და რა პროგრამა გაქვთ?

— უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ და უნივერსიტეტის პრესტიჟი, მისი მდგომარეობა, მისდამი საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულება ჩემთვის ნამდვილად არ არის სულერთი.

ეკონომიკის ფაკულტეტის გარდა დამთავრებული მაქვს უნივერსიტეტის მეორადი — ხელოვნების საზოგადოებრივი პროფესიის ფაკულტეტიც საერთაშორისო მიმომხილველის საზოგადოებრივი სპეციალობით. ჩემს ჯგუფში სწავლობდნენ ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ დავითაშვილი, დავით აქუბარდია, დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი თემურ ქორიძე და სხვები, რომლებთანაც დღემდე ვინარჩუნებ მეგობრულ ურთიერთობებს.

ზოგადად ვიტყვი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და საერთაშორისო რენომეზე ზრუნვა, მისი რეპუტაციის გაფრთხილება საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობაა, მიუხედავად იმისა, უსწავლიათ თუ არა აქ.

— პროგრამა თუ გაქვთ?

— პროგრამა კონცეფცია-სამოქმედო გეგმის სახით გადავეცი საკონკურსო კომისიას და ვფიქრობ, მისი განხილვის შემდეგ, თუ მხარდაჭერა იქნება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისგან, მისი რეალიზაციით შესაძლებელი იქნება არსებითად უფრო მეტის გაკეთება უნივერსიტეტისათვის.

— პირველ რიგში, თქვენი აზრით, რა ცვლილებების გატარებაა საჭირო უნივერსიტეტში?

მე-5 გვერდზე

სტუდენტსა და პროფესორზე ორიენტირებული ადმინისტრირება

ინტერვიუ კანცლერობის კანდიდატთან, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწესთან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთან, **გიორგი გაფრინდაშვილთან**:

— რა პროგრამით მოდიხართ უნივერსიტეტში? გთხოვთ, გამოყოთ მთავარი პრიორიტეტები, რომელსაც კანცლერის პოსტზე არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში განახორციელებთ...

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მისიით, სტრუქტურით, საბაზო პრინციპებით, ფასეულობებითა და პრიორიტეტებით კლასიკური უნივერსიტეტია. არსებული ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების შენარჩუნება და მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო რეფორმების გატარება საუნივერსიტეტო სტრუქტურების ეფექტიან ადმინისტრირებას საჭიროებს. უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიზნების (სწავლის, სწავლების, კვლევის ხელშეწყობა, ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიანი გამოყენება) განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბიუჯეტის სწორი დაგეგმვა და მისი შემდგომი ხარჯვითი პროცესი. ამასთან, აუცილებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა და მათი პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების განაწილებაზე და შემდგომ მისი ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობასა და კონტროლზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიმდინარე ადმინისტრაციული დანახარჯები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 40 %-ს (ადმინისტრაციული და დამხმარე პერ-

მე-5 გვერდზე

ვთავაზობ რექტორს მჭიდრო თანამშრომლობას ქართული უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის მოპოვების რთულ გზაზე

ინტერვიუ კანცლერობის კანდიდატთან, თსუ-ის კურსდამთავრებულთან, **ნაირა ალავერდაშვილთან**:

— რა პროგრამით მოდიხართ უნივერსიტეტში? გთხოვთ, გამოყოთ მთავარი პრიორიტეტები, რომელსაც კანცლერის პოსტზე არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში განახორციელებთ...

— თითქმის საუკუნეა, რაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეამ გაიმარჯვა დიდი ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით. მას შემდეგ არ განელებულა ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი დედა უნივერსიტეტისა და იქ მიმდინარე პროცესების მიმართ.

საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ გამოცხადდა კონკურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობაზე. მე კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე ვარ. მინდა დავადასტურო სხვა კონკურსანტებისადმი ჩემი პატივისცემა. მინდა მჯეროდეს, რომ თითოეულ მათგანს იმდენად უყვარს უნივერსიტეტი, რომ საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენებს მის ინტერესებს და კეთილსინდისიერად იმუშავებს.

უნივერსიტეტის ავტონომიურობა და ავტონომიურობა უნივერსიტეტში — ეს დღევანდელი ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა გახდეს საერთაშორისო სტანდარტების ეროვნული მოდელის უნივერსიტეტი, თავისი მაღალ მეცნიერული და მაღალ ზნეობრივი ავტორიტეტებით, რომლებიც განათლებულ და ღირსეულ მოქალაქეებს აღუზრდიან საქართველოს. იგი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო საგან-

მე-6 გვერდზე

თსუ-ს ღირსეული და შრომითი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს განვითარებაში დავეხმარები

ინტერვიუ კანცლერობის კანდიდატთან, სამართლის დოქტორთან, **ალექსანდრე ჩხიტაურთან**:

— რა პროგრამით მოდიხართ უნივერსიტეტში? გთხოვთ გამოყოთ მთავარი პრიორიტეტები, რომელსაც კანცლერის პოსტზე არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში განახორციელებთ...

— უპირველეს ყოვლისა მოგესალმებით გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის" რედაქციას და მადლობას მოგახსენებთ, რომ საშუალება მეძლევა — ღიად დავაფიქსირო ჩემი მოსაზრება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით, როგორც ერთ-ერთმა კონკურსში მონაწილე პრეტენდენტმა. მივესალმები მთელს საუნივერსიტეტო საზოგადოებას, აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ჩვენს სტუდენტობას და, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს და, მათ მხარდამჭერებს, ვუსურვებ წარმატებებს და, იმედს გამოვთქვამ, რომ მიმდინარე კონკურსი ჩაივლის მშვიდ და სამართლიან გარემოში, ყოველგვარი ზედმეტი ექსცესების და დაძაბულობის გარეშე, სუფთა და გამჭვირვალე თამაშის წესების დაცვით. ვინაიდან ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, იგი ხდება არა მხოლოდ კონკრეტულად მისი მხარდამჭერების ხელმძღვანელი ან მხოლოდ მათი ნება-სურვილების აღმსრულებელი პირი, არამედ მთლიანად მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების დამცველი და ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკის აღმსრულებელი და გამტარებელი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი და ეს გარემოება არც ერთ მონაწილე კანდიდატს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან. იმედი მაქვს, რომ თუ წლების წინ რაიმე სახით არსებობდა კლანურობის მავნე პრაქტიკა საუნივერსიტეტო სივრცეში, მომავალში, ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, მსგავს მავნე პრეცედენტებს ადგილი აღარ ექნება და მომავალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობა დაფუძნებული იქნება

მე-7 გვერდზე

რექტორის ჩანაფიქრები ახალი 2016 წლისთვის

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან, აკადემიკოს ლადო პაპავასთან

წლის შეფასებები და ახალი მოლოდინები

— რას ჩათვლით 2015 წლის მოვლენად უნივერსიტეტში?

— ჩემი აზრით, უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სტუდენტების მონაწილეობით პირველად ამოქმედდა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 220 სტუდენტი ჩაება საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 525 000 ლარის გამოყენებით, რაც, პრაქტიკულად, პირველი შემთხვევაა უნივერსიტეტში. ეს იგივეა, რაც საგრანტო პროექტი. ამ პროექტს მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებთ და სტუდენტთა მონაწილეობის ფორმებსა თუ მასთან დაკავშირებულ პროცესს დავხვეწთ, თუკი ამ წელს რაიმე ხარვეზი გამოიკვეთა.

— ძალიან კარგი ფაქტია, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ გიწვევთ 2010-2015 წლებში საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციაზე, სადაც თსუ-ს გადაეცემა სპეციალური ჯილდო „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით ადრე უნივერსიტეტი ბოლო ადგილზე იყო. რა შეიცვალა ამ უმოკლეს პერიოდში?

— ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იმ დღიდან, რაც პატივი მერგო და ამირჩიეს უნივერსიტეტის რექტორად, რადგან ჩემი პოსტზე არჩევიდან 2 კვირის თავზე უნივერსიტეტმა მიიღო სერტიფიკატი, რომელსაც ეხატა დიდი შავი ბოქლომი იმის დასტურად, რომ თსუ ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით ბოლო ადგილზე იყო, ანუ ჩვენ დავსახელდით ყველაზე გაუმჭვირვალე ორგანიზაციად. ერთი წლის თავზე უნივერსიტეტმა სერიოზული პროგრესი განიცადა და ,,გამჭვირვალობის რეიტინგში" ვიყავით მესამე 89%-ით. შემდეგ უკვე ამოცანად დავისახეთ პირველობა, რადგან არ შეიძლება ასეთი ისტორიისა და მასშტაბების მქონე პირველი ქართული უნივერსიტეტი 100%-ით არ ყოფილიყო ,,გამჭვირვალე". ჩვენთვის მთავარი არის არა ის, რომ ვიყოთ პირველები, არამედ მთავარია, რომ უნივერსიტეტი იყოს 100%-იანი საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ამ უმაღლეს პროცენტს, წელს, უკვე ადმინისტრაციის სრული მობილიზებით მივაღწიეთ. თურმე შესაძლებელი ყოფილა ამის მიღწევა და, ბუნებრივია, რომ ეს სტანდარტი უნივერსიტეტში უნდა დავამკვიდროთ, რათა ყოველწლიურად ვიყოთ 100%-იანად გამჭვირვალე. ეს არის ჩემი, როგორც რექტორის, ამოცანა და მიხარია, რომ ამას სრულიად იზიარებს ადმინისტრაციაც.

— თქვენ თავს არიდებთ ხოლმე პასუხს, მაგრამ ეგებ მაინც დაგვისახელოთ, ვინ მიგაჩნიათ წლის პერსონად უნივერსიტეტში?

— წლის პერსონად ბევრი გამორჩეული ადამიანი შეიძლება დასახელდეს, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელი, ასევე, ახალგაზრდები, სტუდენტები... მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი საკმაოდ წარმატებით მუშაობს. ამ ფორუმმა არა ერთი წარჩინებული გამოავლინა და ისინი საკმაოდ პერსპექტიულები არიან. წელს პირველად მივიღეთ პოსტდოქტორანტურაში ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთაც დისერტაციები ახლახან დაიცვეს. წელს ისევ გვაქვს მიღება და 2016 წლის დასაწყისში უკვე ახალი 7 პოსტდოქტორანტი გვეყოლება. ყველანი ესენი განა წლის პერსონები არ არიან? მიუხედავად ამისა, 2015 წლის ყველაზე გამორჩეულ უნივერსიტეტელად, ჩემი აზრით, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი უნდა ჩაითვალოს უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენისთვის!

ჩემთვის მთავარია, რომ უნივერსიტეტი სწორ გზაზე დგას და ეს რომ ასეა, დადასტურდა რეიტინგებითაც. საერთოდ ყველა რეიტინგი პირობითია და მის მიმართ ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი და ვარ განწყობილი, მაგრამ როცა საუნივერსიტეტო სივრცეში ხარ, ბუნებრივია, რეიტინგების ის სისტემაც უნდა გაიზიარო, რასაც მთელი მსოფლიო იყენებს საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

WEBOMETRICS-ის რანჟირებით თსუ შედის მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტთა 5%-ში, ანუ ფანტასტიური ნახტომი გავაკეთეთ. თუ მარტში 2006-ე ვიყავით მსოფლიოში, ახლა ვართ 830-ე — ეს არის ძალიან სერიოზული წინსვლა. გარდა ამისა, აკადემიურ რეიტინგებში მსოფლიოში ვართ 985-ე ისევ 1000-ში. პირველად გამოჩნდა ჩვენი უნივერსიტეტი ტომსონის რეიტინგშიც. ისინი, როგორც წესი, ძალიან მოკლე სიას აქვეყნებენ და, მართალია, 750 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის არ მოვხვდით, მაგრამ ტომსონმა, გარდა ამ 750 უნივერსიტეტის რეიტინგისა, გამოაქვეყნა, აგრეთვე, დარგობრივი რეიტინგებიც. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ფიზიკაში ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო დონე მსოფლიოს 248 საუკეთესო უნივერსიტეტში არის 187-ე, ანუ ესეც უნივერსიტეტის წარმატების მახასიათებელია, თუმცა ეს არ არის გრანდიოზული გამარჯვება, რომ ამით ჩვენ ვიამაყოთ. უბრალოდ, ამას იმ ნიშნით ვაფასებ, რომ უნივერსიტეტი, ამ თვალსაზრისით, სწორ გზაზე დგას.

— რა გაკეთდა და რა ვერ გაკეთდა ამ წელს, რა პროგრამაც თქვენ გქონდათ?

— მთელი ჩემი რექტორობის მანძილზე მთავარ მიზნად მივიჩნევ უნივერსიტეტის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მიღწევას. ამ კუთხით, სამწუხაროდ, ვერც 2015 წელს მივაღწიე წარმატებას – ვერ მოვახერხე, რომ საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემაში გაჩენილიყო პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება. რექტორი ვიქნები თუ არა, ამ პრობლემას მუდამ შევეხები, რადგან არ შეიძლება — უნივერსიტეტები მხოლოდ სტუდენტებზე მიბმული ფულით არსებობდნენ. ეს არის მცდარი მოდელი. და კიდევ, მე მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტზე კი არ მაქვს საუბარი, არამედ, ზოგადად, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე.

— თქვენი მხრიდან ამ საკითხზე პრინციპულობამ მთავრობაში განაწყენებული ხალხი ხომ არ შეგძინათ?

— რა თქმა უნდა, არის პოლიტიკოსთა ჯგუფი, ვისაც ეს არ მოწონს. ეს მათი პრობლემაა — ვიღაც მოწონდეთ, ვიღაც არა, ისევე, როგორც ჩემი პრეროგატივაც არის — ვიღაც მომწონდეს და ვიღაც არა, თუმცა, ამ მოცემულობის ფონზე, ჩემს შეხედულებებს, პოზიციას ვერ ვუღალატებ. დარწმუნებული ვარ, რომ, ადრე თუ გვიან, ქვეყანა მივა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ უნივერსიტეტებს საბაზისო დაფინანსება გამოუყოს და, ალბათ, ჩვენს სახელმწიფოს ოდესმე ის პოლიტიკური ელიტაც ეყოლება, რომელიც მიხვდება, რომ ეს გასაკეთებელია.

— წელს ყველაზე მასშტაბური საპროტესტო აქცია სტუდენტურმა თვითმმართველობამ მოაწყო. თემები, რომლებიც მათ წამოწიეს, ყველასთვის ნაცნობია, რადგან წლების მანძილზე ამავე საკითხებს სხვა სტუდენტური ჯგუფებიც სვამდნენ აქციებზე. მათი მოთხოვნები რამდენად გაითვალისწინა უნივერსიტეტმა?

— ნუ ვიტყვით, რომ აკადემიური რეგისტრაციის პრობლემაზე მუშაობა ახლა უნდა დავიწყოთ. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ 2014-2015 სასწავლო წელი დავიწყეთ ყოველგვარი აქციების გარეშე. საგაზაფხულო სემესტრებიც ისე დაიწყო მაშინ, რომ ფაკულტეტები ახერხებდნენ აკადემიური რეგისტრაციის უხმაუროდ გავლას. ჩვენ IT დეპარტამენტის ტექნიკური გადაიარაღება მოვახერხეთ, მაგრამ ახლა ისევ იჩინა პრობლემებმა თავი. ამიტომ უნდა გავმიჯნოთ — რა არის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია IT ტექნოლოგიებთან და რა არის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ფაკულტეტის ხელმძღვანელობის ცუდ მუშაობასთან. ვფიქრობ, ამჟამად რა პრობლემაც იყო, ეს უფრო ცალკეული ფაკულტეტების გაუმართავი მუშაობის შედეგი გახლდათ. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს უკვე მუშაობა.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების თარგმნას, გეტყვით იმას, რომ დიდ შეცდომად მიმაჩნია ჩვენი კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ჩვენი არჩეული კურსი არ არის სწორი; რომ სახელმძღვანელოები კი არ უნდა ითარგმნებოდეს, არამედ უკეთესად ვასწავლოთ ინგლისური. ინგლისური, რა თქმა უნდა, უკეთესად უნდა ვასწავლოთ, ეს უალტერნატივოა, მაგრამ თუ წავიკითხავთ საქართველოს კონსტიტუციას, კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“ და კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, ეჭვი აღარ შეგვეპარება იმაში, რომ ქართულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტები უნდა უზრუნველვყოთ ძირითადად ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოებით. ჩვენი ორიენტაცია ასეთია — ყველა სახელმძღვანელოს ვერ ვთარგმნით, მაგრამ უნდა ითარგმნოს წამყვანი, ბაზური სახელმძღვანელოები, რომლის ანალოგები საქართველოში, მიზეზთა გამო, უბრალოდ, არ გვაქვს. რაც რექტორი ვარ, უკვე 8 სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. აქედან ერთი სახელმძღვანელოა მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში, რადგან სწორედ ასეთი ტიპის უფლება შეიძინა უნივერსიტეტმა და 7 კი ბეჭდური სახით არის გამოსული. ეს ცოტაა, მაგრამ ამ 8 სახელმძღვანელოს თარგმნის კუთხით, აშკარა ლიდერად გამოიკვეთა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რადგან ამ 8-იდან 5 მათი მომზადებულია. სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ზოგიერთი ფაკულტეტი მოიკოჭლებს. ჩვენ შევქმენით ყველა შესაძლებლობა — რომელი სახელმძღვანელოებიც შეარჩიეს ფაკულტეტებმა, ყველას თარგმნის უფლება ვიყიდეთ; ყველა ფაკულტეტს გამოვუყავით თანხები... იყო შემთხვევები, როდესაც, ზოგან, ეს თანხები გაიფლანგა. მივიღეთ ზომები, რომ გამოსწორდეს სიტუაცია. არავის მივცემთ უფლებას, რომ ეს პროგრამა ჩაშალოს. ვიმედოვნებ, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს სხვა ფაკულტეტებიც აუბამენ მხარს.

— რას ჩაუთქვამთ ახალ 2016 წელს?

— 2016 წელი ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგანაც ეს არის საიუბილეო წელი — ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან სრულდება 140 წელი, ამიტომ სენატზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ეს წელი გამოვაცხადოთ ჯავახიშვილის წლად. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი ღონისძიებები და, ტრადიციულად, რადგან უკვე მე-3 წელია, ჩავატარებთ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პროფესორები და სტუდენტები; გაიცემა ჯავახიშვილის საერთაშორისო პრემია ქართველოლოგიაში; ასევე, გვექნება სხვა ღონისძიებებიც, კონფერენციები, შესაბამისად, მიძღვნილი ჯავახიშვილისადმი და ეს აქტიურობა გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

და კიდევ, შემდეგი წელი ქვეყნისთვის არის პოლიტიკური არჩევნების წელი და დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი პოლიტიკოსი არ მოინდომებს უნივერსიტეტი ჩააბას პოლიტიკურ თამაშებში. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტის ჯანსაღ ძალებს — პროფესორები იქნებიან ისინი თუ სტუდენტები, ისევე, როგორც ჩვენს პოლიტიკურ ჯანსაღ ძალებს, ეყოფათ გონიერება, რომ იმ დაწესებულებას, სადაც მათი შვილები და შვილიშვილები სწავლობენ, არ შეექმნას პრობლემები და სასწავლო თუ სამეცნიერო პროცესი წარმატებით გაგრძელდეს.

კიდევ ერთი მომენტი, რაც ასევე მნიშვნელოვანია — გაისად გვიწევს პროგრამების აკრედიტაციის პროცესი, უნდა მოვემზადოთ ავტორიზაციისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, 2017 წელს იქნება, ანუ გასატარებელი გვექნება მთელი რიგი ისეთი ღონისძიებები, რომელიც ამ ოფიციალური პროცედურების წარმატებით გადალახვას შეგვაძლებინებს.

მოამზადა **ნინო კაკულიამ**

კომენტარი

პირველი გვერდიდან

ჯილდო ღიაობისა და გამჭვირვალობისთვის

ლევან ავალიშვილი, ***ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე, პროექტის თავმჯდომარე:***

— ჩვენ მონიტორინგს 5 წელია ვაწარმოებთ და ყველა დაწესებულებას ვთხოვთ ინფორმაციის კონკრეტულ ჩამონათვალს, შემდეგ სტატისტიკის მიხედვით ვასახელებთ გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე დაწესებულებებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაცია, რაც საჯაროა და რასაც ფლობენ უწყებები თუ დაწესებულებები, მოთხოვნის შესაბამისად უნდა გასცენ და აი, წელს, მართლაც, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სამმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა სრულყოფილად მოგვაწოდა ინფორმაცია. მისასალმებელია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა ყველა ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილა, რაც ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტის რექტორს და მის ადმინისტრაციას ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტი აქვს. დაწესებულებისგან ასეთი პროგრესი ჯერ არ გვინახავს.

უნივერსიტეტის რექტორს და მის ადმინისტრაციას ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტი აქვს. დაწესებულებისგან ასეთი პროგრესი ჯერ არ გვინახავს.



თსუ-ის 100 წლისთავი ერთგვარი წყალგამყოფი იქნება „ახალი საუნივერსიტეტო ეპოქის“ დასაწყებად

მეორე გვერდიდან

ერთგვარი წყალგამყოფია უნივერსიტეტის რებრენდინგისა და „ახალი საუნივერსიტეტო ეპოქის“ დასაწყებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია პრინციპული, გადამჭრელი და გეგმაზომიერი ნაბიჯების გადადგმა უნივერსიტეტის განსაკუთრებული სტატუსის დეკლარირება-რეგლამენტაციისთვის. პროფესორებისა და სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით ხსენებულმა პროცესმა უნდა მიიღოს რაც შეიძლება ფართომასშტაბიანი, რეზონანსული და გამჭვირვალე ხასიათი.

როგორც ზემოთ ვთქვი, უამრავი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი: უკვე რამდენიმე ათეული წელია, პირველი კორპუსის გარდა, უნივერსიტეტის ფაქტობრივად არც ერთ კორპუსს არ ჩატარებია კაპიტალური სარემონტო სამუშაოები და არ განახლებულა ინფრასტრუქტურა, რის გამოც მორალურად მოძველებული მეურნეობა და სივრცე ვეღარ აკმაყოფილებს პირველობის ამბიციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში, განსაკუთრებით კი პირველი 2 წლის მანძილზე, სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსების მოზიდვა მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად; პარალელურ რეჟიმში საკუთარი რესურსებით შედარებით მცირე ბიუჯეტიანი პროექტების განხორციელება (მაგალითად: მაღლივი კორპუსის შიდა ეზოს მოასფალტება, კეთილმოწყობა, გამწვანება; „ქართული ბაღის“ მოწყობა ბიოლოგების კორპუსის მიმდებარედ — ქართული ენდემური ბუნებრივი და კულტურული ჯიშების გაშენება; პირველი კორპუსის ბაღის კეთილმოწყობა; პირველი კორპუსის უკან, ქვედა ეზოს გასუფთავება და მისთვის ფუნქციის მინიჭება და ა.შ.); სტუდენტური კვების ობიექტების არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება; „ქართუ ჯგუფთან“ მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ განახლება მეორე კორპუსის რემონტთან დაკავშირებით.

პრიორიტეტებიდან უმნიშვნელოვანესია საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანად განკარგვა. უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრებულია მანკიერი ტრადიცია კონკრეტული წლის საბიუჯეტო თანხების არასრულყოფილად ათვისებისა. ბიუჯეტში მკაფიოდ იკითხება მხოლოდ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ასიგნებები, ხოლო დანარჩენი პუნქტები ბუნდოვანია და, ხშირ შემთხვევაში, არ არის სათანადოდ ჩაშლილი. ფინანსების განკარგვის პროცესი ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. გასაძლიერებელია უნივერსიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობა. ჩვენ ამოცანას წარმოადგენს ბიუჯეტის ეფექტური დაგეგმვა და საბიუჯეტო თანხების მაქსიმალურად ათვისება ისე, რომ განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი პროექტი და მინიმუმამდე დავიდეს ნაშთის ოდენობა. ფინანსების დივერსიფიცირებისა და ფაკულტეტებზე თანხების გადანაწილებისას სხვადასხვა მიმართულებასა და დარგს შორის პარიტეტულობის პრინციპი იქნება დაცული. ყველა ღონეს ვიხმართ უნივერსიტეტისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტა მოხდება შიდა საუნივერსიტეტო დონეზე — რექტორთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, ფაკულტეტებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, საგარეო დონეზე კი — შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციებთან, საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის კვალდაკვალ.

ჩვენ უნივერსიტეტს განვიხილავთ როგორც კორპორაციას და ადმინისტრაციულ ნაწილში სწორედ ამ პრინციპს დაეფუძნება მისი მართვა, სახელდობრ, გადაწყვეტილებების მიღების ტრანსფარანტული მექანიზმის დანერგვით; მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსების ოპტიმალური დაგეგმვით; გასული წლების გამოცდილების ანალიზისა და ახლად წარმოქმნილი გამოწვევების გათვალისწინებით. აუცილებლად შევქმნით ყველა პირობას კვლევისა და სწავლებისთვის, ცოდნის დაგროვებისა და გავრცელებისთვის, სამართლიანი და ჯანსაღი გარემოს ფორმირებისთვის, კორპორაციული კულტურის დანერგვისთვის. საუკეთესო საუნივერსიტეტო ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ფონზე, გამუდმებით ვიზრუნებთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და განვითარებაზე, აგრეთვე, თანამშრომელთა გადამზადებაზე, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებაზე. ადმინისტრაციის თითოეული თანამშრომელი აიღებს თავის წილ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის უმთავრესი ფუნქციის - სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი და გამართული განხორციელების - უზრუნველყოფის საქმეში.

ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლს შორის კომუნიკაცია და საქმიანობა გახდება გაცილებით მობილური და მოქნილი. შესაბამისად, ადმინისტრაციის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს დროისა და რისკების მენეჯმენტი, მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ტენდერების თემა. ფაქტია, რომ გასულ წლებში 40%-ზე მეტი ჩაშლილი ტენდერი ცალსახად ნეგატიურად აისახა კონკრეტულ მიმართულებებზე და შეაფერხა ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური განვითარების პროცესი. ხსენებული მანკიერი პრეცედენტების გამოსარიცხად ადმინისტრაციას სამომავლოდ განსაკუთრებული ყურადღებისა და ოპერატიულობის გამოჩენა მართებს.

სტრატეგიულ დატვირთვას ატარებს სრული და დაუყოვნებელი ინვენტარიზაციის ჩატარებაც; საბალანსო დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად, ფაქტობრივი, დე-იურე და სადავო ქონების პრობლემატიკის შესასწავლად მობილური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რაც, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ისე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან დიალოგის გზით უმოკლეს ვადებში დაასრულებს უნივერსიტეტის სასარგებლოდ ქონების გადაცემისა და ბალანსზე აყვანის საკითხებს. ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდება უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები და მათი ჩამოწერა ან/და შემდგომი განკარგვა განხორციელდება დადგენილი წესების ზედმიწევნით დაცვით.

— თქვენ მიერ დასახელებული ამოცანების განხორციელების რა პოტენციალი გაქვთ თავად?

— ცოდნა, გამოცდილება, მოტივაცია და რწმენა იმისა, რომ განვლილი წლების მტკივნეული და არაერთგვაროვანი პროცესების მიუხედავად, საბედნიეროდ, კიდევ არსებობს რესურსი — 100 წლის იუბილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეხვდეს, როგორც ეროვნული იდეისა და იდენტობის, კლასიკური განსწავლულობისა და მეცნიერების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამამკვიდრებელი, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების საყრდენი პლატფორმა. რაც შეეხება ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას და სამენეჯერო უნარებს, აი, რამდენიმე ეპიზოდი ჩემი ბიოგრაფიიდან: 2010 წლიდან ვკითხულობ ლექციებს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, როგორც მოწვეული პროფესორი. 2013 წლიდან ვარ თსუ-ის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორი, 2010-2011 წლებში ვიყავი თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე. 2007-2010 წლებში ვმუშაობდი ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის ჯერ გენერალური მენეჯერის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — გენერალურ მენეჯერად. მანამდე ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვკითხულობდი ლექციებს, 1999-2006 წლებში გახლდით თსუ-ის ენებისა და მათი სწავლების მეთოდიკის სასწავლო ცენტრის დირექტორი, თსუ-ის დოცენტი. 2006 წელს თსუ-ში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო მომიხდა უნივერსიტეტის დატოვება, თუმცა, როგორც კი გამოჩნდა უნივერსიტეტში დაბრუნების შანსი, დაუფიქრებლად დავტოვე ძალზედ პრესტიჟული გენერალური მენეჯერის საკმაოდ მაღალანაზღაურებადი თანამდებობა და ჩემთვის ასე მშობლიურ და განუმეორებელ სივრცეს მოვაშურე. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1989 წელს, ჩემი შრომითი საქმიანობის გარიჟრაჟზე გახლდით ფირმა ,,მეტეხი-89” ფინანსური მენეჯერი და მუსიკოს ბადრი ჯინჭარაძესთან ერთად ვიდექი საქართველოში შოუ-ბიზნესის სათავეებთან. ჩემი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობის აქტივშია 2013 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტობა, 2011-1012 წლებში საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნების” განათლებისა და მეცნიერების დარგობრივი ჯგუფის ექსპერტობა, ეკონომიკის თემატური ჯგუფის ინოვაციებისა და ბუნებრივი რესურსების ქვეჯგუფის ხელმძღვანელობა; 2001-2003 წლებში – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული განათლების რეფორმებისა და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობა და ამავე პერიოდში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთა საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა; მრავალი ორგანიზაციის წევრობა და ა.შ.

— იცნობთ თუ არა იმ პრობლემებს, რაც დღეს უნივერსიტეტის წინაშე დგას და რის შესახებაც ხშირად საუბრობენ სტუდენტური ჯგუფები და სტუდენტური თვითმართველობა, რომელიც ამ ბოლო დროს აქციებით გააქტიურდა. სტუდენტების მიერ დასახელებულ მოთხოვნათაგან რომელს გამოყოფთ და რომელი პრობლემებია მოსაგვარებელი?

— რა თქმა უნდა, პრობლემების მთელი სპექტრი ჩემთვის ცნობილია. უფრო მეტიც, ერთი წლის წინ მედია-კავშირ „ობიექტივის“ გადაცემაში „აზროვნების თავისუფლება“ სტუდენტებთან ერთად ამ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც სტუდენტები აყენებდნენ, არის ადმინისტრაციის ოპტიმიზაცია და რეორგანიზაცია. ადმინისტრაციის ეფექტური მუშაობა მეტწილად განპირობებულია სტრუქტურისა და ბიუროკრატიული პროცედურების მოუქნელობით სერვისების მიწოდებისა და მართვის სფეროში. ძირითადი დატვირთვა მოდის მომსახურების მიმღების მხრიდან დაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ისიც ყოველთვის არ ხერხდება. არ არსებობს პროგნოზირებისა და სერვისების წინსწრებით დაგეგმვის მექანიზმები. არ ხდება წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების სამენეჯმენტო გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. ხშირ შემთხვევაში დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და უნარები ვერ აკმაყოფილებს მაღალ სტანდარტებს. მწვავედ დგას დავალებების არაჯეროვნად დელეგირებისა და საშუალო ან/და ქვედა რგოლებიდან ინიციატივების უქონლობის საკითხი. ბუნდოვანია სტიმულირებისა და წახალისების მექანიზმი, რაც მოტივაციის ამაღლების პროცესს აფერხებს. ჩვენი მიზანია, თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი და, მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება; მოწინავე უნივერსიტეტების სამენეჯმენტო გამოცდილების შესწავლა და დანერგვა; დონორებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების დახმარებით მიზნობრივი მივლინებების, სტაჟირებებისა და ტრენინგების პერმანენტული დაგეგმვა/ორგანიზება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად; ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის წესის შემუშავება და მის შესაბამისად ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვისა და ანაზღაურების პროცედურის განსაზღვრა; პრემიების გაცემაზე კონტროლის გამკაცრება და გამჭვირვალე, სამართლიანი სისტემის დანერგვა — ეს ნაბიჯები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის ამაღლებას, როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებისას, ისე პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან მიმართებაში.

უნივერსიტეტის ძირითად ნაწილსა და უმთავრეს ბირთვს, რა თქმა უნდა, სტუდენტობა წარმოადგენს. სრულფასოვანი სწავლა, დასვენება და სტუდენტური ცხოვრება განმსაზღვრელი ეტაპია თითოეული ახალგაზრდის აქტიურ, განათლებულ და თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში. უფრო მეტიც, სტუდენტობის საზოგადოებრივი აქტივობა არა ერთხელ გამხდარა მაგალითის მიმცემი და მოტივატორი სხვა სოციალური ჯგუფებისთვისაც, თუმცა დღეს საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება ჩვენი საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე. ეს ყოველივე, სამწუხაროდ, აუფერულებს სტუდენტური ცხოვრების ყოველდღიურობას და ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებულ სტუდენტებს ძალიან უჭირთ სხვა საკითხებზე კონცენტრირება. ჩვენი უმთავრესი მიზანი და ამოცანა იქნება: სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული სტუდენტების ხელშეწყობა და სტიმულირება; სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პრობლემის მოგვარება (თანამედროვე კამპუსი); „ტაბახმელას“ სასწავლო ცენტრის რეაბილიტაცია და სრულფასოვანი ექსპლოატაცია (საწარმოო პრაქტიკებისთვის, საზაფხულო სკოლების მოსაწყობად, სტუდენტური კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზებისთვის და სხვ.); გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სტუდენტურ აქტივობაში თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა; ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში, ზამთრის/საზაფხულო სკოლებსა და სხვა სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის წილობრივი დაფინანსება; ყოველწლიური დარგობრივი (ისტორია, ფილოლოგია, სამართალი, ეკონომიკა, ფიზიკა და სხვ.) და სახელობითი სტიპენდიების დასაწესებლად შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზება; მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო პროექტებისთვის დაფინანსების გათვალისწინება; სტუდენტური ინიციატივების წახალისება და მათი შემოქმედებითი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა; თსუ-ის ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების ფინანსირება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა; შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების, გამოფენების, სხვა ტიპის კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა, სპორტული სტადიონებისა და დარბაზების მშენებლობა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია, სტუდენტური საკალათბურთო გუნდის ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა, სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ორგანიზების სტიმულირება და საპრიზო ფონდების შექმნაში მხარდაჭერა.

— როგორ გესახებათ თსუ-ის რექტორთან ურთიერთთანამშრომლობა და რა ხედვას შესთავაზებდით უნივერსიტეტის პირველ პირს, რაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის იმიჯს აამაღლებს?

— უნივერსიტეტის განვითარების, სამეცნიერო და აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნის, მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის, პროცესების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის, თსუ-ის ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენის პრეროგატივა უნივერსიტეტის რექტორს აქვს, რაც მოითხოვს მისი პროგრამის აქტიურ მხარდაჭერას ადმინისტრაციის მხრიდან. ვინც უნდა მოვიდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელად, ამის აუცილებლობა კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული. ჩემი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი სწორედ ესაა:

ფაკულტეტების რეორგანიზაციისთვის ფინანსური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის გეგმის მომზადება და შეთავაზება; აკადემიური და სამეცნიერო ინოვაციების ფინანსური უზრუნველყოფა; თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის შესახებ პროექტის განხორციელების ხელშეწყობა; უნივერსიტეტის ბიუჯეტში წლიდან-წლამდე მზარდი რესურსის გათვალისწინება წიგნადი ფონდების შესავსებად.

თსუ-სა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სულ უფრო მზარდი კონკურენციის ფონზე, თსუ-ის, როგორც №1 უნივერსიტეტის, იმიჯის ასამაღლებლად ვგეგმავთ რამდენიმე მარკეტინგულ აქტივობას:

- თსუ-ის კორპორაციული ბრენდინგის ინტენსიფიკაციას — თსუ-ის კორპორაციული ატრიბუტიკით სხვადასხვა ნივთის/სუვენირის დამზადებას და გავრცელებას.
- პროექტის „საუკუნის უნივერსიტეტი“ განხორციელებას.
- თსუ-ის კურსდამთავრებულთა ასოციაციის (ალუმნი) დაფუძნებას.
- თსუ-ის განვითარების ფონდის დაარსებას.
- თსუ-ის ვებ-გვერდის მოდერნიზაციას.
- ბიზნესის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინკუბატორის, ე.წ. „ტექნო პარკის“ დაფუძნებას, სადაც შესაძლებელი გახდება შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალის რეალიზება და საუნივერსიტეტო სივრცეში მათი ორგანული ადაპტირების ხელშეწყობა.
- ინკუბატორის პროექტის განსახორციელებლად კაპიტალის, მათ შორის, ვენჩურული კაპიტალის მოზიდვას.

მნიშვნელოვნად მესახება უნივერსიტეტისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭების საკითხზე ზრუნვა

მეორე გვერდიდან

— მოვდივარ იმის გასაკეთებლად, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსი უკეთესად გამოვიყენოთ. ვფიქრობ, ის პოტენციალი, რაც უნივერსიტეტს გააჩნია, შეიძლება უფრო ეფექტიანად ავითვისოთ. რაც შეეხება სტრუქტურულ და საკადრო ცვლილებებს, ამას, ალბათ, საქმე გამოაჩენს. ქართული ანდაზაა: „შინ დაბარებული გარეთ არ გამოგადგებაო“. საკადრო ან ინსტიტუციური ცვლილებები უნდა მოდიოდეს საქმის არსიდან, აუცილებლობიდან და არა იმიტომ, რომ ახალმა ხელმძღვანელმა ახალი კადრები მოიყვანოს და ახალი სტრუქტურის შექმნა მის სახელს დაუკავშიროს.

— რა არის თქვენს პროგრამაში მთავარი?

— ჯერ ერთი, ფაკულტეტებს შორის პროფესორ-მასწავლებელთა ანაზღაურება უნდა გამოთანაბრდეს. ამჟამად ფაკულტეტებს შორის საკმაოდ დიდია განსხვავება. მაგალითად, აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტზე საშუალო საუნივერსიტეტოს 15 პროცენტით, ხოლო მედიცინის ფაკულტეტზე — 27 პროცენტით ჩამორჩება, რაც არასწორად და არასამართლიანად მიმაჩნია. ბუნებრივია, გამოთანაბრებაში იგულისხმება უნივერსიტეტის საშუალო დონესთან შედარებით დაბალი მაჩვენებლების მქონე ფაკულტეტების მიახლოება შესაბამისი, დამატებითი სახსრების მოძიების გზით და არა საშუალოზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ფაკულტეტებზე „ჩამოჭრის“ გზით.

ასევე, უნივერსიტეტს აქვს საკმარისზე მეტი პოტენციალი, რათა უკეთესად იყოს წარმოჩენილი საერთაშორისო მასშტაბით. ვფიქრობ, არსებითად უნდა გაიზარდოს როგორც უცხოელი სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობა, ისე ჩვენი სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების გასვლა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში გაცვლითი სასწავლო და შემოქმედებითი, სპეციალური პროგრამებით.

ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სტუდენტების სტიმულირების ფორმებისა და საშუალებების გამრავალფეროვნება, მათ შორის სტიპენდიანტთა რიცხვის მკვეთრი ზრდა და სტუდენტთა ყოფითი პრობლემების გაუმჯობესება.

მოხდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სეგმენტურიდან სისტემური გაუმჯობესების სტრატეგიაზე გადასვლა. ბევრი სასწავლო აუდიტორია პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, გასული საუკუნისაა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა უნივერსიტეტის X (მაღლივ) კორპუსშია.

> ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სტუდენტების სტიმულირების ფორმებისა და საშუალებების გამრავალფეროვნება, მათ შორის სტიპენდიანტთა რიცხვის მკვეთრი ზრდა და სტუდენტთა ყოფითი პრობლემების გაუმჯობესება.

— თქვენ, არჩევის შემთხვევაში, თანხას გამოყოფდით ამისთვის?

— უნივერსიტეტის უზრუნველყოფის ძველი, ტრადიციული ფორმები და მეთოდები დღეს უკვე აღარაა საკმარისი. მეორეს მხრივ, რესურსების მობილიზაციის ის საშუალება, რასაც კერძო უნივერსიტეტები მიმართავენ — სწავლის ქირის მატება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სამართლებრივად — შეუძლებელი, ხოლო ეთიკურად — მიუღებელია. ამიტომ მდგომარეობის გამოსწორებას რამდენიმე ახალი მიმართულებით ვაპირებთ.

ჩვენი უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტია. მისი მოვლის, შენახვის, ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი გარანტი და „სპონსორი“ — სახელმწიფო უნდა იყოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიმუშავებთ სხვა მიმართულებებითაც. მნიშვნელოვნად მესახება უნივერსიტეტისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭების საკითხზე მუშაობის დაწყება, იმ ისტორიული როლისა და დამსახურების გათვალისწინებით, რაც უნივერსიტეტს გაწეული აქვს თავისი თითქმის ერთ საუკუნოვანი არსებობის მანძილზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურმა სტატუსმა, რაც კანონის ან სამთავრობო გადაწყვეტილების დონეზეა მისაღები, შესაბამისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტისათვის ქართული უმაღლესი აკადემიური სკოლის ფლაგმანის როლის შენარჩუნება და უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგებში არსებითი წინწაწევისთვის სათანადო პირობების შექმნა.

სტუდენტსა და პროფესორზე ორიენტირებული ადმინისტრირება

მეორე გვერდიდან

სონალის ხელფასი, სახელმწიფო შესყიდვები, კომუნალური ქონების გადასახადი და სხვა გადასახადები და ა.შ.). სასურველია, არსებული დანახარჯები დაექვემდებაროს ეტაპობრივ ოპტიმიზაციას და გამოთავისუფლებული რესურსების გადანაწილება განხორციელდეს სხვა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. ადმინისტრირების პროცესში არსებული ნაკლოვანებები უნდა აღმოიფხვრას ეტაპობრივად, რისთვისაც აუცილებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზი და პროცესების ოპტიმიზება. უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს შემდეგი ნაბიჯები: ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების თანამედროვე ელექტრონული სისტემების დანერგვა; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესების მხარდაჭერა (შიდა და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება); საჭიროებებიდან გამომდინარე, თანამედროვე სტუდენტური საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა, რაც დამატებითი მოტივაცია იქნება უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად; უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის საჭირო მონაცემების სისტემატიზაციის პროცესების სრულყოფა; შიდა საპენსიო დაგროვების სისტემის ფორმირების წესის შემუშავება და ხელშეწყობა; თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ადგილობრივი და უცხოელი ტრენერების მონაწილეობით კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო სერვისის ფართო სპექტრის შეთავაზება; აკადემიური პერსონალის დამატებითი მხარდაჭერა საგრანტო პროექტებში მონაწილეობისათვის; უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის კორპორატიული ბინათმშენებლობის პროცესების დაგეგმვა და ხელშეწყობა; აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხარე პერსონალის პრემირების წესის შემუშავება; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის მომსახურების მოქნილი სისტემის შექმნა; უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის და დამატებითი სახსრების მოსაზიდად უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, უწყვეტი განათლების ცენტრის, საგამომცემლო-ბეჭდვითი საქმიანობის კომერციალიზაცია და მხარდაჭერა; ასევე, რეგიონებში აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრების ორგანიზება; სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის გარკვეული ნაწილის (ფიქსირებული პროცენტული ზღვარი) მიმართვა სხვადასხვა სტუდენტური აქტივობის დასაფინანსებლად; სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრის საქმიანობის ხარისხის ამაღლება და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირება, სტუდენტთა დასაქმების ერთიანი პორტალის შექმნა; კურსდამთავრებულთა პოტენციალის გამოყენებაზე ზრუნვა; შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, კონტროლის მექანიზმის მოქნილობისა და ოპერატიულობის ხარისხის ასამაღლებლად მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შემუშავება.

— იცნობთ თუ არა იმ პრობლემებს, რაც დღეს უნივერსიტეტის წინაშე დგას და რის შესახებაც ხშირად საუბრობენ სტუდენტური ჯგუფები და სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ამ ბოლო დროს აქციებით გააქტიურდა. სტუდენტების მიერ დასახელებულ მოთხოვნათაგან რომელს გამოყოფთ და რომელი პრობლემებია მოსაგვარებელი?

— სტუდენტები გამორჩეულად აქტიურები არიან საუნივერსიტეტო საქმიანობაში და მათ მიერ დასახელებული პრობლემები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ პრობლემებს, ჩემი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, კარგად ვიცნობ. იმ საკითხების მოგვარება, რომელიც სწავლის ხარისხის ამაღლებას, ადმინისტრაციული პროცესების ნაკლოვანებებს და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს უკავშირდება, მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

> ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რომლის მოგვარებაც დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. უნივერსიტეტის ბიუჯეტის რესურსებით მოცემული პრობლემის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განაწილების, დამატებითი შემოსავლების (შიდა და გარე) წყაროების მოძიებით შესაძლებელია პრობლემის ეტაპობრივი მოგვარება.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რომლის მოგვარებაც დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. უნივერსიტეტის ბიუჯეტის რესურსებით მოცემული პრობლემის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განაწილების, დამატებითი შემოსავლების (შიდა და გარე) წყაროების მოძიებით შესაძლებელია პრობლემის ეტაპობრივი მოგვარება.

ბოლო პერიოდში დასახელებული მოთხოვნებიდან გამოვყოფდი ლექტორების მიერ ლექციების გაცდენას. პრობლემა მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შემოღებით მოგვარებადია.

ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაციის მარტივად მიწოდება, რაც მათ დაეხმარებათ არსებული ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევაში.

— დღეს უნივერსიტეტის წინაშე ადმინისტრაციის რეორგანიზაციის საკითხი დგას. როგორ გესახებათ ამ კუთხით რეფორმის დაგეგმვა და გატარება?

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებული ნაკლოვანებები უნდა აღმოიფხვრას ეტაპობრივად, რისთვისაც აუცილებელია ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზი და, მიღებული შედეგის გათვალისწინებით, ოპტიმალური ნაბიჯების გადადგმა. ეს კი, თავისთავად, რეფორმების გატარებას გულისხმობს. რეფორმები კი მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა განხორციელდეს.

— როგორ გესახებათ თსუ-ის რექტორთან ურთიერთთანამშრომლობა და რა ხედვას შესთავაზებდით უნივერსიტეტის პირველ პირს, რაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის იმიჯს აამაღლებს?

— უნივერსიტეტის შემდგომი წინსვლის, აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სფეროს გაძლიერების და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად რექტორთან და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან თანამშრომლობა და ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელია. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ურთიერთთანამშრომლობა ნაყოფიერი და წარმატებული იყოს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მოვალეობაა, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიანი ხარჯვით, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პრობლემების მოგვარებას და საუნივერსიტეტო საქმიანობას. ეს კი, თავისთავად, ნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებას.

ვთავაზობ რექტორს მჭიდრო თანამშრომლობას ქართული უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის მოპოვების რთულ გზაზე

ინტერვიუ კანცლერობის კანდიდატთან, თსუ-ის კურსდამთავრებულთან, ნაირა ალავერდაშვილთან

მეორე გვერდიდან

მანათლებლო ბაზარზე. ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაციასთან ერთად, თსუ-ის დიპლომის აღიარება, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს სინამდვილეში.

ჩემ მიერ წარმოდგენილი შეხედულებათა სისტემა, უნივერსიტეტსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მოიაზრებს როგორც ერთ მთლიან საუნივერსიტეტო სივრცეს. დოკუმენტი წარმოადგენს საარჩევნო პერიოდში ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკის სფეროში ადმინისტრაციის მიმართულებით მართვის გაუმჯობესების ხედვას, იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.

არჩევის შემთხვევაში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), როგორც ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ჩემი საქმიანობა დაეფუძნება გამჭვირვალობის, ეფექტურობის, ანგარიშვალდებულების პრინციპებს და მხარს დაუჭერს უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარების ევოლუციურ გზას. აქტუალურია სასწავლო დაწესებულებაში ადმინისტრაციის სფეროში მენეჯმენტის თანამედროვე სისტემების დანერგვა, მართვა და მონიტორინგი.

ჩემი კონცეფცია არის საკმაოდ ამბიციური.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში თანაგუნდელებთან ერთად მიზნად ვისახავ უნივერსიტეტის ფინანსური ავტონომიურობის მიღწევას, რადგან საუნივერსიტეტო სივრცის ავტონომიურობის საფუძველი არის ფინანსური სტაბილურობა.

ჩემი საარჩევნო პერიოდი იქნება აღნიშნული მიზნისაკენ მიმავალი გზა, რომელიც გადის სახელმწიფო დაფინანსებაზე ნაკლებად დამოკიდებული სისტემიდან ფინანსურად თვითკმარ ავტონომიურ რეჟიმში გარდაქმნის მომზადებაში.

შევიმუშავებ კვალიფიციურ სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად უნივერსიტეტის ბიუჯეტში თანხების მოზიდვის მექანიზმებს, აქტიურად გამოვიყენებ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების არსებული წყაროების შესაძლებლობებს. მათ შორის, უნივერსიტეტში წარმოებულ თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციურ საქმიანობას განვიხილავ როგორც თანხების მოზიდვის საინტერესო მექანიზმს და აუთვისებელ რესურსს.

კონცეფცია ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ფუნქციებისა და ბიუჯეტის დეცენტრალიზაციას და, მეორე მხრივ, ღონისძიებებს ადმინისტრირების გაძლიერების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

კონცეფცია სთავაზობს აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს გამჭვირვალე ბიუჯეტის ფორმირებაში, მის მართვასა და მონიტორინგში.

მიზნის მისაღწევად ჩემი ამოცანებია: მოვახდინო პრობლემათა იდენტიფიცირება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი გადაჭრის გზების სწორად განსაზღვრას და გადაწყვეტას. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ერთობლივად შევიმუშაოთ საერთო საუნივერსიტეტო სივრცის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის კონცეპტუალური დოკუმენტები, რის საფუძველზეც უნდა იმოქმედოს ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა. მემკვიდრეობითობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენს საქმიანობაში. მოვახდინო ადმინისტრაციის და მისი ხელმძღვანელის მართვის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს მართვის ეფექტურობის გაზრდას. დავნერგო მართვის ახალი, თანამედროვე სისტემები და განვახორციელო მონიტორინგი.

წარმოდგენილ დოკუმენტს მოვიაზრებ როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილს. აქედან გამომდინარე, მას განვიხილავ როგორც პროექტს, რომელიც უნივერსიტეტის რექტორთან, მართვის სხვა ორგანოებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სტუდენტურ ჯგუფებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას გამოთქმული მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით იქცევა უნივერსიტეტის რექტორთან კოორდინირებული საქმიანობისთვის საარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) სამოქმედო დოკუმენტად.

— იცნობთ თუ არა იმ პრობლემებს, რაც დღეს უნივერსიტეტის წინაშე დგას და რის შესახებაც ხშირად საუბრობენ სტუდენტური ჯგუფები და სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ამ ბოლო დროს აქციებით გააქტიურდა. სტუდენტების მიერ დასახელებულ მოთხოვნათაგან რომელს გამოყოფთ და რომელი პრობლემებია მოსაგვარებელი?

— უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის შეიქმნა. იგი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ერთობაა, ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და ყველა და ყველაფერი ამ სასწავლო დაწესებულებაში უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდებს. მათ აქვთ კანონმდებლობით განსაზღვრული ხარისხიანი განათლების და მეცნიერულ კვლევაში მონაწილეობის უფლება, რაც ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ნორმალური წარმართვისთვის სათანადო პირობების შექმნას. ეს კი სწორედ ჩემი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, მოვალეობა იქნება და მე თავი უნდა გავართვა ამ ურთულეს ამოცანას.

ძალიან კარგად მესმის სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა. ჩემთვის ყურადსაღებია ის საკითხებიც, რასაც სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფები ხანდახან უფროსებისთვის შეიძლება მიუღებელი ფორმით, მაგრამ სამართლიანად აყენებენ არა მარტო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, არამედ საზოგადოების წინაშეც.

ჩემი არჩევის შემთხვევაში არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით შევძლებ თანამოაზრეებთან ერთად შევიმუშაო საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მოქნილი მექანიზმები და დავიცვა სტუდენტთა უფლებები, კომპეტენციის ფარგლებში.

ჩართულობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მე შევთავაზებ სტუდენტებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში, განკარგვასა და მონიტორინგში აქტიურ მონაწილეობას. ყველას კარგად მოეხსენება, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სწორედ სტუდენტთა სწავლის საფასური. ეს კი ოჯახების უმრავლესობისთვის მძიმე ტვირთია. ხშირ შემთხვევაში მშობლები ბოლო თეთრს იკლებენ და მაინც იხდიან გადასახადს იმიტომ, რომ იციან — განათლების გარეშე არ არსებობს მომავალი. ასეთ ვითარებაში არავის აქვს უფლება მომჭირნედ და მიზნობრივად არ განკარგოს თანხები. აქვე მინდა დავაფიქსირო, რომ ღირსეული ანაზღაურების მომხრე ვარ. იგი დიდი სტიმულია, მაგრამ უნდა გაჩნდეს რეალური ბალანსი ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ-თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას შორის.

ჩემი საქმიანობა იქნება შედეგზე ორიენტირებული, რომელიც გადაწყვეტს წლიდან წლამდე არსებულ პრობლემას, მაგალითად, როგორიცაა ნაკლები ბიუროკრატიის მიზნით ელექტრონული მმართველობის შემოღებას, უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების

ბლოკის პრობლემის მოგვარებას. ოპერატიულად არის დასაწყები საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით და დახმარებით არსებული სტუდენტური საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციისა და ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საერთო საცხოვრებლის (კამპუსი) მშენებლობა. ვიფიქრებ საქმეში ჩახედულ ადამიანებთან ერთად სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პირობებზე. შესაბამის დარგებში, საბანკო სფეროს წარდგენითა და მთავრობის შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით დავაყენებ ამ პრობლემის გადაჭრის რეალისტურ გზას.

იმედი მაქვს მათი მხარდაჭერის და თანადგომის, რადგან ვიცი, რომ სტუდენტები არაჩვეულებრივად არჩევენ სიყალბეს და არ ეგუებიან მას.

— დღეს უნივერსიტეტის წინაშე ადმინისტრაციის რეორგანიზაციის საკითხი დგას. როგორ გესახებათ ამ კუთხით რეფორმის დაგეგმვა და გატარება?

— ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა, გარდაქმნა მუდმივი პროცესია. მთავარია, რომ იგი იყოს მოქნილი და შეესაბამებოდეს იმ მიზნებს და ამოცანებს, რასაც ესა თუ ის დაწესებულება ისახავს. არც ერთი სტრუქტურული ერთეული და ქვედანაყოფი არ უნდა იყოს შექმნილი და მორგებული პიროვნებებზე. იგი უნდა გამომდინარეობდეს და ასახავდეს საჭიროებებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტრუქტურა გამართულია, სწორად არის განსაზღვრული ფუნქციები, გამიჯნულია კომპეტენციები და არ ხდება დუბლირება, შესაძლებელია მართვის ეფექტურობის მიწევა.

თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს თავისი ფუნქცია-მოვალეობანი. საკადრო საკითხებისადმი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნოვატორული მიდგომა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ჩემი არჩევის შემთხვევაში, აისახება „ეფექტური ხელშეკრულების“ სისტემის დანერგვაში, რაც გულისხმობს შრომით ურთიერთობებში ახალი ტიპის ხელშეკრულების გაფორმებას.

ერთიანი საუნივერსიტეტო საკადრო პოლიტიკის გატარებაში საჭიროა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისადმი დიფერენცირებული მიდგომები. მოსაწესრიგებელია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომითი ანაზღაურების საკითხები. იგი უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის პრინციპს და არ უნდა იყოს ღირსების შემლახავი. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებით ჩატარდება კონკურსები და თანამშრომელთა ატესტაციები. შემუშავდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმები. საუნივერსიტეტო სივრცეში დაინერგება ადმინისტრაციული მართვის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემა.

რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება თანამშრომელთა სტიმულირების ეფექტური ფორმების დანერგვა და სხვა.

ასე რომ, სასწავლო დაწესებულებაში რეფორმა არ უნდა აღიქმებოდეს საშიშ მოვლენად, რადგან ნორმალურ შემთხვევაში იგი აუცილებელია, განსაკუთრებით ისეთ დინამიურ ეპოქაში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური და მატერიალური რესურსების სწორად და პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრა. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ცხოვრებაში კურსდამთავრებულთა პოტენციალის უფრო აქტიურად გამოყენება.

მე შევთავაზებ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს საუნივერსიტეტო ფონდის დაფუძნების შესაძლებლობის განხილვას საქმიანობის ორი მიმართულებით წარმართვის მიზნით: ერთი მხრივ ამაგდარ მეცნიერთა და პედაგოგთა და მათი ოჯახების ფინანსური დახმარების გასაწევად და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების დასახმარებლად.

კატეგორიულად ვემიჯნები იმ მავნე პრაქტიკას, რომ ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ ყველა თანამშრომელი განთავისუფლდეს დამლაგებლის ჩათვლით.

მე მხარს ვუჭერ ბატონ ვლადიმერ პაპავას მუშაობის სტილს იმ თვალსაზრისით, რომ მან შეინარჩუნა თანამშრომელთა ნაწილი. თუმცა დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მისთვის, როგორც პიროვნებისათვის, შეიძლება არც თუ ისე კომფორტული იყოს მუშაობა ზოგიერთ მათგანთან. ჩვენ უნდა ვმართოთ პროცესები. ეს არ არის ადვილი, მაგრამ საჭირო და აუცილებელია. კარგი მენეჯერი მარტო ის არ არის, ვინც მხოლოდ თავის მოყვანილ გუნდთან ერთად ახერხებს მუშაობას. საბედნიეროდ, ჩვენით არ იწყება და არ მთავრდება უნივერსიტეტი. ამავე დროს, ყველას კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული ის, რომ სამსახურში თანამშრომლებს აქვთ არა მხოლოდ უფლებები, არამედ მოვალეობები. ან აკეთებ კვალიფიციურად და გაქვს მაღალი პასუხისმგებლობა, ან ვერ უძლებ კონკურენციას და რჩები უმუშევარი.

ვინც იცნობს ჩემი მუშაობის სტილს, მათ კარგად იციან, რომ ვარ მომთხოვნი, პირველ რიგში, ჩემი თავის მიმართ. ვთვლი, რომ ვარ მკაცრი, მაგრამ ობიექტური და სამართლიანი მენეჯერი, რაც ჩემი ქიზიყური ხასიათითაც არის განპირობებული.

— როგორ გესახებათ თსუ-ის რექტორთან ურთიერთთანამშრომლობა და რა ხედვას შესთავაზებთ უნივერსიტეტის პირველ პირს, რაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის იმიჯს აამაღლებს?

— ჩემ მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში, უპირველეს ყოვლისა, გააზრებული მაქვს ადმინისტრაციის როლი და ადგილი მთლიან საუნივერსიტეტო სივრცეში. გარდაუვალი აუცილებლობაა მართვის ორგანოების ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა, რომლის გარეშე რაიმე წარმატების მიღწევაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

ადმინისტრაციისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობა არის უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სფეროში წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი და ხელშემწყობი კომპონენტი. მინდა გავიმეორო, რომ მხარს ვუჭერ უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარების ევოლუციურ გზას.

ვადასტურებ ჩემს პატივისცემას ბატონი ვლადიმერ პაპავასადმი. იგი უნივერსიტეტის დემოკრატიულად არჩეული რექტორია, გააჩნია მაღალი ლეგიტიმურობა. დიდია მისი, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის პასუხისმგებლობა ქართული საზოგადოების წინაშე. მას უამრავი პრობლემა დახვდა უნივერსიტეტში, რომელთა გადასაჭრელად მხოლოდ პიროვნული ნება არ არის საკმარისი, საჭიროა შესაბამისი კადრები და ფინანსები და, რაც მთავარია, დრო, რათა თსუ — როგორც მას ყველა უწოდებს, გახდეს ევროპული სტანდარტების სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება.

ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ვთავაზობ რექტორს მჭიდრო თანამშრომლობას ქართული უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის მოპოვების რთულ გზაზე.

ᲗᲡᲣ-Ს ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐᲜ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲮᲘᲢᲐᲣᲠᲗᲐᲜ

მეორე გვერდიდან

თანასწორობის, საჯაროობის, კანონიერების, სამართლიანობის და გამჭვირვალობის პრინციპებზე.

ახლა რაც შეეხება დასმულ შეკითხვას, თუ რა „პროგრამით“ მოვდივარ უნივერსიტეტში გამარჯვების შემთხვევაში. ამ კითხვაზე პასუხი პრინციპების დონეზე ზემოთ ნაწილობრივ უკვე გავეცი და მიმაჩნია, რომ, ნებისმიერი კანდიდატი, გამარჯვების შემთხვევაში, აღნიშნული პრინციპებით იხელმძღვანელებს. მოგახსენებთ, რომ ჩემი მიზანია, მიმდინარე კონკურსში ჩემი კანდიდატურის გამარჯვების შემთხვევაში, ხელი შევუწყო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევასა და, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლებში, უფრო ეფექტური და გამჭვირვალე გავხადო უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის პროცესი.

მსურს, წინასწარ გამოვთქვა ჩემი პირადი მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ არამართებულად მიმაჩნია თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში მონაწილე პირებს მოეთხოვებოდეთ უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციის თუ სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმის და პროგრამის წარმოდგენა საკონკურსოდ განსახილველად, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ წარმოადგენს თსუ-ის პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად რგოლს უნივერსიტეტში. საუნივერსიტეტო პოლიტიკას, კონცეფციას, უნივერსიტეტის სამოქმედო (სტრატეგიული) განვითარების გეგმებს განსაზღვრავენ, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და მათ შესრულებაზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებენ თსუ-ის უმაღლესი ორგანოები, წარმომადგენლობითი ორგანოები: აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) და, ასევე, რექტორი, რომელიც არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უმაღლესი აკადემიური თანამდებობის მქონე პირი და, იმავდროულად, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ ამ ორგანოების მიერაა დამტკიცებული ყველა ის ნორმატიული აქტი, რომლებითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის საქმიანობის პოლიტიკა და, გამომდინარე აქედან, უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმაც. გარდა აღნიშნულისა, თსუ-ის ბიუჯეტის დამტკიცების და, შემდგომ, მის შესრულებაზე ზედამხედველობის უმაღლესი მაკონტროლებელი ფუნქციაც ზემოაღნიშნული ორგანოების კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

ხოლო, რაც შეეხება თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონმდებლობის შესაბამისად, იგი არის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია თსუ-ია უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე და აღასრულებს მათ მიერ დამტკიცებულ საუნივერსიტეტო კონცეფციით განსაზღვრულ დებულებებს და, ასევე, მათ მიერვე დამტკიცებულ უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო (სტრატეგიულ) გეგმას. გამომდინარე აქედან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ძირითადად, აღჭურვილია აღსრულებითი ფუნქციებით და ის, როგორც აღმასრულებელი, უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, სამართლებრივად მოკლებულია იმ შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განსაზღვროს საუნივერსიტეტო პოლიტიკა და თსუ-ის განვითარების სამოქმედო სტრატეგიული გეგმა. თუმცაღა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს, საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, წინადადებებით მიმართოს თსუ-ის შესაბამის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და, მათი თანხმობის მიღების და შესაბამის აქტებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინადადებების ფორმირების შემთხვევაში, აღასრულოს შემდგომ საქმიანობაში. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში მონაწილე პირებს წარმოედგინათ სამოტივაციო წერილი, სადაც საუბარი იქნებოდა იმ ძირითად ფაქტორებზე, რამაც განაპირობა აღნიშნულ კონკურსში მათი მონაწილეობა.

ახლა მოკლედ ჩამოვაყალიბებ, თუ რის გაკეთებას ვაპირებ, სამომავლოდ, თსუ-ში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში ჩემი გამარჯვების შემთხვევაში.

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ის სიკეთე, თუ რამ წლების მანძილზე გაკეთებულა, თსუ-ში ამჟამინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მმართველობისას ხელუხლებლად დარჩება და გაგრძელდება მომავალშიც, მაგრამ, გარდა პოზიტივისა, თსუ-ის მმართველობის სფეროში შეუძლებელია, წლების მანძილზე ხარვეზები და პრობლემები არ ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თსუ-ში არსებულ პრობლემებში დეტალურად ვაპირებ გავერკვე, ასევე, სრულფასოვნად დავადგინო თსუ-ის მართვაში არსებული ხარვეზების და პრობლემათა წარმოშობისა და არსებობის მიზეზ-შედეგობრიობა, შევიმუშაო ჩემი ხედვები პრობლემათა დაძლევის გზებთან დაკავშირებით და შესაბამისი საფუძვლიანი (დასაბუთებული) წინადადებებით მივმართო თსუ-ის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს — წარმომადგენლობით საბჭოს და აკადემიურ საბჭოს, რომლის ხელმძღვანელიცაა რექტორი, რათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჰქონდეს სრული მხარდაჭერა თსუ-ის მართვის უმაღლესი ორგანოებისგან თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ერთპიროვნულად არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს თსუ-ის საფინანსო, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნულ პროცესში, სხვადასხვა სახის გამოხატვის ფორმებით, ჩართული უნდა იყოს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება, ყველა ფაკულტეტი, თსუ-ის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და, რაც ყველაზე საგულისხმოა, თსუ-ის სტუდენტობა. მათთან კონსულტაციებით, მათი თანამონაწილეობით, პრობლემათა გამოკვეთის და არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზების და ოპტიმალური საშუალებების გამოძებნის გზით უნდა ხდებოდეს თსუ-ში საკითხების დარეგულირება. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს სახელმწიფოს როლიც თსუ-ის განვითარების პროცესზე და ამ მხრივაც ვაპირებ მეტი კონტაქტების დამყარებას და თანამშრომლობის გაღრმავებას სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან, თსუ-სთვის მეტი ფინანსური სახსრების მოძიების და უკეთესად განვითარების მოტივით. უნივერსიტეტების ავტონომიურობის პარალელურად უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმებიც. უნივერსიტეტები პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ საკუთრივ საუნივერსიტეტო კადრების (პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტობის) წინაშე, არამედ სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშეც, ამიტომაც მიმაჩნია, სახელმწიფო სტრუქტურებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების სრულყოფა აუცილებელია თსუ-სთვის სარგებლობის მომტან საკითხებთან მიმართებით.

ჩემი, როგორც, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სამომავლო ხედვა დაფუძნებულია უნივერსიტეტის უკვე არსებულ გრძელვადიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებზე და მათ ეფექტურად განხორციელებაზე, რაც საშუალებას მომცემს, თსუ-ის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, თანამიმდევრულად განვახორციელოთ მთელი რიგი სამუშაოები.

საუნივერსიტეტო გრძელვადიანი ამოცანები უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის საქმიანობის შემდეგ მიმართულებებში: სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესების; სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ხელშეწყობის; ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის; საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობის სრულყოფის; საგამომცემლო და საინფორმატიზაციო განვითარებისთვის ხელშეწყობის; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირების და ურთიერთობების გამრავალფეროვნების; კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის; პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების სოციალური საკითხების გადაწყვეტის, მათი წახალისებისა და სტიმულირების ეფექტური ფორმების დამკვიდრების; სპორტისა და ხელოვნების სფეროს განვითარების; თსუ-სთვის შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის ხელშეწყობის და ა.შ. მიმართულებით თსუ-ის ერთიან სივრცეში და სხვა.

ამ ამოცანების განხორციელებისთვის, ასევე, უმნიშვნელოვანესია: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხის ამაღლება ყველა დონეზე, რადგანაც დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების — ფაკულტეტების, ბიბლიოთეკის, სტრუქტურული ერთეულების და სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა და კონტროლი საერთო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც, ამჟამად, ვფიქრობ, სრულფასოვნად ვერ ხორციელდება და არსებობს გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებით; ასევე აუცილებელია შიდა კონტროლის მექანიზმის სრულყოფა და პასუხისმგებლობის კულტურის მეტად ამაღლება საუნივერსიტეტო სივრცეში.

უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა: თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, საფინანსო რესურსების საკმარისი პოტენციალის შექმნა, რაც ადეკვატური იქნება უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად; საინვესტიციო ეფექტურობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, საფინანსო რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია; ფინანსური სტრატეგიის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საფინანსო დაგეგმარებისა და ანალიზის სისტემის სრულყოფა მისი საჯაროობის და გამჭვირვალობის მეტი ხარისხი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

— ***იცნობთ თუ არა იმ პრობლემებს, რაც დღეს უნივერსიტეტის წინაშე დგას და რის შესახებაც ხშირად საუბრობენ სტუდენტური ჯგუფები და სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ამ ბოლო დროს აქციებით გააქტიურდა. სტუდენტების მიერ დასახელებულ მოთხოვნათაგან რომელს გამოყოფთ და რომელი პრობლემებია მოსაგვარებელი?***

— ვფიქრობ, რომ ყველა იმ ნეგატივმა, რაც უნივერსიტეტში ადრეული წლებიდან მოყოლებული დაგროვდა, უკვე დღევანდელ პერიოდში ჰპოვა გამოძახილი და სტუდენტებს შორის თსუ-ს ხელმძღვანელობის მიმართ საპროტესტო განწყობები გააღვივა, რომლის შედეგიც იყო ის, რომ ა.წ. 20-21 ოქტომბერს უნივერსიტეტში სტუდენტური აქციები გაიმართა. სტუდენტების საპროტესტო აქცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრის შემდგომ შეწყდა. მხარეები სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმდნენ. თუმცა, ერთი რამ მინდა აღვნიშნო, რომ მოთხოვნები, რომელსაც სტუდენტები აყენებდნენ, გარკვეულწილად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციის სფეროსაც მიეკუთვნება და, ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩევის შემთხვევაში, ვაპირებ აქტიურ თანამშრომლობას თსუ-ის სტუდენტობასთან, რათა მათთან თანამშრომლობის შედეგად, თსუ-ის უმაღლესი მმართველობით ორგანოებთან შეთანხმებით, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რომელსაც სტუდენტები ხედავენ, რადგან მათი შეფასებით, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ბოლო 3 წლის განმავლობაში, რადიკალური ცვლილებები უნივერსიტეტში არ მომხდარა. მათი აზრით, მოუწესრიგებელია თსუ-ის როგორც ფინანსური, ასევე, მატერიალურ-ინფრასტრუქტურული ბაზა და ადმინისტრაციულ რესურსთანაც გარკვეული პრეტენზიები გააჩნიათ. სტუდენტების აზრით, პრობლემები, რომლებიც მათ წლების განმავლობაში აწუხებდათ, კვლავ დღის წესრიგში დგას. ამიტომ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ჩემი არჩევის შემთხვევაში, ვაპირებ, სიღრმისეულად შევისწავლო ყველა დასახელებული თუ თსუ-ში რეალურად არსებული პრობლემა და ჩემი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კომპეტენციის ფარგლებში ვიმოქმედო პრობლემათა დაძლევის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ რექტორის ინიციატივას უნივერსიტეტის პირდაპირი საბიუჯეტო წესით დაფინანსების თაობაზე, რაც, მათი აზრით, უნივერსიტეტს მისცემს სათანადო ფინანსურ რესურსს საიმისოდ, რომ არსებული პრობლემები გადაწყდეს. ვაპირებ, ამ კუთხით, აქტიურად ვითანამშრომლო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან, რათა აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტისთვის სასარგებლოდ გადაწყდეს.

— ***დღეს უნივერსიტეტის წინაშე ადმინისტრაციის რეორგანიზაციის საკითხი დგას. როგორ გესახებათ ამ კუთხით რეფორმის დაგეგმვა და გატარება?***

— თსუ-ში გარკვეული პირების მმართველობისას ამ კუთხით განვითარებული პროცესები (ვგულისხმობ თსუ-ის მართვის სტრატეგიას), უმეტეს შემთხვევაში, ამოვარდნილი იყო როგორც კანონიერი და სამართლებრივი ჩარჩოებიდან, ასევე, ვერ პასუხობენ ზნეობრივ კრიტერიუმებსაც, რამაც, საერთო ჯამში, გამოიწვია თსუ-ის დისკრედიტაცია და უმაღლესი განათლების რეფორმის იდეისადმი უნდობლობის, ნიჰილიზმისა და საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა.

ზოგადად ვთვლი, რომ სახელმწიფოში განათლების რეფორმირების პროცესი უნდა გაგრძელდეს და თანამედროვე ეპოქაში განათლების რეფორმა მიზნად უნდა ისახავდეს საქართველოში უმაღლესი სტანდარტების საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრებას, რეფორმამ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მიღების თანამედროვე, მდგრადი და მწყობრი სიტემის შექმნა, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოში განათლების სისტემის სფეროში ისტორიულად არსებული მდიდარი ტრადიციები და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მიზანი.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც მდიდარი ტრადიციების მქონე პირველ ქართულ უნივერსიტეტს, ყველა ის ნეგატიური შედეგი, რომელიც რეფორმას მოჰყვა, პირდაპირპროპორციულად აისახა მასზე. ყოველთვის მიმაჩნდა და ვთვლიდი, რომ რეფორმის განხორციელება თავიდანვე უნდა მომხდარიყო სამართლიანობის, კანონიერების, მიზანშეწონილობის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ინტერესების დაცვის, უნივერსიტეტის ღირსების და ავტონომიის პრინციპების დაცვით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემური რეფორმები, ალბათ, საჭიროა, მაგრამ არა იმ მავნე ფორმებით და არა იმ არასწორი გზებით, რა გზებითაც ხორციელდებოდა გასულ წლებში საუნივერსიტეტო რეფორმა.

— ***როგორ გესახებათ თსუ-ის რექტორთან ურთიერთთანამშრომლობა და რა ხედვას შესთავაზებთ უნივერსიტეტის პირველ პირს, რაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის იმიჯს აამაღლებს?***

— აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხს ერთერთი ისტორიული პერსონაჟის სიტვებით ვუპასუხებდი, „...კაცი ქვეყანაზე მოდის, რომ ვენახი გააშენოს და ნაყოფი მიიღოს. ადამიანებს კი ვენახი უშენებიათ და ნაყოფი ვერ მიუღიათ“. ასე რომ, ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დამტკიცების შემთხვევაში, თსუ-ის რექტორსაც და მთელ საუნივერსიტეტო საზოგადოებას ვპირდები, რომ, ჩემთვის სამართლებრივი აქტებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, თსუ-ში ღირსეული და შრომითი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს განვითარებაში დავეხმარები, რათა საბოლოო ჯამში მათმა შრომამ ღირსეული და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ნაყოფი გამოიღოს, განათლებული და წარმატებული სტუდენტობის სახით.

პიროვნულად პატივს ვცემ არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს და ვიმედოვნებ, რომ, მათი გამარჯვების შემთხვევაშიც, ჩემ მიერ აღნიშნულ დოკუმენტში წამოჭრილი საკითხები აუცილებლად იქნება მათ მიერ გაზიარებული და მხარდაჭერილი სამომავლოდ.

უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები ახალი წლიდან ანაზღაურებას მიიღებენ

2016 წლის იანვრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იწყებს განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლების დაფინანსებას.

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წინაშე დადგა საკითხი — მიემართათ საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტისთვის, რათა კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესულიყო ცვლილება და სახელმწიფო უნივერსიტეტებს მისცემოდათ საშუალება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან დახმარებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უშურველად ემსახურნენ სასწავლებელს და დღეს უნივერსიტეტს მიღმა არიან დარჩენილნი.

მაია ტორაძე

საუნივერსიტეტო საზოგადოებამ იცის, რომ პარლამენტმა მიიღო ეს ცვლილება, რის საფუძველზეც 2015 წლის 3 აპრილს (ბრძანება №53/01-01) უნივერსიტეტის რექტორმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისთვის ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრა და მომზადებული პროექტის აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა.

2015 წლის 19 ივნისს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება (№57/2015), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ყოფილი თანამშრომლებისთვის განსაკუთრებული დამსახურების მქონეს სტატუსი და მათი დაფინანსების წესი.

ამავე დადგენილების მიხედვით: ყოფილი თანამშრომლისათვის განსაკუთრებული დამსახურების მქონეს სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელია პირი აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა იყოს არანაკლებ 65 წლის ან განცხადების წარდგენის კალენდარულ წელს უნდა უსრულდებოდეს 65 წელი;

ბ) უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტში მუშაობის არანაკლებ 25-წლიანი საერთო სტაჟი (მათ შორის, აკადემიურ და/ან სამეცნიერო თანამდებობაზე);

გ) უნდა იყოს დაუსაქმებელი (მათ შორის, არ უნდა ჰქონდეს საგრანტო ანაზღაურებადი ხელშეკრულება) (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის/პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობისა), შემოსავლის არმქონე (გარდა პენსიისა);

დ) უნდა იყოს სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი შედარებით დიდი ოდენობის პენსიის არმქონე (მაგალითად, მოსამართლის, პარლამენტარის და სხვ.);

ე) არ უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა ან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპონდენტი.

აქვე დადგინდა, რომ ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ პირის სიცოცხლეში.

დადგენილების მიხედვით, ანაზღაურება გაიცემა გარკვეული რანჟირების წესის მიხედვით. სიის რანჟირებისთვის გამოიყენება პრიორიტეტები შემდეგი იერარქიით:

1) პროფესორი/სრული პროფესორი/კათედრის გამგე/მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი/წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

2) დოცენტი, ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი/მეცნიერ-თანამშრომელი;

3) უფროსი მასწავლებელი/მასწავლებელი/ასისტენტი/ასისტენტ-პროფესორი/უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ამასთან გათვალისწინებულია უნივერსიტეტში აკადემიურ ან სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობის სტაჟის მეტი ოდენობა და საუნივერსიტეტო ჯილდოს (ჯილდოების), პრემიის (პრემიების) არსებობა და მათი ოდენობა.

მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს, ასევე რექტორის ბრძანებით (№204/01-01), შეიქმნა უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისთვის შესაბამისი დაფინანსების ოდენობის განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ერმი ქემოკლიძე.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სულ დაფინანსებისთვის გამოყოფილია 200 000 ლარი. ანაზღაურების მიღებაზე განაცხადი გააკეთა 402-მა პირმა. აქედან პირველი კატეგორიის პირი არის 24; მეორე — 171; ხოლო მესამე კატეგორიისა — 136-მდე. აქედან 29 განცხადება დაწუნებული იქნა, ხოლო 42 — არ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ კრიტერიუმებს.

„კომისიამ განიხილა ანაზღაურების გაცემის რამდენიმე ვარიანტი. იყო წინადადება, თანხის გაცემა დაგვეწყო რანჟირების პრინციპით — პროფესორებიდან და დოცენტებიდან, მაგრამ ეს გამოიწვევდა იმას, რომ მესამე კატეგორია (უფროსი მასწავლებელი/მასწავლებელი/ასისტენტი/ასისტენტ-პროფესორი/უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი) დაგვრჩებოდა ანაზღაურების გარეშე, რადგან თანხა არ ეყოფოდათ. არადა, სწორედ ეს კატეგორია საჭიროებს ყველაზე მეტ დახმარებას. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ თანხა გაგვანაწილებინა პროპორციულად კატეგორიების მიხედვით“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ერმი ქემოკლიძემ.

კომისიის დადგენილებით, თანხები გაიცემა შემდეგი პროპორციით:

პროფესორი/სრული პროფესორი/კათედრის გამგე/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი — თვეში 68 ლარი;

დოცენტი, ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი/მეცნიერ-თანამშრომელი — თვეში 55 ლარი;

უფროსი მასწავლებელი/მასწავლებელი/ასისტენტი/ასისტენტ-პროფესორი/უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — თვეში 41 ლარი.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული თანხები გაიცემა კვარტალში ერთხელ (შესაბამისად, პირველი კატეგორია აიღებს 204 ლარამდე, მეორე კატეგორია — 165 ლარამდე, ხოლო მესამე — 123 ლარამდე)

პირველად ამ თანხას უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლები 2016 წლის პირველ კვარტალში მიიღებენ.

ენა არაა დამნაშავე, დამნაშავე არიან „ველიკორუსი“ იმპერიალისტები...

ადამ მიხნიკი თსუ-ში

1 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილმა პოლონელმა საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალისტმა, ესეისტმა და ისტორიკოსმა ადამ მიხნიკმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ევროკავშირი — რეალობა და მოლოდინები“.

ადამ მიხნიკის ვიზიტი საქართველოში უკავშირდებოდა ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტის პროექტს „კინო სოციალური ცვლილებებისთვის“, რომლის პრეზენტაციაც თბილისში ეროვნული კინოცენტრისა და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მხარდაჭერით შედგა.

ლექციის დასაწყისში ადამ მიხნიკმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის დამოკიდებულებაზე სხვა სახელმწიფოებისადმი და ლოგიკურად მიიჩნია ის ფაქტი, რომ დარბაზში მსხდომთა ნაწილმა თავი შეიკავა ლექციის რუსულ ენაზე მოსმენისგან. მისი თქმით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს ერთგვარი პროტესტის ფორმაა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ენა არაა დამნაშავე, დამნაშავე არიან „ველიკორუსი” იმპერიალისტები.

ამ მცირე შესავალი ნაწილის შემდეგ ლექცია პოლონურ ენაზე გაგრძელდა.

ადამ მიხნიკმა საუბარი დაიწყო ყოფილი საბჭოთა ქვეყნების შედარებით და აღნიშნა, რომ თუ ამ ქვეყნების უკანასკნელი 26 წლის ისტორიას დავაკვირდებით, ბევრ საერთო ნიშან-თვისებას აღმოვაჩენთ. მან ვრცლად ისაუბრა პოლონეთის თანამედროვე პოლიტიკაზე და ბოლო 26-წლიან მონაკვეთს უკანასკნელი 400-წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებული პერიოდი უწოდა. აქვე ისიც დასძინა, რომ ბოლო დროს პოლონეთის საზოგადოებაში შეინიშნება შიში, რომ შესაძლოა ახალმა მთავრობამ სრულიად საწინააღმდეგოდ შემოატრიალოს ტრანსფორმაციის ის პროცესი, რომელიც პოლონეთში უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს: „და ეს შიშები არაა საფუძველს მოკლებული, გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ გვაქვს მაგალითები, როცა დემოკრატიულ პირობებში იმარჯვებენ არადემოკრატიული ძალები“, — აღნიშნა ადამ მიხნიკმა. მან მაგალითად მოიყვანა რუსეთი, სადაც, მისი თქმით, პუტინმა გამარჯვებას არჩევნების გაყალბებით მიაღწია: „პუტინი რუსეთი არ არის, პუტინი არის რუსეთის ავადმყოფობა! დღეს უკვე არავის აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ პუტინი პრეზიდენტად არჩეული არის გაყალბებული არჩევნების შედეგად. რა თქმა უნდა, აქ საუბარია სხვადასხვა დარღვევაზე — პარტიულ რეგისტრაციაზე, არათავისუფალ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე და ასე შემდეგ, თუმცა არის სხვა მნიშვნელოვანი მომენტიც — ბოლო ხანებში თვითონ რუსული საზოგადოება დაავადდა პოპულიზმის, იმპერიალიზმის და შოვინიზმის ბაცილით. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ავტორიტარიზმის და პოპულიზმის ავადმყოფობა სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც შეინიშნება. ამ ავადმყოფობას შეიძლება სხვადასხვა სახე ჰქონდეს და სხვადასხვა ბაირაღს აფრიალებდეს — ის შეიძლება იყოს მემარცხენე, მემარჯვენე ანაც პრორუსული ორიენტაციისა“, — აღნიშნა მან.

ადამ მიხნიკმა ლექციაზე ხაზგასმით ისაუბრა რუსეთის დღევანდელ პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ დღეს რუსეთი ტყუილებში ცხოვრობს, ხოლო მისი პრეზიდენტი კარგად ფლობს შიშის პოლიტიკას. „პუტინი ცდილობს, ერთმანეთთან დააკავშიროს იმპერიალისტური რიტორიკა, კონსერვატიული რიტორიკა და დემოკრატიული რიტორიკა, რაც, რა თქმა უნდა, ტყუილია, თუმცა დღეს ჩვენ ასეთივე მოვლენების შემსწრენი ვართ არა მარტო რუსეთში, არამედ პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, ლიტვის რესპუბლიკაში. პუტინმა იცის, რომ რუსეთში უნდა შექმნას ერთგვარი შიშის ერთობა. იგი რუსეთს წარმოადგენს როგორც ერთგვარ ციხესიმაგრეს, რომელიც ყველა მხრიდან მტრებით არის გარშემორტყმული. ამასვე აკეთებს უნგრეთში პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ურბანიც, მაგრამ ამ ორ ადამიანს შორის არის სხვაობა — ურბანი არის უნგრელი ხალხის უბედურება და პუტინი კი — მთელი მსოფლიოსი, მათ შორის ისეთი პატარა ქვეყნებისა, როგორიც საქართველო და პოლონეთია“, — აღნიშნა საუბარში ადამ მიხნიკმა.

როგორ უნდა გავუმკლავდეთ პუტინის საფრთხეს? პოლონელი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე საზოგადოებას ურჩევს,

ადამ მიხნიკი — ისტორიკოსი, ესეისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, პოლონეთის ყველაზე დიდი ყოველდღიური გაზეთის „GAZETA WYBORCZA“-ს მთავარი რედაქტორი, დასაქმეებულთა უფლებების დაცვის კომიტეტის თანადამფუძნებელი.

ადამ მიხნიკი 1946 წლის 17 ოქტომბერს ვარშავაში, ებრაულ ოჯახში დაიბადა. 1965-1980 წლებში იგი იყო მოძრაობა „სოლიდაროობის“ წევრი, რომელიც ქვეყანაში (პოლონეთი) კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდა. ამის გამო მიხნიკმა 6 წელი გაატარა ციხეში. 1989-91 წლებში ადამ მიხნიკი იყო პოლონეთის პირველი არაკომუნისტური პარლამენტის წევრი, იგი ასევე მონაწილეობდა 1989 წლის „მრგვალი მაგიდის საუბრებში“. ამავე პერიოდში მიხნიკი გახდა პირველი თავისუფალი პოლონური გაზეთის „GAZETA WYBORCZA“-ს მთავარი რედაქტორი, რომელიც დღეს პოლონეთის ყველაზე დიდი ყოველდღიური გამოცემაა.

ადამ მიხნიკი ფლობს დოქტორის ხარისხს ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში, მიღებული აქვს საერთაშორისო ჯილდოები, არის მრავალი სტატიისა თუ წიგნის ავტორი, მათ შორის აღსანიშნავია „წერილები ციხიდან“, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა.

მე-10 გვერდზე

| ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ |

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

— რამდენად იძლევა კონტროლის ასე-თი მექანიზმი გადაწყვეტილებების დროულად მიღების შესაძლებლობას?

— ბუნებრივია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჭიანურდება: მაგალითად, პროცედურულად, დამტვრეული ავეჯის ჩამოწერას თითქმის ერთი წელი სჭირდება, არა და იქ, სადაც ეს ავეჯია დასაწყობებული, შესაძლებელია ადგილის გამოთავისუფლება და აუდიტორიის მოწყობა. სხვათა შორის, ჩამოწერის მექანიზმი რთულია და ეს მარტო სახელმწიფო სტრუქტურებისთვის არ არის პრობლემური, კერძო სტრუქტურებისთვისაც ანალოგიურია.

გარდა ამისა, კანონის ნებისმიერი ცვლილებიდან გამომდინარე, იქნება ეს საგადასახადო კოდექსი, შესყიდვებისა თუ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, ცალკე განხილვას და მასზე ჩვენი საქმიანობის მორგებას გულისხმობს. შესაბამისად, ხშირად ხდება გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შემდეგ წესად უნდა იქცეს და პრაქტიკად ჩამოყალიბდეს.

ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ სასწავლო პროცესი ნორმალურად განხორციელდეს, ეს გულისხმობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სარემონტო სამუშაოებს და პერსონალის მართვას.

— რა დაგხვდათ, როდესაც 2010 წელს საქმიანობას შეუდექით და რა ტიპის რეფორმების გატარება მოგიხდათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ საქმიანობაში?

— სხვათა შორის, გაკეთებული საქმე ბევრი დამხვდა. მთავარი ამოცანაა, რომ სასწავლო პროცესი მოერგოს „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონს, რომელიც 2006 წელს მიიღეს. ამ მოკლე პერიოდში ვცდილობთ, ჩვენი სინამდვილიდან გამომდინარე, შესაბამისობაში მოვიდეთ ბოლონიის პროცესთან. ამდენად, უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ექსპერიმენტების პერიოდია, ეს ეხება როგორც აკადემიურ პროცესს, ასევე ადმინისტრირებას. მუშაობაში ხარვეზები ჩანდა და დღესაც შეიძლება გამოჩნდეს. ხშირად პრობლემები დაფინანსების ნაკლებობას უკავშირდება, რადგან მატერიალური ბაზა და ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია.

პირველი კორპუსის გარდა, პრაქტიკულად ყველა სხვა შენობა აღდგენას საჭიროებს, ამასთან, ძველი შენობებია და, ტექნიკური თვალსაზრისით, მათი მოვლა საკმაოდ ძვირი ჯდება, მაშინ, როდესაც ძვირდება ენერგეტიკული რესურსები, ტექნიკა, ინვენტარი და სხვადასხვა სახარჯი მასალები. შესაბამისად, ნებისმიერი ფინანსური გადაწყვეტილების უკან ჩვენი დეპარტამენტების არანორმალური მუშაობა და ენერგია დევს. ზოგჯერ ღამის 3-4 საათამდეც კი გვიხდება მუშაობა. აი, ახლაც, სტუდენტი წერს განცხადებას იმის შესახებ, რომ არ აქვს საშუალება ერთიანად გადაიხადოს სწავლის საფასური. რა შეიძლება ამ დროს გავაკეთოთ? ვერ ვაპატიებთ, რადგან ეს ნიშნავს, რომ ვიღაც სხვამ უნდა დააბალანსოს ის თანხა, რომელიც ვერ შემოვა უნივერსიტეტში. ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გადავანაწილოთ საფასურის გადახდა და გრაფიკს ვაკეთებთ თითოეული სტუდენტისთვის. თითქოს მარტივია ეს გადაწყვეტილება, მაგრამ როდესაც 2500 სტუდენტი წერს განცხადებას, ეს სამუშაო მთლიანად გადადის საფინანსო დეპარტამენტის მხრებზე, რადგან ყველა მათგანისთვის ინდივიდუალური გრაფიკია შესადგენი, მაგრამ უნივერსიტეტის მისიაც სწორედ ესაა, რომ სწავლის საშუალება მივეცით ახალგაზრდებს.

— მიუხედავად ამისა, პრეტენზიები მაინც ბევრია, განსაკუთრებით სტუდენტთა მხრიდან, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ფულს იხდიან და სწავლის სათანადო ხარისხს ვერ იღებენ?

— მოდით ვთქვათ, რომ ჩვენთან სწავლის წლიური საფასური 2250 ლარია ყველასთვის — როგორც იურისტისთვის, ისე მედიკოსისთვის. არადა, როგორ გინდა სტომატოლოგია ასწავლო ამ ფასად? საბედნიეროდ, ყველა, ვინც უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასწავლის, პრაქტიკოსი ექიმია და თავისი კლინიკა აქვს, რაც საშუალებას იძლევა, ამ ბაზებზე პრაქტიკა გაიარონ სტუდენტებმა.

— თქვენ როგორ ხედავთ ამ პრობლემის მოგვარებას?

— მხოლოდ დაფინანსების გაზრდაში. ახლა პროფესიულ პროგრამებზე, მაგალითად, კბილის ტექნიკოსზე და ა.შ. უფრო მეტს იხდის სახელმწიფო და იქ შედეგიც კარგია. პრაქტიკაზეც უკვე თამამად მიგვყავს სტუდენტები.

როდესაც აქ მოვედი, უნივერსიტეტის ბიუჯეტი 45 მილიონი ლარი იყო, ახლა ორჯერ მეტია - 89 მილიონ 700 ათასი ლარი. ეს არის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები, სასწავლო გრანტები, სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები პროგრამული დაფინანსებისთვის და სახელმწიფო სტიპენდიები.

ჩვენ ვამბობთ 89 მილიონია შემოსავალი და ეს, ერთი შეხედვით, სოლიდური თანხაა, მაგრამ უნივერსიტეტს გაცილებით მეტი ესაჭიროება. ტარტუს უნივერსიტეტის მაგალითზე რომ ვილაპარაკოთ, სადაც 16 ათასი სტუდენტია, მაშინ, როდესაც, ჩვენ, მთლიანობაში, 21 713 სტუდენტი გვყავს. ტარტუს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა ჩვენსაზე ბევრად უფრო უკეთესია, ბიუჯეტი კი 170 მილიონი ევროა. აქედან მხოლოდ მესამედია სწავლების გადასახადით შესული თანხა, დანარჩენი პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებაა და სახელმწიფო იხდის როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების, ისე კვლევების და დოქტორანტურის წასახალისებლად. მარტო თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობა მილიონებს ითხოვს. ტარტუს უნივერსიტეტი, მიუხედავად სოლიდური ბიუჯეტისა, საამისო დაფინანსებას იღებს ევროკავშირიდანაც.

— დაფინანსების გასაზრდელად რა შესაძლებლობებს ხედავთ მომავალში?

— უნივერსიტეტი ვერასოდეს გადავა კომერციულ საქმიანობაზე, არც ერთ ევროპულ უნივერსიტეტში არ არის პირდაპირი სხვა შემოსავლები, მხოლოდ და მხოლოდ საბიუჯეტო. თუმცა, დანიაში, ორჰუსის უნივერსიტეტში გვაქვს პრეცედენტი, რომ ნებისმიერ კვლევას ამ უნივერსიტეტის კვლევით დაწესებულებში უკვეთავს სახელმწიფო.

— ასეთი კითხვა ხშირად ჩნდება – ჩვენი სახელმწიფო თითქმის არ იყენებს იმ ინტელექტუალურ რესურსს, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია...

— რაღაც ნაწილს იყენებს, მაგრამ ესეც უფრო ინსტიტუტების აქტივობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ჩვენ გვაქვს მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიცაა რევაზ კვატაშიძე და ისინი ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ მინერალების შესწავლის და მოძიების მხრივ, უცხოელებისთვისაც კი მოუმზადებიათ კვლევები. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, გარკვეულ საკითხებში, სახელმწიფომ ექსკლუზივი მისცეს კვლევით ინსტიტუტებს, მაგალითად, გეოლოგიური ექსპერტიზის მომზადებისას. მართალია, ეს ეწინააღმდეგება კონკურენციის პრინციპს, მაგრამ ბუნებრივი მონოპოლიები ჩვენშიც ხომ დაშვებულია, მაგალითად, ენერგეტიკაში. მით უმეტეს, რომ ამ ინსტიტუტებში უზარმაზარი ცოდნაა დაგროვებული სხვადასხვა მიმართულებით.

ასევე, შესაძლებელია გაიზარდოს პირდაპირი დაფინანსება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე – როგორიცაა სარემონტო სამუშაოები, ლაბორატორიული აღჭურვილობები. ეს გაზრდის სწავლების ხარისხს, რაც აისახება კიდეც ქვეყანაზე.

— მოკლედ რომ ვთქვათ, რაზე იხარჯება დღეს უნივერსიტეტის ბიუჯეტი და როგორია მისი დანაწილების პრინციპი?

— ამის თაობაზე ჩემი დაწვრილებითი ანგარიში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული.

რაც შეეხება სტუდენტურ კონტიგენტს, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, ყველაზე დიდი რაოდენობა სტუდენტების ჩვენთან არის, აქედან 21 268 აკადემიური და 445 პროფესიული პროგრამით.

მატერიალური ბაზაც ყველაზე დიდია, მთლიანობაში 300 ათასი კვადრატული მეტრია ჩვენი ფართობი და ამას ემატება კიდევ 14 კვლევითი ინსტიტუტი.

— ხშირად ადმინისტრაციული შტატის გამო გამოითქმის საყვედურები: სტუდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ გაბერილია შტატები...

— აკადემიურ თანამდებობებზე მეტია ადმინისტრაციის თანამშრომლები, მაგრამ რის ხარჯზე? საერთოდ, დეპარტამენტების შტატი მცირეა, მაგრამ მატერიალური რესურსების დეპარტამენტში 362 თანამშრომელია, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში - 243. ესენი დამლაგებლები და დაცვის თანამშრომლები არიან. 300 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიას, რომელიც უნივერსიტეტის საკუთრებაა, ვფიქრობ 300-ზე მეტი დამლაგებელი ნამდვილად სჭირდება, მათი დარიცხული ხელფასი კი 350 ლარია, რაც ხელზე 270 ლარს ნიშნავს.

— თქვენ როგორ შეაფასებთ თქვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებს – რისი გაკეთება მიგაჩნიათ მთავარ დამსახურებად და რაში შეგეშალათ ხელი?

— პირველი, რაც გაკეთდა, იყო ის, რომ თანამშრომლებს გავუჩინე სტაბილურობის შეგრძნება. შევქმენი შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც მაკონტროლებლის ფუნქციით კი არა, ხარვეზების გამოსწორებით იყო დაკავებული, დეპარტამენტის უფროსებს კი გამოვუცხადე, რომ მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელზეც პასუხისმგებელნი ისინი არიან, არ შეიცვლება არც რექტორის და არც ჩემს მიერ.

ასევე, პირველი იყო სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ჩავატარეთ, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი გახლდათ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. მთლიანად შეიცვალა სახურავები, რადგან კორპუსებისა და განსაკუთრებით კვლევითი ინსტიტუტების უმეტესობაში წვიმა ჩამოდიოდა და შენობები ნადგურდებოდა.

ეს პრობლემა მოვხსენით და ნელ-ნელა გადავედით ოთახების რემონტზე, ფან-

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ — თავდაპირველი პროფესიით – ინჟინერ-მშენებელი, მოგვიანებით დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. მიღებული აქვს ადვოკატის სერტიფიკატი საერთო კვალიფიკაციით. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში; 2010 წლის 6 სექტემბრიდან 9 ნოემბრამდე ასრულებდა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას; 2010 წლის ნოემბრიდან ამ თანამდებობაზე აირჩიეს პირველი ვადით; 2011 წელს კი ამავე პოზიციაზე მეორე ვადით აირჩიეს.

ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის უნივერსიტეტიც, პირველ რიგში სუბორდინაციის, უფლება-მოვალეობებისა და სამართლებრივ-ფინანსური ურთიერთობების განსაზღვრას და საქმიანობის პროცესის კანონით დადგენილ ჩარჩოებში მოქცევას გულისხმობს. ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება, სადაც ყველაზე მეტად საბაზროვნო და ინოვაციური პროდუქტი ფასობს, რთულად ეგუება ფორმალობებს და ბიუროკრატიულ წესრიგს, სწორედ ამიტომ, მთავარი მოთხოვნა, რომელიც უნივერსიტეტის მთავარი მენეჯერის, იგივე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ არსებობს, ორგანიზაციის საქმიანი პროცესის იმგვარი მოწესრიგებაა, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესს და არ იქცეს მის შემაფერხებლად.

კანონის მიხედვით, დავით ჩომახიძეს წელს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიციაზე ყოფნის ვადა ეწურება. მართალია, კანონით ამ პოზიციაზე ადამიანი შეიძლება ორჯერ აირჩიონ ოთხ-ოთხი წლით, მაგრამ მოხდა ისე, რომ დავით ჩომახიძისთვის რვა წელი ხუთწლიანი გამოდგა, რადგან სწორედ მაშინ შეიცვალა უნივერსიტეტის სტატუსი, როდესაც მხოლოდ ერთი წლის არჩეული იყო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამიტომ, მისი მეორედ არჩევა გახდა აუცილებელი. „რადგან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის წესი იცვლებოდა, თანამდებობრივად, მხოლოდ მე შემეხო ეს რეფორმა და ამიტომ ერთი წელი ჩამეთვალა პირველ ვადად. ვადა ოთხწლიანია და მთლიანობაში გამომივიდა 5 წელი", – ამბობს დავით ჩომახიძე და არც იმას მალავს, რომ საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პოზიციიდან წასვლა დროულადაც მიაჩნია:

— სიმართლე გითხრათ, მეტს თვითონაც ვერ შევძლებდი, რადგან ძალიან დიდი დატვირთვაა! წარმოიდგინეთ, მარტო წელს უკვე შემოსულია 46 ათასი წერილი ჩემს სახელზე. დღეში გამოდის საშუალოდ 185 წერილი, რომლებზეც შემდგომი რეაგირებაა საჭირო, ბრძანების, ხელშეკრულების გაფორმების, შესყიდვის განხორციელების სახით და ა.შ.. წერილები რომ რეაგირების გარეშე არ დარჩეს, საკმაოდ მკაცრად კონტროლდება უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქცია კანონით არის გაწერილი და იგი უმაღლესი პასუხისმგებლობის მქონე პირია საფინანსო, ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსების სფეროში. ბუნებრივია, სახელმწიფოს მხრიდან, ხორციელდება ფინანსური კონტროლი და ადმინისტრირება სახელმწიფო აუდიტის, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ხაზინის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რაც ძალიან კარგია იმ მხრივ, რომ თუ მუშაობის პროცესში რაიმე ხარვეზი გამოვლინდა, ეს უყურადღებოდ არ რჩება, მოწმდება და ჩვენ შესაბამის რეკომენდაციებს და შენიშვნებს ვიღებთ ხარვეზის გამოსასწორებლად. მაგრამ ბუნებრივია, რომ დიდია პასუხისმგებლობის ხარისხიც.

დავით ჩომახიძე კვლავ თავისუფალ პროფესიას უბრუნდება

მეცხრე გვერდიდან

ჯრების გამოცვლაზე, ლაბორატორიული აღჭურვილობის, წიგნების შეძენაზე და ა.შ; ამ ეტაპზე შეიძლება ვთქვათ, რომ ინფრასტრუქტურა აღარ ნადგურდება, გადარჩენილია, მაგრამ ახლა ამ ყველაფერს სჭირდება გაუმჯობესება. ეს არის იმ დეპარტამენტების დამსახურება, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობენ და ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა ერთობლივად: ვმსჯელობდით, რა იყო უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული, რაზე შეიძლებოდა დროებით უარი გვეთქვა. ამ საქმიანობის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით ჩემს ყოველწლიურ ანგარიშებშია ნათქვამი. გარდა ამისა, დავიწყეთ თანამშრომლების გადამზადება. რაც შეეხება სტუდენტებს, გაცვლითი პროგრამების და სხვა სერვისების გარდა, უკვე მომზადდა ელექტრონული სასწავლო ბაზა, რომელიც მარტიდან ამოქმედდება და რასაც 2 წელი დასჭირდა. ამის შემდეგ გამოსწორდება ის პრობლემები, რის გამოც ხშირად გვსაყვედურობდნენ. ამ ბაზაში შეტანილი იქნება სასწავლო პროგრამები, სილაბუსები, მონაცემები აკადემიური პერსონალის თაობაზე და

> პირველი, რაც გაკეთდა, იყო ის, რომ თანამშრომლებს გავუჩინე სტაბილურობის შეგრძნება. შევქმენი შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც მაკონტროლებლის ფუნქციით კი არა, ხარვეზების გამოსწორებით იყო დაკავებული, დეპარტამენტის უფროსებს კი გამოვუცხადე, რომ მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელზეც პასუხისმგებელნი ისინი არიან, არ შეიცვლება არც რექტორის და არც ჩემს მიერ.

ა.შ.; თუმცა, ეს, ალბათ, მხოლოდ 10 პროცენტია იმისა, რაც უნდა გაკეთებულიყო, რომ ყოფილიყო შესაბამისი დაფინანსება.

— ***ბევრჯერ მოგიხდათ ცხოვრებაში პროფესიისა და სამსახურის შეცვლა, სად აპირებთ საქმიანობის გაგრძელებას?***

— სხვათა შორის, დიდხანს არ ვჩერდები ერთ სამსახურში და ახალ სფეროში ვეძებ რეალიზაციის შესაძლებლობებს. უკვე მქონდა მოლაპარაკება რამდენიმე ორგანიზაციასთან. ვაპირებ კერძო სტრუქტურებში გადავინაცვლო, პარალელურად, ადვოკატის პრაქტიკაც მაქვს და ვფიქრობ, ამ საქმესაც დავუბრუნდები.

თსუ-ის რომელ კორპუსში განთავსდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი?

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კორპუსის რემონტი იწყება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსების საშუალებით ე.წ. ფსიქოლოგების კორპუსი 9 თვის განმავლობაში რეაბილიტაციის პროცესში იქნება. თუ სად განთავსდება ამ პერიოდში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, გარკვეული ჯერ კიდევ არ არის. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან აუდიტორიების

დროებით დათმობის თაობაზე. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ინფორმაციით, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად გასაგრძელებლად საჭიროა 80-100 კაციანი 3 აუდიტორია, 50 კაციანი — 3 აუდიტორია, სემინარების ჩასატარებლად 20-25 კაციანი — 10-15 აუდიტორია და დამატებით 6 ან 7 ოთახი ადმინისტრაციისთვის. ამ დროისთვის განიხილება ორი ვარიანტი – მაღლივის ტერიტორიაზე არსებული თსუ-ის კორპუსები და ავლაბარში, ყოფილი „თეუსუ“-ს შენობა. ამის შესახებ თამარ გაგოშიძემ სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის ვიპოვოთ ადგილი, სადაც მეტ-ნაკლებად ყველა სასწავლო პროცესის განხორციელებას ნორმალურ ვითარებაში მოვახერხებთ. ამ დროისთვის ორი პრობლემაა – სტუდენტებმა, რომლებსაც ჩვენი სპეციალობა მაინორ პროგრამად აქვთ არჩეული, ეს პროგრამა უნდა დაასრულონ და მეორე — აუცილებელია, სააუდიტორიო და ადმინისტრაციული მუშაობა ერთ სივრცეში განხორციელდეს. დავიწყე მარკეტინგული კვლევა და მისი შედეგების მიხედვით, VI და IV კორპუსები იმდენად გადატვირთულია, რომ შეუძლებელია აუდიტორიები გამოყონ. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლება პირველსა და მეორე კორპუსში იქნება, მაგრამ საღამოს საათებში. ამის თაობაზე დაპირება უკვე მივიღე. ამ დროისთვის ორი მიმართულებით ვმუშაობ, აუდიტორიების თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებთან. გამოცდებს რაც შეეხება, უზრუნველვყოფთ, რომ იმ გამოცდების გარდა, რომელსაც საგამოცდო ცენტრი

უწევს ორგანიზებას, დანარჩენი პირველსა და მეორე კორპუსებში ჩატარდეს“, — განაცხადა თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების პოზიცია განსხვავებულია. ნაწილი მიიჩნევს, ვაკის ტერიტორიაზე არსებულ თსუ-ის კორპუსებში იმდენად დიდი რესურსია, რომ სტუდენტების გადანაწილება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ნაწილი კი ფიქრობს, რომ უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, სტუდენტებმა მაღლივში ან ე.წ. ავლაბრის კორპუსში გადასვლაზე პრეტენზიები არ უნდა განაცხადონ. თუმცა, III კორპუსის გარემონტების ფაქტს ყველა ერთმანიშვნელოვნად დადებითად აფასებს.

„პირადად ჩემთვის მაღლივის ტერიტორიაზე გადასვლა ბევრად უფრო მისაღებია, რადგან საუნივერსიტეტო სივრცესთან უფრო ახლოს ვიქნებით. ძალიან კარგია, რომ III კორპუსის გარემონტება და კეთილმოწყობა გადაწყდა, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი ფაკულტეტი პირველ და მეორე კორპუსშიც შეეძლოთ განეთავსებინათ, რადგან ძალიან დიდი რესურსი არსებობს“, — განაცხადა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ელისაბედ გეგენავამ.

„ვფიქრობ, რომ პროტესტი ავლაბრის ან მაღლივის ტერიტორიაზე გადასვლასთან დაკავშირებით არალოგიკურია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია III კორპუსის გარემონტება და სტუდენტების მხრიდან ეგოისტური მიდგომა — „მე ვაკეში ვცხოვრობ და ავლაბარში ვერ ვივლი”, მიუღებელია. ბევრი სტუდენტისგან მსმენია ასეთი ფრაზები. ეგოისტური მიდგომით არაფერი გადაწყდება, პრიორიტეტი უნივერსიტეტის ინტერესებია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ერთ სივრცეში მიმდინარეობდეს სასწავლო პროცესიც და ადმინისტრაციული მუშაობაც, რათა დამატებითი პრობლემები არ შეიქმნას“, — აღნიშნა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მარიამ ტაბატაძემ.

პროფესორი თამარ გაგოშიძე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს 8 დეკემბერს შეხვდა. დეკანის ინფორმაციით, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე აღნიშნული საკითხი მოგვარდება.

ენა არაა დამნაშავე, დამნაშავე არიან „ველიკორუსი“ იმპერიალისტები...

ადამ მიხნიკი თსუ-ში

პირველი გვერდიდან

დააკვირდნენ გარემოს, რომელიც გაჯერებულია რუსული პროპაგანდით: „ეს არის ერთგვარი მეხუთე კოლონა, რომელსაც ისინი ძალიან კარგად იყენებენ. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ და ავუხსნათ საზოგადოებას, რომ ეს არ არის კონფლიქტი რუსეთთან, ეს არის კონფლიქტი პუტინის დიქტატურასთან, რომელიც თავისი არსით ღრმად ანტირუსულია. პუტინის თითქოსდა ბრძოლა ოლიგარქიის წინააღმდეგ, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი პოზიციების გამყარება“, — განაცხადა მან.

ადამ მიხნიკის აზრით, რუსეთში პოლიტიკა თითქმის აღარ არსებობს, რადგან რაც იქ ხდება, ყველაფერი უშიშროების დაგეგმილია. „პუტინის და მისი მიმდევრების მანევრები სხვა არაფერია, თუ არა მასკარადი. ეს ადამიანი ირგებს სხვადასხვა ტანსაცმელს, სხვადასხვა ნიღაბს: ხან პეტრე პირველია, ხან ლენინი, ხან სტოლიპინი, რასაც საერთო არაფერი აქვს რეალობასთან. ის, რასაც ჩვენ ახლა ვაკვირდებით, არის ერთგვარი მცოცავი სახელმწიფო გადატრიალება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროკავშირშიც გარკვეული კრიზისია, მაშინ სიტუაცია ნამდვილად საშიშია“, — აღნიშნა მან.

რაც შეეხება უკანასკნელ პერიოდში ევროპაში გაზრდილ რადიკალიზმის ტალღას, ადამ მიხნიკის აზრით, ეს დაკავშირებულია ემიგრანტების ახალ ტალღებთან, „ვხედავთ ძალიან სერიოზულ კრიზისს საბერძნეთში, ვხედავთ სახელმწიფოს რღვევის ნიშნებს უნგრეთში და იმ მშვენიერი, ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ, რომელიც გავიარეთ, ნელ-ნელა შევდივართ ხავერდოვანი დიქტატურის ეპოქაში. ახლა სხვა გამოსავალი არ არსებობს გარდა იმისა, რომ ჩვენ მეთოდურად და მყარად უნდა დავეყრდნოთ ისევ და ისევ იმ საფუძველთა საფუძველს, ანუ ძირითად ღირებულებებს, რითაც დემოკრატიული საზოგადოება მოვიდა დღემდე“, — აღნიშნა მან.

ლექციის შემდეგი ნაწილი დაეთმო საქართველოს უახლეს ისტორიას და პოლიტიკური ცვლილებების ანალიზს. როგორც ადამ მიხნიკმა აღნიშნა, იგი დეტალურად იცნობს ყველა პროცესს და თითქმის ყველა გარდამტეხ მომენტში საქართველოსა და ქართველი ხალხის გვერდით იდგა. მისი თქმით, დღეს საქართველოსაც და პოლონეთსაც ერთი და იგივე საფრთხეები ელოდება: „პირველი, ეს არის პუტინის იმპერიული პოლიტიკა და მეორე, ყველაზე დიდი საფრთხე, ეს ვართ ჩვენ თვითონ. თავის დროზე პოლონეთის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა პოლიტიკურმა კომენტატორმა კეჟერანსკიმ რადიო „თავისუფლებაში“ გააკეთა ასეთი განცხადება, რომ ყველაზე დიდი საფრთხე პოლონეთისთვის ვართ ჩვენ, პოლონელები, რადგან კაციჭამიების დემოკრატია გვემუქრებაო. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ტარდება დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ პარტია, რომელიც ამ არჩევნებს იგებს, შემდეგ ცდილობს შეჭამოს ის პარტიები, რომლებმაც არჩევნები წააგეს“, — აღნიშნა ადამ მიხნიკმა.

ლექციის ბოლოს სტუმარმა ქართულ საზოგადოებას სიმშვიდის, მოთმინების და შეცდომებზე სწავლისკენ მოუწოდა. „ჩვენ პოლონეთში მიჩვეული ვიყავით იმას, რომ ყველა უბედურება, რაც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს, სხვათა ბრალი იყო და ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ გერმანელები, რუსები, კომუნისტები და ასე შემდეგ. საბედნიეროდ, დღეს ასეთი საუბრები პოლონეთში აღარ არის, ჩვენ სხვაგან აღარ ვეძებთ მიზეზებს და, ვფიქრობ, რომ კურსი ევროპისკენ, რომელიც პოლონეთმა აირჩია, იყო სწორი, ბრძნული და ნამდვილად გამართლებული არჩევანი. დარწმუნებული ვარ, რომ თუ საქართველოს ეყოფა მოთმინება, თუ თქვენ დაიცავთ თქვენს დემოკრატიას, საბოლოო ჯამში ევროკავშირში იქნებით და მე ამას მთელი გულით გისურვებთ“, — ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა ადამ მიხნიკმა.

ლექციის შემდეგ გაიმართა ღია დისკუსია, რომელშიც სტუდენტებთან ერთად ჩაერთნენ მიხნიკის ქართველი კოლეგები. საუბარი შეეხებოდა იმ გამოწვევებს, რომელიც დემოკრატიზაციის გზაზე მდგარ ქვეყანას, კერძოდ საქართველოს ელოდება.

***მოამზადა* მაია ტორაძემ**

ამ ცეცხლ ქაქანში 2016 წლის მთელ ხიკეთის ალმაფეგიერება ვისურვოთ

საუნივერსიტეტო საზოგადოების წინასაახალწლო გამოკითხვა

უნივერსიტეტში მოსვლისთანავე რექტორმა ლადო პაპავამ, პირველი, რაც ინატრა, უნივერსიტეტში ინტრიგებისა და შიდა კონფლიქტებისთვის ბოლოს მოღება და ამ თეთრ ტაძარში სიკეთის დასადგურება იყო. ახალი წელი ყოველთვის კიდევ ერთი შანსის მომცემი მიზეზია — სურვილები ჩამოვაყალიბოთ და მის ასრულებაზე ვიოცნებოთ. თუმცა მხოლოდ ოცნებას არავისთვის არ მოუტანია სიკეთე, თუ ხელს არ გავანძრევთ, გულს მადლიერებით არ ავაძგერებთ და ჩვენს გონებას ცუდისა თუ უარყოფითის დამარცხებისთვის საბრძოლველად არ მოვმართავთ. უნივერსიტეტის კედლებში იმხელა ინტელექტი ტრიალებს, რომ შეუძლებელია – არ დავამარცხოთ ის მწარე წარსული, რაც უნივერსიტეტის იმიჯს მხოლოდ აკნინებს. ეს სივრცე იმდენ ღვაწლმოსილ ადამიანს იტევს, რომ გამორიცხულია — შური ჭარბობდეს კეთილსინდისიერებას. ამიტომ, ამ ახალი, 2016 წლის მოახლოებისას, ყველას მართებს განვლილი წლის ანალიზს შევუდგეთ და ერთმანეთს შევახსენოთ — რით იყო 2015 წელი გამორჩეული და ისიც ვთქვათ — რას ვისურვებდით ახალი წლიდან? წლის ამგვარი შეჯამება ყველა ჩვენგანს უბიძგებს უკეთესი მომავლისაკენ და იმ სიკეთისაკენ, რომელიც, საბოლოოდ, ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას. ეს კი საუნივერსიტეტო საზოგადოებას, ქართული საზოგადოების მოლოდინებიდან გამომდინარე, არ უნდა გაუჭირდეს — ჩვენ ხომ ყველაფერში პირველობის ამბიცია გვაქვს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქციამ საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილი გამოკითხა და ახალი წლის სურვილების ნუსხაც შეკრა. ჩვენ ეს მხოლოდ ოცნებების შესაგროვებლად არ გაგვიკეთებია. გვინდა, რომ ვისაც ხელეწიფება ამ დაწესებულებაში ადამიანური რესურსების პატივისცემა, მათი სურვილებიც ყურად იღონ და შეუდგნენ ეტაპობრივ შესრულებას. ჩვენს რესპონდენტებს ისეთი არაფერი უთქვამთ, რომ ჯადოსნური ჯოხი იყოს საჭირო, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ასახულ ჩანაფიქრებს მხოლოდ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და გარჯა სჭირდება, რისი იმედიც, ღმერთმა არ მოგვიშალოს.

რა მიგაჩნიათ წლის მოვლენად უნივერსიტეტში?

შოთა სამსონია,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— წლის მოვლენაა ის, რომ წელს დაიწყო სამეცნიერო კვლევების დაფინანსება უნივერსიტეტის შიდა რესურსის გამოყენებით.

უშანგი გოგინავა,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— წლის საუკეთესო მოვლენად მიმაჩნია სტუდენტური მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შემოღება, რომელმაც სტიმული მისცა ნიჭიერ სტუდენტებს სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის.

დიმიტრი გეგენავა,
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი:

— წლის მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია უნივერსიტეტის დამფუძნებლების გადმოსვენება უნივერსიტეტის პანთეონში.

ავთანდილ სილაგაძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

— მნიშვნელოვან მოვლენათაგან რამდენიმეს გამოვყოფ. 1) გარკვეული მცდელობის მიუხედავად, უნივერსიტეტში სტაბილურობა შენარჩუნდა. 2) უნივერსიტეტის ინიციატივით, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს ღვაწლმოსილი უნივერსიტეტელების დახმარებას. ეს კანონი ახალი წლიდან შევა ძალაში. 3) უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან

თსუ ღმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა

წარმატებას მიაღწია მსოფლიოსა და ევროპის მასშტაბით, სხვადასხვა რეიტინგულ გამოკითხვებში. 4) აშკარაა პროგრესი საერთაშორისო კონფერენციებში გააქტიურების კუთხით. მნიშვნელოვანია, ასევე, საერთაშორისო გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნების პროცესი.

გიორგი გოგსაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

— წლის მოვლენად მიმაჩნია ის, რომ დაიწყო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსება.

იაშა მესხია,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— 2015 წლის მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ისეთი ნორმატიული დოკუმენტის შემუშავება და მიღება, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სტიმულირებას მეცნიერული კვლევებისადმი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაიხვეწა აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი. კერძოდ, უნივერსიტეტის პროფესორი აირჩევა 9 წლის ვადით, ასოცირებული პროფესორი კი 7 წლის ვადით. შემოვიდა უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმების წესი.

მნიშვნელოვანი მოვლენაა, უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე სტუდენტთა მომზადებას.

2015 წელს საინტერესო ფაქტი იყო ისიც, რომ უნივერსიტეტში შემოიღეს საფაკულტეტო გრანტები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში.

ეკა ვარდოშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— წლის მოვლენად მიმაჩნია ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპულ სივრცეში მაღალრეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლება.

ეკა ლეკაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— წლის საუკეთესო მოვლენად მიმაჩნია SMET აკადემიის გახსნა, რაც ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უახლესი ცოდნის შემოდინებასა და აკუმულირებას.

სალომე დუნდუა,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— წლის მოვლენაა თსუ-ის III კორპუსის სარემონტო სამუშაოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

ნანული დორეული,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— წლის მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ის, რომ უნივერსიტეტის პოზიცია მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში გაუმჯობესდა. თსუ კავკასიის რეგიონშიც ლიდერია, ახალი რანჟირებით, თსუ-მ მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 2006-დან 830 ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 711-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. ეს ძალზედ სასიხარულო ფაქტია.

თამარ ვეფხვაძე,
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

— წელს ბევრი რამ მოხდა და ამ ყველაფერს დავუკავშირებდი იმ ნაბიჯებს, რომელიც ახალი განახლებული მენეჯმენტის პირობებში გადაიდგა. მაგალითად, რების სისტემაში საკმაოდ კარგი ადგილი დაიკავა ფიზიკური მეცნიერებების განხრით. ეს უდავოდ დიდი წარმატებაა.

ნათელა ლაცაბიძე,
პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— ძალიან დატვირთული წელია, ერთი მოვლენის გამოყოფა გამიჭირდება, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უამრავი ღონისძიება ტარდება და თითოეული შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან მოვლენად.

თსუ-ის პანთეონში მისი დამფუძნებლის გადმოსვენების ცერემონია

ქართველოლოგიის დარგების წახალისების მიზნით საპატიო დოქტორის წოდება დაწესდა. ეს სტატუსი მიიღეს უცხოეთში მოღვაწე პროფესორებმა, ღვაწლმოსილმა ქართველოლოგებმა. ტომსონ როიტერის აკადემიური რანჟირების სისტემაში გამოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კონტექსტში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებებია და ვუსურვებდი თსუ-ს, რომელსაც სულ ორიოდე წელი აშორებს ასწლოვან იუბილესთან, ასეთივე ეფექტური ნაბიჯებით გაემდიდრებინოს თავისი თანამედროვე ისტორია.

გიორგი ღვედაშვილი,
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტომსონის რანჟი-

ირაკლი ხარჯავანიძე,
კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი:

— ჩვენი დეპარტამენტის ფარგლებში ბევრი წარმატებული მოვლენა მახსენდება. მაგალითად, ახლა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ფეხბურთში ქვეყნის თასის ჩემპიონატს მართავს. უკვე ნახევარფინალში გავედით 42 უნივერსიტეტს შორის და იმედი გვაქვს, რომ გავიმარჯვებთ. გარდა ამისა, ბევრი მიღწევებია როგორც სპორტის, ასევე კულტურის სფეროში. ზოგადად, ბოლო 4-5 წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში I ან II ადგილებს იკავებს. დეპარტამენტის საქმიანობის გარეთ წლის მოვლენის დასახელება გამიჭირდება, რადგან ბევრი საკითხია გამოსასწორებელი. ვფიქრობ, ამაზე თსუ-ის

მე-12 გვერდზე

თსუ-ში ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა

ამ ლექსი ქართულში 2016 წლისადმი სიყვარულის გამოცხადებაა ვისაურვებ

საუნივერსიტეტო საზოგადოების წინასაახალწლო გამოკითხვა

მეთერთმეტე გვერდიდან

ადმინისტრაციამაც და პროფესურამაც ინტენსიურად უნდა იმუშაონ.

თეა გერგედავა,
საგარეო დეპარტამენტის უფროსი:

— წლის მოვლენაა უნივერსიტეტის წარმატება სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში.

ირაკლი საღარეიშვილი,
საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:

— წლის მოვლენად მიმაჩნია უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგში საქართველოში პირველ უმაღლეს სასწავლებლად აღიარება და, ამავე დროს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოება.

არჩილ კუკულავა,
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

— წლის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სან-დიეგოს უნივერსიტეტთან კავშირის დამყარება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედება. ამ პროგრამებმა საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღეს და მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებს და არა მარტო მათ, ამერიკის დიპლომის აღება შეეძლებათ.

ნუნუ ოვსიანიკოვა,
კანცელარიის უფროსი:

— ჩვენი უნივერსიტეტის 2015 წლის მოვლენად მიმაჩნია უნივერსიტეტის 97 წლის იუბილესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს მიერ ჩვენი უნივერსიტეტის დაჯილდოება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ეს არის ჩვენი უნივერსიტეტის უმაღლესი შეფასება-დაფასება ქვეყნის წინსვლაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის და, ამავე დროს, არის უდიდესი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდის საქმეში.

ნიკოლოზ თოდუა,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— წლის მოვლენად მიმაჩნია „ბოტასებიანი“ დამკვირვებლის დაბრუნება მაღლივის საგამოცდო სამსჯავროზე.

სტუდენტური თვითმმართველობის საპროტესტო აქცია თსუ-ში

გიორგი ტალახაძე,
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნივერსიტეტის ობიექტების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება დაიწყო, რაც წლის მოვლენად მიმაჩნია.

სალომე ლაბაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ჩემი აზრით, წლის მოვლენა უნივერსიტეტში იყო საპროტესტო აქცია რექტორის გადაყენების მოთხოვნით.

ტატო ირემაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— წლის მოვლენად მიმაჩნია უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგში დაწინაურება — 830-ე ადგილზე გადასვლა მსოფლიო მასშტაბით და კავკასიის რეგიონში პირველობა.

გვანცა დევიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— წლის მოვლენა ჩემთვის „ცხობის სახლის“ გახსნა იყო. როგორც იქნა, გვეღირსა შედარებით ნორმალური კვება სტუდენტებს (დამეტყო კიდეც).

თამთა ჭრიკიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ჩემი აზრით, სტუდენტური პროტესტი იყო უნივერსიტეტისთვის წლის ყველაზე რეზონანსული და სახიფათო მოვლენა.



თსუ-ის პოზიცია მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში

რა სურვილებს ჩაუთქვამთ საახალწლოდ?

— ჩემი სურვილია სამეცნიერო კვლევის დაფინანსებისა გაზრდა, ასევე, აკადემიური პერსონალის ხელფასების მომატება (**შოთა სამსონია**).

— რაც შეეხება სურვილებს, ესაა სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა. ვისურვებ, რაც შეიძლება მეტი ლიტერატურის თარგმნას და ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას (**დიმიტრი გეგენავა**).

— წარმატებებს ვუსურვებ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული მაღალი დონით. მჯერა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ბევრს გააკეთებს და ძალისხმევას არ დაიშურებს ამის ხელშესაწყობად (**ავთანდილ სილაგაძე**).

— უნივერსიტეტს ვუსურვებ, უფრო წინ წავიდეს სასწავლო პროცესების, განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევების განვითარების თვალსაზრისით (**გიორგი გოგსაძე**).

— ვისურვებ, აკადემიური პერსონალისთვის ხელფასების მომატებას სხვა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად (**ეკა ვარდოშვილი**).

— მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის პროფესორი იყოს საერთაშორისო დონის მკვლევარი და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სტუდენტებისთვის წაკითხული ლექციებით. მთელს მსოფლიოში მიღებულია, რომ მეცნიერის რეიტინგს განსაზღვრავს h-ინდექსი thomson reuters-ში ან scopus-ში. ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტში არსებობდეს შიდა საუნივერსიტეტო გრანტები მკვლევრებისთვის ან მკვლევართა ჯგუფისთვის, რომელთაც ზემოხსენებულ thomson reuters-ში ან scopus-ში აქვთ მაღალი h-ინდექსი (**უშანგი გოგინავა**).

— ჩემი სურვილია, დაჩქარდეს მაღლივი კორპუსის სარემონტო სამუშაოები და მოწესრიგდეს სტუდენტთა კვების საკითხი (**იაშა მესხია**).

— ჩემი საახალწლო სურვილია, ისეთი მშვიდობიანი გარემო, რომ ადამიანებმა ენერგია და შესაძლებლობები მიმართონ სასიკეთო საქმეებისკენ, ჰუმანური განვითარებისა და სიყვარულით თანაარსებობისკენ (**ეკა ლეკაშვილი**).

— წინასაახალწლოდ ბევრი სურვილი მაქვს. უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სურვილებს მოგახსენებთ: მსურს სამეცნიერო კვლევებისთვის იმაზე ბევრად მეტი დაფინანსება გვქონდეს საბუნებისმეტყველო დარგის წარმომადგენლებს, ვიდრე დღეს გვაქვს; კარგი დოქტორანტები და თანაც დოქტორანტურაში ჩამბარებელთა რაოდენობა ისეთი იყოს, რომ ინტენსიური კვლევების განხორციელების საშუალება იყოს; ვაკეთოთ ისეთი ექსპერიმენტები, რაც საკითხის აქტუალობიდან გამომდინარეობს და ისეთი საშუალებებით, რომელიც დასმულ კითხვაზე ზუსტ პასუხს იძლევა. დღესდღეობით კვლევა ძალიან მწირი საშუალებებით გვიხდება, მოძველებული ტექნიკითა და შედარებით იაფი მეთოდიკური მიდგომებით. მეტ საერთაშორისო კავშირებს ვისურვებდი ასევე (**ნანული დორეული**).

— ქვეყანას, პირველ რიგში, ვუსურვებ მშვიდობას, მხნეობას და კეთილდღეობას. იმას, რომ 2016 წელმა ძალიან კონსტრუქციულად და მშვიდობიანად ჩაიაროს, რადგან ცოტა დაძაბული პერიოდი გველოდება, ვგულისხმობ, საპარლამენტო არჩევნებს. მომავალ წელს ქვეყნისთვის და უნივერსიტეტისთვისაც მოეტანოს მხოლოდ სიკეთე, წინსვლა, წარმატებები და ახალი პერსპექტივები (**თამარ ვეფხვაძე**).

— ჩემი, როგორც სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელის საქმიანობა და სურვილებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ზრდასთან. ვგულისხმობ მოპოვებული გრანტების და გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობას. ჩემი დიდი სურვილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის წარმატებით მოხვდეს საერთაშორისო რანჟირების სისტემაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ საკმაოდ დიდი წინსვლა გვექნება. ასევე, თსუ-ის ყველა პროფესორსა და ადმინისტრაციის თანამშრომელს ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებ (**გიორგი ღვედაშვილი**).

— ვისურვებდი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყოს სიმშვიდე და აკადემიური გარემო. ყველა თანამშრომელს დასახული მიზნები განეხორციელებინოს და საკუთარი სამსახურით კმაყოფილები, ასევე, მატერიალურად უზრუნველყოფილები ყოფილიყვნენ (**ნათელა ლაცაბიძე**).

— მინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფრო მეტი კარგი ღონისძიებები გაიმართოს. ვისურვებდი, რომ მომავალ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ბაზები შეიქმნას, სადაც სტუდენტები ივარჯიშებენ. მათ, ასევე, ვუსურვებ, რომ სამომავლოდ განათლება უფრო გაიღრმავონ. მინდა, რომ 2016 წელი პროფესორ-მასწავლებლებისთვის საუკეთესო წელი იყოს და უნივერსიტეტში საუკეთესო პირველკურსელთა ნაკადი მივიღოთ (**ირაკლი ხარჯავანიძე**).

— მსურს, რომ მშვიდობა იყოს ქვეყანაში, რომ ქალები და ბავშვები იყვნენ დაცულები (**თეა გერგედავა**).

— უნივერსიტეტს ვუსურვებ ბევრ ფულს; პრობლემების დასაძლევად და დასახული მიზნების მისაღწევად; სტუდენტებს — ბევრ სახელმძღვანელოს ცოდნის გასაღრმავებლად და შემდეგ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად; თანამშრომლებს კი — ბევრ სიხარულს სიცოცხლის გასახანგრძლივებლად (**ირაკლი საღარეიშვილი**).

— უნივერსიტეტს სჭირდება წარმატება, ნებისმიერ დაწესებულებას წარმატების მისაღწევად კი — სტაბილურობა, ასევე, განვითარებაზე ზრუნვა. უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგებში საკმაოდ ნორმალური პოზიციები გვაქვს, განსაკუთრებით ფიზიკის დარგის მიმართულებით. ვისურვებდი უფრო მეტ წინსვლას (**არჩილ კუკულავა**).

— ვისურვებდი, რომ მომავალი წლიდან თსუ-ის საგამოცდო ცენტრის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდეს (**მაია ჩიღვინაძე**).

— უპირველეს ყოვლისა მთლიანად უნივერსიტეტის მასშტაბით, როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებს და, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებს, ვუსურვებ წარმატებებს საკუთარ საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაში.

მე-13 გვერდზე

ამ ფურცელზე 2016 წლის მთავარ სიკეთეს ვისურვებთ

საუნივერსიტეტო საზოგადოების წინასაახალწლო გამოკითხვა

მეთორმეტე გვერდიდან

იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტი იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე იყო 2015 წელს. ვისურვებდი კონკრეტულად ჩემს ფაკულტეტზე და სხვა ფაკულტეტებზეც ინფრასტრუქტურული პრობლემები მოგვარდეს; გარკვეული კორპუსები, რომელშიც ჩვენ გვიწევს სწავლა, გარემონტდეს. სტუდენტებს შექმნოდეთ ისეთი გარემო, რომელიც მათ რეალურად დაეხმარებათ, რომ საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინონ და შესაბამისი განათლება მიიღონ. რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ სამეცნიერო კონფერენციები გააქტიურდეს და, ზოგადად, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროექტები ყოფილიყოს პრიორიტეტული (**ტატო ირემაძე**).

წლის პერსონა

- **გამოკითხვების შედეგად, უნივერსიტეტში წლის ადამიანად დასახელდა თსუ-ის კანცლერი — ბატონი დავით ჩომახიძე. ამ წელს მას ეწურება თსუ-ში ადმინისტრაციის ხელმძღვანლის საქმიანობის ვადა და, როგორც გამოკითხულთა ნაწილი აცხადებს, უნდა დავაფასოთ მისი ღვაწლი უნივერსიტეტის განვითარებისთვის.**
- **რექტორის აზრით, წლის ყველაზე გამორჩეულ უნივერსიტეტელად უნდა ჩაითვალოს პროფესორი ვახტანგ ლიჩელი უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენისთვის.**

— როგორც იურისტი, ვისურვებდი, რომ სამართლიანობა უფრო მაღალ დონეზე ყოფილიყოს საქართველოში და ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ხდებოდეს კანონის ნორმების შესაბამისად. თუკი დარეგულირდება კანონმდებლობის რეჟიმში მოქმედება და ყველაფერი განხორციელდება კანონის შესაბამისად, ქვეყანაც დალაგდება, ეკონომიკა იქნება ეს, პოლიტიკა, მეცნიერება თუ ნებისმიერი დარგი. სრულიად საქართველოს ვუსურვებ წარმატებას, გაძლიერებას და გამთლიანებას (**კოტე სალუქვაძე**).

— ახალ წელს პირველ რიგში ჩავუთქვამ, რომ 1.18-იანი სენდვიჩები შემოიღონ, რომ ყოველდღიურად შევძლოთ სტუდენტებმა კვება.

განათლების კუთხით ყველაზე მეტად მინდა, რომ II კორპუსი გაარემონტონ. ვისურვებდი, რომ მეტად სახალხო გახდეს ჩვენი სასწავლო პროცესი, ვგულისხმობ იმ სემინარებსა და ღონისძიებებს, რომელსაც თუნდაც თვითმმართველობა ატარებს. მინდა, რომ უფრო მეტად იყოს გადატანილი ყურადღება სიახლეებზე, რადგან „ლაუდსპიკერსის“ და ჯედ ბერდის კონცერტებით დაიღალა ყველა. ვისურვებ, რომ უფრო ხალისიანი წელი გვქონდეს და მეტი შემართებით, მეტი რემონტებით, ენერგიით და წარმატებით გაგვევლოს 2016 ნელი (**დეა მინაძე**).

— ვისურვებდი, მომავალ წელს, ქუჩაში გავლის დროს, რაც შეიძლება ნაკლებ ადამიანს ვხედავდე მუყაოს ყუთებზე წამოწოლილს, გათოშილს და უძლურს (**ლიკა ჯანყარაშვილი**).

— სანტას ვთხოვ მაჩუქოს პატარა დაფა, სახლში რომ დამეტიოს, ისეთი. ისე კი, მინდა მშვიდობა ვთხოვო, ბანალურად გამომდის, მაგრამ ამდენი უბედურების მერე მშვიდობიანი წელი საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა (**თამთა ჭრიკიშვილი**).

რა ღონისძიებები იგეგმება საახალწლოდ?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წინასაახალწლო პერიოდი განსაკუთრებით დატვირთულია თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისთვის, იგეგმება სხვადასხვა საახალწლო და სოციალური პროექტები.

14 დეკემბერს გაიმართა გაერთიანებული კონცერტი თსუ-ის ანსამბლების მონაწილეობით („თსუ გორდელა“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი და ქორეოგრაფიული ანსამბლი), 23 დეკემბერს ჩატარდება მან-სან-კან-ის ჩემპიონატის ფინალური წარმოდგენები, ხოლო 24-25 დეკემბერს თსუ-ის თეატრალური დასი წარმოდგენას გამართავს. 4-5 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საახალწლო წვეულებაზე გავშვებს უმასპინძლებს – პატარებისთვის იგეგმება თსუ-ის თეატრალური დასის წარმოდგენა. 9 იანვარს კი თსუ საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებს კორპორატიულ საახალწლო საღამოზე ეპატიჟება.

წლის ადამიანები ვახელთ ოჯახურ ხელს

ტრადიციულად, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია ყოველი წლის ბოლოს ატარებს შიდა გამოკითხვას, გაზეთისთვის თუ ვინ არის წლის საუკეთესო რესპონდენტი, წლის საუკეთესო თანამშრომელი და წლის საუკეთესო კომუნიკაციის უნარის მქონე ადამიანი? სწორედ ამგვარი დამოკიდებულებების ხარჯზე ვქმნით იმ „პროდუქტს“, რომელსაც მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება ეცნობა. ჩვენს მიერ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულად გამოვლენილ პიროვნებებს ჩვენ ერთი კითხვით მივმართეთ — რამდენად მოსწონთ უნივერსიტეტის გაზეთი? — ანგარიშვალდებულებას ჩვენ განსაკუთრებულად სწორედ ამ ადამიანების წინაშე ვგრძნობთ, რადგან ისინი ჩვენი პრინციპების გულშემატკივარნი არიან და კარგად ესმით უნივერსიტეტის პრესისა და ტელევიზიის დანიშნულება თუ არსი. უნდა ითქვას ისიც, რომ, თუკი, დღეს, გამოკითხულთა უმრავლესობა საუნივერსიტეტო გაზეთის დამოუკიდებლობის ხარისხს აფასებს, ეს უნივერსიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის დამსახურებაცაა. ჩვენ გვახსოვს ის პერიოდიც, როცა უნივერსიტეტის გაზეთის ყოფნა-არყოფნის ბედი განიხილებოდა და ცენზურის ქვეშ ვმუშაობდით, რაც ერთფეროვანს ხდიდა გაზეთს. ახალ რეალობას კი გაზეთის მთელი რედაქცია მიესალმება, რაც ჩვენს პასუხისმგებლობასაც ზრდის, რადგან თავისუფლება ერთგვარი პასუხისმგებლობაცაა.

რა მოგწონთ და რა არა უნივერსიტეტის გაზეთში?

გვესაუბრებიან გაზეთის რედაქციის მიერ წლის საუკეთესო რესპონდენტად დასახელებული კანდიდატები:

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ვიცე-რექტორი:

— ზოგადად მომწონს, რომ გაზეთს უფრო ინტერესით ვკითხულობ დაახლოებით 2-3 წელია, ვიდრე აქამდე ვკითხულობდი და გაცილებით უფრო მეტ საინტერესო ინფორმაციას ვიღებ, ვიდრე აქამდე შეიძლებოდა — მიმეღო. ეს, ალბათ, შეიძლია გაზეთის პლუსში ჩავთვალო. რა არ მომწონს? — ძნელია თქმა, მაგრამ, მინდა, რომ გაზეთი უფრო მეტად იყოს პოზიტიურზე ორიენტირებული. მესმის, რომ ბევრი პრობლემა დაგროვდა უნივერსიტეტში, რაც გამოსასწორებელია და ეს აუცილებლად უნდა იყოს გაზეთის ერთ-ერთი თემა, მაგრამ კარგზეც უფრო მეტი უნდა დაიწეროს იგივე სტუდენტების ცხოვრებიდან, აკადემიური საქმიანობიდან და ა.შ. ანუ მინდა, გაზეთი დაბალანსებული იყოს უფრო მეტად.

თამარ გაგოშიძე,
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

— მომწონს, რომ აქტუალურ, პრობლემურ თემებზე ბევრი იწერება, რაც ძალიან კარგია. კარგია ის, რომ ყველა მხარე, სტუდენტებისა თუ პროფესორების სხვადასხვა აზრები ფიქსირდება. კარგი იქნება, თუ უფრო მეტი და მრავალფეროვანი რუბრიკა გექნებათ, დავუშვათ, სტუდენტურ

მე-14 გვერდზე

ამ ღონეთ ქარაში 2016 წლის ბოლო ხუთეულის ანალიზი ვისურვოთ

საუნივერსიტეტო საზოგადოების წინასაახალწლო გამოკითხვა

მეცამეტე გვერდიდან

ცხოვრებაზე, თავად პროფესორების ცხოვრებაზეც.

სალომე დუნდუა,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— საკმაოდ ინტენსიურად ვეცნობი თქვენს გაზეთს და მომწონს. უბრალოდ, შეიძლება, მეტი ადგილი დაუთმოთ განსხვავებულად მოაზროვნე სტუდენტებს ან ლექტორებს. თუმცა ამასაც აკეთებთ და რომ გითხრათ, რომ დიდად მაკლია ამ მხრივ ინფორმაციის მიღება თქვენი გაზეთიდან, სწორი არ იქნება. ვფიქრობ, კარგად ასახავთ მიმდინარე პროცესებს, მაგრამ უფრო მეტი კონკრეტიკა პრობლემებთან დაკავშირებით კიდევ უფრო კითხვადს გახდიდა თქვენს გაზეთს.

დალი კანდელაკი,
თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— მომწონს ობიექტურობა და პირდაპირობა, უარს რომ არ ამბობს გაზეთი არც ერთი საკითხის გაშუქებაზე. სურვილი მაქვს, უფრო მეტად გაშუქდეს სტუდენტების საქმიანობა და მათი წარმატებები.

ზურაბ გაიპარაშვილი,
თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

— ზოგადად, კატეგორიული არ ვარ. მომწონს, ის, რომ თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სახელი, უნივერსიტეტის წარსული, ისტორია, ტრადიციები და ამის გათვალისწინებით, ამ ჭრილში შუქდება დღევანდელობა — ეს არის მნიშვნელოვანი. მიყვარს ყველა და ყველაფერი, ვისაც უნივერსიტეტი უყვარს თავისი ისტორიით და დღევანდელობით და თქვენ ასეთები ხართ.

რა არ მომწონს? — ასე არ ვიტყოდი! უბრალოდ, თუ შეიძლება რჩევას მოგცემთ და ვისურვებ, რომ მეტი სტუდენტი ავტორი ჰყოლოდეს თქვენს გაზეთს, რომელშიც პროფესიონალურ დონეზე სტუდენტების მიერ შესრულებული სტატიები დაიბეჭდება. ეს, ერთი მხრივ, იქნებოდა დიდი სკოლა ჩვენი მომავალი ჟურნალისტებისთვის და არა მხოლოდ მათთვის. მე ჟურნალისტობას არ ვაპირებდი, მაგრამ ძალიან მეამაყებოდა, თუკი ჩემი ნაწერი უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდებოდა. მეორე მხრივ, ახალი სისხლის გადმოსხმა საინტერესო იქნებოდა თქვენთვისაც, უკვე დაბრძენებული ჟურნალისტებისთვის, როცა თქვენს გვერდით გამოჩნდებოდა ახალგაზრდების პირველი ნაშრომები.

გიორგი გოგოლაშვილი,
თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი:

— მომწონს ძალიან ამ ბოლო წლებში პირდაპირობა, სათქმელის პირდაპირ თქმა, მოურიდებლობა ავტორიტეტების მიმართ და კრიტიკულობა. იმას, რასაც თქვენ აკეთებთ, აუცილებლად მოჰყვება განაწყენება როგორც თქვენი კეთილის მსურველებისგან, ისე არაკეთილის მსურველებისგანაც, მაგრამ ამას თუ შეუშინდით, მაშინ გაზეთი აღარ ივარგებს.

ვერ გეტყვით — რა არ მომწონს. შეიძლება, რომ სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტების აზრი სასწავლო პროცესის მიმართ უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი გაზეთში. მართალია, გაქვთ ჩანართი სტუდენტებისთვის, მაგრამ მეჩვენება, რომ ცოტა ზოგად პრობლემებზეა საუბრები ამ ჩანართში. თუ სტუდენტურ მხატვრულ შემოქმედებასაც დაუთმობთ გაზეთში ადგილს, ურიგო არ იქნება. ასევე, სასურველია, უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნების შესახებ სისტემატურად მიაწვდით ინფორმაციას მკითხველს.

პაატა ბახტურიძე,
თსუ-ის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი:

— უნივერსიტეტის გაზეთი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და გადაცემებსაც რომ აკეთებთ, ძალიან კარგია. საერთოდ, საზოგადოებისთვის სოციალური ქსელებით მიღებული ინფორმაციის ოდენობა და წვდომა ინფორმაციაზე, ბევრია, მაგრამ ძნელია — გამოარჩიო და ამოკრიბო ახალი ამბები უნივერსიტეტიდან. თქვენს გაზეთში კი უნივერსიტეტზე ინფორმაციაა თავმოყრილი, რაც აადვილებს ხელმისაწვდომობას ნებისმიერ ფაქტზე, რაც ჩვენთან ხდება.

მომწონს, რომ გაზეთში არ არის მხოლოდ ერთი პოზიცია განხილული. გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით ყველანაირი პოზიციის მატარებელი ადამიანის ხედვას. ანუ მომწონს, რომ არ გაქვთ შეზღუდვა და რომ გაზეთი კონკრეტული ადამიანების ჯგუფს არ ეკუთვნის. უნივერსიტეტის გაზეთში ყველას აქვს საშუალება, რომ კომენტარი გააკეთოს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და ეს არის მთავარი, რომ დამოუკიდებლობას ინარჩუნებთ და, ჩემი აზრით, გაზეთი არ ატარებს ვიღაც ადამიანების ინტერესებს. თავისუფალი მედიის წარმოქმნა, საერთოდ, უნივერსიტეტიდან უნდა დაიწყოს და ამის ძალიან კარგი მაგალითია თქვენი გაზეთი.

რა არ მომწონს? — რთული კითხვაა. ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურად ვეცნობი ამ გაზეთს. სიმართლე გითხრათ, ჩემი დანაშაულია, რომ ადრე იმდენად აქტიურად არ ვაქცევდი ყურადღებას უნივერსიტეტის პრესას. ახლა კი უკვე ჩამოყალიბებული მაქვს აზრი: გაზეთი მაქსიმალურად ინფორმაციულია არა მარტო სტუდენტური პოზიციების გამოხატვის კუთხით, არამედ სხვა საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებითაც. მე რომ გადაწყვეტილების მიმღები ვიყო, ერთ რამეს შევცვლიდი — ერთ გვერდს ოფიციალურად დავუთმობდი სტუდენტურ ცხოვრებას უნივერსიტეტში და ყველას ეცოდინებოდა, რომ აი, ამ გვერდზე გადაფურცვლისას გაეცნობა სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას, თუნდაც ანონსების და მოკლე ინფორმაციების სახით.

ლევან ლორთქიფანიძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი, სენატის წევრი:

— უნივერსიტეტის გაზეთში მომწონს ის, რომ აღნიშნული გამოცემა ტრადიციას აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ათწლეული გავიდა და თანამედროვე ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლეს მედიის უძველესი საშუალებები, „თბილისის უნივერსიტეტი“ მაინც ცდილობს თავისი მყარი პოზიციის შენარჩუნებას სტუდენტთა და პროფესორთა შორის. უნივერსიტეტის გაზეთში გამოქვეყნებულ უმცირეს წერილს კვლავ ძველებური მნიშვნელობა და გავლენა აქვს აკადემიურ და სამოქალაქო საზოგადოებაზე. უაღრესად დასაფასებელია გაზეთის ღია დამოკიდებულება უნივერსიტეტში არსებული მრავალფეროვნებისადმი. ყველაზე მცირე და მარგინალურ გაერთიანებებსაც კი აქვთ შანსი, რომ გამოცემის ფურცლები საკუთარი პოზიციების არგუმენტირებულად ჩამოყალიბებისთვის გამოიყენონ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ის ნომერ პირველ მედიის საშუალებას უშუალოდ ადმინისტრაცია არ მართავს და მასზე კონტროლის განხორციელება მაღალი ნდობის მქონე პირების მიერ დაკომპლექტებულ საბჭოს ევალება.

ჩემი სურვილია, რომ უნივერსიტეტის გაზეთი თსუ-ის რეკლამის საშუალება არ იყოს. გაზეთი უპირატესად უნივერსიტეტის შიგნით მიმდინარე მოვლენების გამშუქებლად არ უნდა გვევლინებოდეს. მისი მთავარი პრიორიტეტი უმკაცრესი და კონსტრუქციული კრიტიკის ხელშეწყობა უნდა იყოს. ამასთანავე, ყველაფერს გავაკეთებდი გაზეთში აკადემიური პოლემიკის უკეთ წარმოჩენისთვის და უფრო მეტ გვერდს დავუთმობდი სტუდენტურ სტატიებს.

რედაქციის მიერ გამოვლენილი წლის საუკეთესო კომუნიკაციის უნარის მქონე თანამშრომლები:

ნუნუ ოვსიანიკოვა,
თსუ-ის კანცელარიის ხელმძღვანელი:

— გაზეთი მომწონს, რადგან ყველა აქტუალურ საკითხს ძალიან სწრაფად ეხმაურება. თქვენი ყურადღების მიღმა არაფერი რჩება და ეს კითხვადს ხდის გაზეთს. ამასთან ერთდ, ვისურვებდი, რომ გაზეთის ყველა ნომერში გქონდეთ სტუდენტის გვერდი, რომ უფრო ხშირად ვუსმინოთ სტუდენტებს.

ქეთი თუთბერიძე,
თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე:

— ჩემთვის მისაღებია ის ფორმა, რა ფორმითაც გამოდის გაზეთი და ჯობია იმას, რაც ჩემი სტუდენტობის დროს იყო — ერთფეროვანი და შავ-თეთრი. ყველა აქტუალური საკითხი, ეს ეხება აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს თუ თანამშრომლებს, ყველაფერი ძალიან ობიექტურად არის გაშუქებული დღევანდელ გაზეთებში და ჩემთვის სავსებით მისაღებია ასეთი მიდგომა. მინდა გითხრათ, რომ როგორც კი ჩვენთან შემოიტანთ ხოლმე გაზეთებს, ზუსტად 2-3 დღეში საერთოდ აღარ რჩება. გაზეთით დაინტერესებულნი არიან როგორც ახალი, ისე ძველი თანამშრომლები, სტუდენტებიც. ძალიან კარგი კოლექტივი გყავთ და მივესალმები ამ ყველაფერს, რომ ასეთი საყვარლები ხართ.

რედაქციის მიერ გამოვლენილი წლის საუკეთესო თანამშრომელი:

ოთარ გოგიტაშვილი,
ავტოფარეხის ხელმძღვანელი:

— თქვენს გაზეთს სისტემატურად ვერა, მაგრამ, ზოგადად, ვეცნობი. ასახავთ იმას, რაც ხდება და იგეგმება უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში რა სიახლეებია, ამას მხოლოდ საუნივერსიტეტი პრესის საშუალებით ვიგებ, რადგან მე არ ვტრიალებ მაღალ საზოგადოებაში. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, მოგესმსახუროთ მანქანებით. ნორმალური, მოწესრიგებული ტრანსპორტი თუ არ არსებობს, ვერც ერთი სტრუქტურა ვერ იმუშავებს. მადლობას მოგახსენებთ, რომ ჩვენით კმაყოფილები ხართ და მინდა გითხრათ, ყველასგან კმაყოფილება მესმის. ძველ პერიოდში, გავიხსენებ შევარდნაძის პერიოდს, როცა ფარეხი არ ფუნქციონირებდა, გვქონდა ძველი მანქანები, რასაც მხოლოდ რაიმეს გადაზიდვისთვის იყენებდნენ. მაშინ ჩამკვდარი იყო ყველაფერი, ახლა კი შეგვიძლია ყველგან მივიდეთ, პრობლემა მოგვარდეს სწრაფად და ხარისხიანად.

რედაქციის მიერ გამოვლენილი „სტუდ-ეტიკის“ (გაზეთის ჩანართი) ყველაზე აქტიური კორესპონდენტი:

თემურ ბეჭანიძე, სტუდენტი:

— მადლობა, რომ დამასახელეს ყველაზე აქტიურ კორესპონდენტად „სტუდ-ეტიკში“. რაც მომწონს, არის ის, რომ ნებისმიერი პოზიცია ფიქსირდება გაზეთში, იქნება ეს კრიტიკული სტატია თუ, ზოგადად, სტუდენტური ცხოვრების ამსახველი. მეც მქონია თქვენთან მოტანილი კრიტიკული სტატია, რომელიც მთავარ გვერდზეც კი დაიბეჭდა, ანუ არანაირი პრეტენზია არ მაქვს. იბეჭდება ყველა მოსაზრება და, ამ მხრივ, გაზეთი არის მრავალფეროვანი. ვისურვებდი, რომ 2 საგაზეთო გვერდზე მეტი დაეთმოს სტუდენტების აზრების, პოზიციებისა და განწყობების ასახვას.

დასრულდა თუ არა აჟიოტაჟი ჟურნალისტიკის მიმართულების ახალი ხელმძღვანელის არჩევის გამო?

ამა წლის 1 დეკემბერს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საბჭოს სხდომა გაიმართა. დღის წესრიგის თანახმად, ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები გაიმართა. ღია კენჭისყრის პრინციპით ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელად ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭალაგანიძე აირჩიეს, რომელმაც ამ პოსტზე აკადემიური საბჭოს წევრი, პროფესორი მარიამ გერსამია შეცვალა. აღსანიშნავია, რომ მარიამ გერსამიას არჩევნებზე თავისი კანდიდატურა არ წამოუყენებია. როგორც საბჭოს სხდომაზე ნინო ჭალაგანიძის მიერ არჩევნების ჩატარებამდე იყო განმარტებული, ამ დეპარტამენტში ხელმძღვანელის არჩევნების ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია კოორდინაციის არარსებობამ, რაც, მისი თქმით, პროგრამული აკრედიტაციის წინ გადაულახავ პრობლემებს ქმნიდა. როგორც საბჭოს სხდომის ოქმშია აღნიშნული, ნინო ჭალაგანიძის ამ განცხადებას დამსწრეთა უმრავლესობა დაეთანხმა.

ახალ რეალობას გამოეხმაურა ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი მარიამ გერსამია, რომელიც არჩევნების პროცედურების დარღვევებზე საუბრობს და რომელმაც რექტორს მიმართა მის დეპარტამენტში ჩატარებული არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების გადახედვისთვის. იმ აჟიოტაჟით, რაც ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტში ახალმა მოცემულობამ განაპირობა, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ დაინტერესდა და ყველა მხარეს პოზიციის დასაფიქსირებლად მიმართა.

უნდა დასრულდეს ხელების ფათური უნივერსიტეტში!

ინტერვიუ ჟურნალისტიკის მიმართულების ყოფილ ხელმძღვანელთან **მარიამ გერსამიასთან**:

— თქვენი აზრით, რატომ გახდა აუცილებელი ახლა დაწყებულიყო ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევაზე საუბარი?

— ფაკულტეტის დებულებაში ჩავწერეთ, რომ მიმართულების ხელმძღვანელი 2 წლის ვადით უნდა აგვერჩია. თუმცა, ფაკულტეტზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით — რა არის უპრიანი, მაგალითად, 2 წლით აირჩიონ მიმართულების ხელმძღვანელები თუ 3 ან 4 წლის ვადით? აქამდე მიმართულების ხელმძღვანელი იყო ის პროფესორი, რომელიც საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობდა. ახლა ვმსჯელობთ — უნდა დარჩეს თუ არა ეს პირობა და თუ მიმართულების ხელმძღვანელი 2 წელიწადში ერთხელ შეიცვლება, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელიც იცვლება? ჯერ კიდევ ბევრი კითხვა გვაქვს და გვინდა, ყველა ცვლილება განხორციელდეს ისე, რომ ამას რყევები არ მოჰყვეს და საგანმანათლებლო პროცესი არ დაზიანდეს.

თავისთავად, მე სწორედ მიმართულების ხელმძღვანელის არჩევნების მომხრე ვარ და ამას მხარი დავუჭირე კიდეც, თუმცა ფაკულტეტის მხრიდან ამ ე.წ. არჩევნების ჩატარებისას, ჩემი აზრით, სერიოზული სამართლებრივი დარღვევები გამოიკვეთა.

— ანუ არჩევნების პროცესთან გაქვთ პრეტენზია? ზეწოლაზეა საუბარი თუ რა გამოიკვეთა?

— ეს ყველაფერი ფორსირებულად მოხდა რამდენიმე დღეში და დაიწყო მაშინ, როცა მე და ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე 2 დღიანი სამუშაო ვიზიტით ბაქოში ვიმყოფებოდით. ამას წინ უსწრებდა ჩემი ინიციატივა — რაც შეიძლება მალე დაგვეწყო აკრედიტაციისთვის მომზადება. ამ საკითხს აკადემიურ საბჭოზეც ვლობირებდი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს რეზო ჯორბენაძეს შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ 17 ნოემბრის მაგივრად შეხვედრა ვითხოვეთ 10 ნოემბერს, რათა თადარიგი დაგვეჭირა. ანუ, ვიყავით პირველი მიმართულება ფაკულტეტზე, რომელიც შეხვდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ამ შეხვედრაზე გავწერეთ, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა, დავთქვით დედლაინები, თუმცა ამ შეხვედრაზე ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა თამარ დოლბაიამ ჩვენი მიმართულების მისამართით რამდენიმე ტყუილი გააჟღერა, რაც შემდგომ 4-მა პროფესორმა აიტაცა. ეს შეეხებოდა, მაგალითად, იმას, რომ თითქოს

მე-16 გვერდზე

უფლებამოსილების საკითხი უდავოდ გასარკვევია...

ბლიც-ინტერვიუ ასოცირებულ პროფესორთან **ნინო დურგლიშვილთან**:

— როგორც ჟურნალისტიკის მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი მარიამ გერსამია თქვენთან დაკავშირებით საუბრობს, ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოცხადებული არჩევნების პროცესში თქვენ სამართლებრივ რჩევებს და კონსულტაციებს აძლევდით პროფესორებს და, მისი თქმით, შეცდომაში შეგყავდათ ისინი. ქალბატონი მარიამ გერსამია აცხადებს, რომ თქვენ გადააჭარბეთ უფლებამოსილებას. საინტერესოა თქვენი კომენტარი...

— ამ ყველაფერზე შეიძლება გამღიმებოდა, საქმე თსუ-ს რომ არ ეხებოდეს! უკომენტაროდ დავტოვებდი, ჩემი, ანუ თსუ-ის რიგითი ასოცირებული პროფესორის მიმართ ლატენტურ „თითის დაქნევას“ რომ არ შეიცავდეს — „ხმის ამოღება არ გაბედო, თორემ სიტყვაში ასოს არ შეგარჩენთო“. ამიტომ, უბრალოდ, თავს ვალდებულად ვთვლი, ხმა ამოვიღო — შიში, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, „დაზღვევის პოლისი არ არის“.

ჩემთვის ნამდვილად შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, რომ თსუ-ის ასოცირებული პროფესორობის გარდა, თურმე სხვა „სტატუსებიც“ მჭირდება იმისათვის, რათა კოლეგებს შეკითხვებზე ვუპასუხო. სხვათა შორის, მარიამ გერსამიამ, როდესაც აკადემიური საბჭოს არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, როგორც პირველად, ისე — მეორედ, არა ერთხელ მთხოვა რჩევა, თავი არც დეკანის არჩევნების დროს შეუკავებია. მაშინ ან ჩემი უფლებამოსილების საკითხი „არ გახსენებია“, ან უფლებამოსილებას თავად „მანიჭებს“ იმის მიხედვით, თუ როდის რა არის მისთვის ხელსაყრელი. თუმცა, მაინც განვმარტავ, რომ იმ, ვისთვის არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად საბედისწერო სხდომას ვესწრებოდი როგორც „მრჩეველი“ (ხელშეკრულება 1348107; 05.06.2015 წ.), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინიციატივით.

მარიამ გერსამიას თანდასწრებით წყლის დალევა რომ გადავწყვიტო, აუცილებლად რექტორს მიმართავს „ოფიციალური წერილით“: ყურადღებით იყავით, ნინო დურგლიშვილმა ეს საქმე რეგულაციების დარღვევით არ გააკეთოსო და ჩემს ნათქვამში რა ქვეტექსტს ან მოტივაციას ეძებს? შესაძლოა, მის მიერ ბევრჯერ ნათქვამი სიტყვა გავიმეორე ქვეცნობიერად, რადგან ცნობიერის დონეზე იმას ვფიქრობ, რომ რექტორს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს მოსაგვარებელი და ცუდი არ იქნება, რომ აცალონ, საამისო დრო დაუტოვონ.

შეუძლებელია, ვინმესთვის მერჩია რვა ხელმძღვანელი „დანიშნეთ“ მეთქი, რადგან

მე-16 გვერდზე

მიმართულების ხელმძღვანელობა უფრო მენეჯმენტის სფეროა

ინტერვიუ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელთან **ნინო ჭალაგანიძესთან**:

— 1 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე, სანამ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები გაიმართებოდა, თქვენ გააკეთეთ განმარტება იმის თაობაზე, თურატომ დადგა ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე არჩევნების საკითხი. თქვენ განაცხადეთ, რომ არჩევნების ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია კოორდინაციის არარსებობამ. გთხოვთ დაგვიზუსტოთ, რა პრეტენზიები არსებობდა ყოფილი ხელმძღვანელის, მარიამ გერსამიას მისამართით?

— მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ დაინტერესებისთვის.

უპირველესად აღვნიშნავდი, რომ მიმართულების/დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები აკადემიური სფეროს მენეჯმენტის ერთ-ერთი ჩვეულებრივი მოვლენაა. ხელმძღვანელის არჩევა ხდება 2 წლით და როტაციის ეს პრინციპი, წესით, სამუშაო რეჟიმში და უმტკივნეულოდ უნდა მიმდინარეობდეს. ამ პროცესის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი აბსოლუტურად გაუმართლებელია და, სავარაუდოდ, ჩემთვის გაუგებარ კერძო მიზნებს ემსახურება.

რაც შეეხება ჩემს განცხადებას (არ მახსენდება, სად გავაკეთე, თუმცა სიტყვებს უკან არ ვიღებ), გართულებულ კომუნიკაციასა და კოორდინაციასთან დაკავშირებით, ცოტა შორიდან დავიწყებ.

მოგეხსენებათ, პროგრამული აკრედიტაციის პროცესი რთული და კომპლექსური სამუშაოების ერთობლიობაა. შესაბამისად, თითოეული პროფესორისა და მოწვეული პედაგოგის ჩართულობა წარმატების წინაპირობაა.

როცა ვსაუბრობთ გართულებულ კომუნიკაციაზე, თავიდან სწორედ პირველი ორი შეხვედრა მახსენდება, რადგან სხდომების შესახებ კოლეგებისაგან შემთხვევით გავიგე. აღმოჩნდა, რომ ელ. შეტყობინების ადრესატთა შორის არ ვიყავი ჩასმული.

მიუხედავად იმისა, რომ მიმართულების პროფესორებს შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოებები, ჩვენ შევიკრიბეთ პროგრამაზე სამუშაოდ იმ განწყობით, რომ ეს უთანხმოება აკადემიური დავის ფორმატს არ გასცდებოდა. დეტალებზე ფართო აუდიტორიის წინაშე საუბარს თავს მოვარიდებ, თუმცა ფაქტია, რომ ქალბატონი მარიამის მხრიდან პროგრამაზე სამუშაოდ შეკრები-

მე-17 გვერდზე

მივიჩნევ — აკადემიური პერსონალის ნება პატივისცემას იმსახურებს!

ინტერვიუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, **თამარ დოლბაიასთან**:

— ქალბატონო თამარ, სადავო გახდა თემა, რატომ ჩატარდა არჩევნები მაინცდამაინც ახლა ჟურნალისტიკის და არა სხვა მიმართულებაზე?

— ბატონი რევაზ ჯორბენაძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აქ გვესწრება და ახლავე გაჩვენებთ ოქმს, რომლითაც დასტურდება, რომ თავადაც ივლისში აირჩიეს კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 33-ე მუხლი ფაკულტეტის დებულებისა, რომელიც მიღებულია 2014 წლის ოქტომბერში, ითვალისწინებს დეპარტამენტის (მიმართულების) ხელმძღვანელის არჩევას. მასში აღნიშნულია, რომ დეპარტამენტის საბჭო, ანუ დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, ირჩევს დეპარტამენტის უფროსს და არჩეულ კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს დეკანს. დეკანი ნიშნავს დეპარტამენტის უფროსს და, ასევე, უფლებამოსილია, იგი თანამდებობიდან გაათავისუფლოს. დეკანის აქტით, საარჩევნო პროცესი არ რეგულირდება და ვერც უფროსის არჩევისკენ მოვუწოდებ რომელიმე დეპარტამენტს. დებულებაში მოცემულია და, შესაბამისად, ნებისმიერი დეპარტამენტი უფლებამოსილია, განახორციელოს ეს აქტი. უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ, ფაკულტეტის 6 დეპარტამენტიდან 5-ს უკვე საკუთარი საბჭოს მიერ არჩეული და დეკანის ბრძანებით დანიშნული უფროსი ჰყავს.

— თქვენს ფაკულტეტზე ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი ახალია?

— დიახ. სწორედ ამავე დებულებითა და რეგულაციით აირჩიეს 2015 წლის 16 ივლისის სხდომაზე რევაზ ჯორბენაძე აღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელად. დამსწრე პერსონალმა ოქმში ასახა თავისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც 31 ივლისს გამოვეცი მისი დამტკიცების ბრძანება. ასე რომ, ეს არ არის პირველი შემთხვევა. შემდეგ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტმაც გადაწყვიტა, აერჩია უფროსი. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ახლა? — ეს დეპარტამენტის პროფესურას უნდა ჰკითხოთ, მათი გადაწყვეტილებაა. მე დებულების მიხედვით ვიმოქმედე.

— ამბობენ, მარიამ გერსამიას პოლიტიკური შეხედულებების გამო უტევენო და პირადად თქვენზეც ეჭვობენ... ითქვა, რომ თქვენთვის „ფეისბუქზე“ მისი პოსტებიც მიუღებელი გახდა...

— „ფეისბუქზე“ დაწერილ პოსტებს ყურადღება რომ მივაქციოთ, აკადემიურ სივრცეს

მე-17 გვერდზე

უნდა დასრულდეს ხელების ფათური უნივერსიტეტში!

მეთხუთმეტე გვერდიდან

საბაკალავრო პროგრამაზე ჩვენ გვყავს 50-ზე მეტი მოწვეული პედაგოგი, რაც არასწორია. ეს იქვე დავაფიქსირე, რომ მთელს მიმართულებაზე 4 პროგრამა ფუნქციონირებს — 2 სამაგისტრო პროგრამა, 1 ბილინგვური პროგრამა და 1 საბაკალავრო პროგრამა. პედაგოგის მოწვევა კი არის შეთანხმების საკითხი, რაზეც შეიძლება მსჯელობა სამუშაო პროცესში. ამის შემდეგ პროფესორებმა დავიწყეთ მუშაობა და როგორც კი მე და მაია ტორაძე 2 დღით სამუშაო ვიზიტით წავედით ბაქოში, მივიღე მიმართულების ასისტენტ პროფესორისგან, ქალბატონ ნინო ჭალაგანიძისგან ელექტრონული წერილი, სადაც იგი აფიქსირებდა, რომ საჭიროა სასწრაფო შეხვედრა და გადაწყვეტილებების მიღება იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც ჩვენს პროგრამას შეეხებოდა. მას მანანა შამილიშვილი, მარი წერეთელი და ნათია კუპრაშვილი შეხვედრის ურგენტულობას უდასტურებდნენ (მოგვიანებით მათი მხრიდან ითქვა, რომ თუ 4 დეკემბერს პროგრამა მზად არ იქნება, აკრედიტაციას ვეღარ მივიღებთ). მათ დათქვეს შეხვედრის დღე, სადაც უნდა ემსჯელათ პროგრამის ცვლილებებზე. მივლინებიდან ჩამოსვლის შემდეგ პროფესორებს და მოწვეულ პედაგოგებს შევხვდი თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ტატა ვეფხვაძესთან ერთად. ჩავატარეთ ჩვეულებრივი თათბირი, გავწერეთ საგნობრივ ჯგუფებში მუშაობის გეგმა, გავეცანით სტრატეგიას და ა.შ. ქალბატონმა ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ ჩვენ უკვე შევიკრიბეთ და ვისაუბრეთ ამ პროგრამაზეო. ჩემი გადმოსახედიდან, ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებები უკვე წინასწარ იყო მიღებული.

— კერძოდ რა გადაწყვეტილებაზეა საუბარი?

— მათი პირველი შეხვედრის მერე მე შემატყობინეს, რომ გაჩნდა მოარული ინფორმაცია, თითქოს გერსამია პროგრამას აღარ უნდა ხელმძღვანელობდეს, ვინაიდან იგი ასოცირდება ძველ „გუნდთან", წინა ხელისუფლებასთან და აკრედიტაციას ამის გამო პროგრამა აღარ მიიღებდა. თუმცა, უკვე შემდგომ შეხვედრებზე 4 პროფესორმა უარი განაცხადა ჩემ მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ სამუშაო ფორმატზე, იმ მოტივით, რომ სასწრაფოდ მენეჯმენტია შესაცვლელი. ვფიქრობ, პროფესორები ძალიან დიდ გაუგებრობაში და შეცდომაში შეიყვანეს. ჩემი სურვილია გაირკვეს — რა მოხდა.

მინდა, რომ დაფიქსირდეს ჩემი სათქმელი: უნივერსიტეტში უნდა შეიცვალოს ამგვარი დამოკიდებულება ყველას მიმართ. ვქმნით მტრის ხატებს, მერე ამ მტრის ხატებს ვებრძვით, შემდეგ მოდის ახალი ხელისუფლება, კიდევ მტრის ხატები იქმნება და კვლავ იმათ დავდევთ — ასე იყო და ასე გრძელდება... ეს უნდა შეიცვალოს.

— აკადემიური საბჭოს არჩევნები, დაახლოებით, ერთი წლის წინ გაიმართა და თქვენ საბჭოს წევრად აგირჩიათ ფაკულტეტმა. მაშინ ხომ არ იყო ეს პრობლემა?

— მაშინ ნამდვილად არ მიგრძნია პოლიტიკური შეხედულებების გამო რაიმე დევნა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ სხვა დეკანი გვყავდა — თამარ მახარაძე, ძალიან კარგი მენეჯერი, გაწონასწორებული, კომუნიკაბელური პიროვნება... დღეს კი ახალი დეკანისთვის, ქალბატონი თამარ დოლბაიასთვის მიუღებელი აღმოვჩნდი იგივე ჩემი კრიტიკული დამოკიდებულების გამო, რადგან ყველაფერში არ ვეთანხმები მას და ამას არა მხოლოდ მე ვაფიქსირებ, არამედ ბევრი სხვა პროფესორიც. ჩემი ვარაუდით, ეს ყველაფერი, რაც განხორციელდა, გაკეთდა თამარ დოლბაიას დავალებით და მასთან შეთანხმებით. მე ყველაფერს ვიღონებ, რომ პროფესორებისთვის, რომლებიც შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი მთელი ამ პროცესის მანძილზე, გახდეს ნათელი — ვინ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას უნივერსიტეტში. მინდა, გამოაშკარავდეს ის სამართლებრივი ქაოსი, რაც შექმნეს და რაშიც, ნებსით თუ უნებლიედ, პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა. პროფესორი არ არის ვალდებული — ყველა სამართლებრივი რეგულაცია იცოდეს, მაგრამ ამის ვალდებულება აქვს ფაკულტეტს. ვინ მართავდა ამ პროცესს? — აი, ეს უნდა გაირკვეს და შეიცვალოს შედეგი საჭიროების შემთხვევაში.

— ქალბატონი თამარ დოლბაია ამბობს, რომ „არის დებულება, ჩატარდა არჩევნები, ხმა მისცეს ჯალაგანიძეს და მე არაფერ შუაში ვარ"...

— იგი ფაკულტეტის დეკანია. „მე არაფერ შუაში ვარ" — მენეჯერის ამ პოზიციას ვერ მივიღებ. იცით, პროფესორებმა პირად საუბრებშიც და სხდომებზეც (ამის აუდიო სტენოგრამაც არსებობს) პირდაპირ და ირიბად დამიდასტურეს, რომ პრობლემა ისაა, რომ მე არ მაქვს კარგი ურთიერთობა დეკანთან.

— ქალბატონი თამარ დოლბაია წუხს, რომ თქვენ მიმართულების ხელმძღვანელად არ აგირჩიეს...

— ეს არის ტყუილი, ჩემი კანდიდატურა არც ყოფილა წამოყენებული და როგორ ამირჩევდნენ? სამართლებრივად ეს არჩევნები კითხვითი ნიშნის ქვეშ დგას. მაინტერესებს, უნივერსიტეტის წესდებასთან მიმართებაში, რამდენად სამართლებრივად და სწორად ჩატარდა არჩევნები? მოხდა ჩემი დისკრიმინაცია და მე მივმართავ სახალხო დამცველის ოფისს. ჩემი სურვილია ცივილიზებულად, გამჭვირვალედ ჩატარდეს არჩევნები და არა მალულად, ორ დღეში.

იმ წერილებში, რომელიც ბატონ რექტორს, ლადო პაპავას მივწერე, ვითხოვ, რომ გაირკვეს — რამდენად გადაამეტეს უფლებამოსილებას, ამ შემთხვევაში, კონკრეტულმა თანამდებობის პირებმა? შეხვედრას ესწრებოდა ქალბატონი ნინო დურგლიშვილი, რაც ცალკე განსჯის თემაა. სწორედ ნინო დურგლიშვილმა გააჟღერა თუ უკარნახა პროფესორებს აუცილებლობა პროგრამის ადმინისტრირებაში ცვლილებასთან დაკავშირებით და რეალურად დადგა „იმპიჩმენტის საკითხი".

— ამბობენ, რომ დადგენილება 2014 წელს არის მიღებული და რომ ამ დადგენილების საფუძველზე გაიმართა არჩევნები...

— რატომღაც უნივერსიტეტში მიჩვეულნი არიან, რომ როდესაც შედეგი დადგება, შემდეგ აღარ უნდა არკვიო — ეს რატომ მოხდა? ხვალ რომ ლადო პაპავა გადააყენონ, არავინ დაიწყებს იმის გამოკვლევას — თუ რატომ მოხდა ეს? ასე არ არის... ეს უნდა შეიცვალოს. ეს ჩვენ უნდა შევცვალოთ.

საინტერესო პარალელები და ქარგაა: მას მერე, რაც ფორსმაჟორულად იკრიბებიან და ჩემგან დამოუკიდებლად მსჯელობენ პროგრამულ ცვლილებებზე, რამდენიმე პროფესორი შეთანხმებულად მეუბნება, რომ არ დაიწყებენ ჩემთან მუშაობას, რადგან აქვთ „კომუნიკაციის პრობლემა". ერთერთ მოტივად დასახელდა ჩემი „ფეისბუქის" პოსტები და გართულებული ურთიერთობა თამარ დოლბაიას დეკანად არჩევის შემდეგ. რეალურად ეს პრობლემა არ არსებობდა, უბრალოდ, არსებობდა დღის წესრიგი, რომ გერსამია უნდა მოეშორებინათ მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

— რამდენადაც ვიცი, ნინო დურგლიშვილს ჰქონდა პრეტენზია იმაზე, თუ „რატომ არ ვარ უფლებამოსილი, ვთქვა რაიმე — ეს არის ჩემი დიდი შეურაცხყოფაა"...

— იგი ამბობს (სტენოგრამაშიც ჩანს), რომ რექტორის ბრძანებით არის დანიშნული დეკანის მრჩეველად. მაჩვენონ რექტორის ეს ბრძანება. იგი უშუალო მითითებებს აძლევდა პროფესორებს — არჩევნების დანიშვნის, პროგრამაზე 8 ხელმძღვანელის დანიშვნის და მთელი ამ სამართლებრივი პროცედურების განხორციელების თაობაზე. პროფესორებს იგი ეგონათ იურისტი, რადგან მათ იგი სამართლებრივ რჩევებს და კონსულტაციებს აძლევდა და, ჩემი აზრით, შეცდომაში შეჰყავდა ისინი. თუ რა დარღვევები მოხდა ამ პერიოდში, ამას უნივერსიტეტის აუდიტიც გამოიკვლევს, შემდეგ განათლების სამინისტროც და, შეიძლება, ეს საქმე სასამართლომდეც მივიდეს.

— რას ითხოვთ, იმის მერე, რაც მოხდა? ნინო ჭალაგანიძე, როგორც გავარკვიეთ, ამ ეტაპზე არის ასისტენტ-პროფესორი, რადგან აკადემიური საბჭო, ჯერჯერობით, იმ კონკურსის შედეგებს არ დაეთანხმა, რის საფუძველზეც იგი ასოცირებული პროფესორი უნდა გამხდარიყო. რექტორმა განაცხადა, რომ კურიოზია, როცა ასისტენტ-პროფესორი ხელმძღვანელობს პროფესორებს და ასოცირებულ პროფესორებს. თქვენ რას აპირებთ ამის შემდეგ?

— რამდენიმე საჩივარია შესული რექტორატში. ერთია დეკანატისა და ადმინისტრაციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების კუთხით საკითხის შესწავლა, მეორე — აკრედიტაციის პროცესის ჩიხში შეყვანის მცდელობა იმ მოტივით, რომ ჩემი მოშორება უნდოდათ და მესამე — პროგრამისთვის 8 ხელმძღვანელის დანიშვნის თემა. ყველა ისე შეუდგა საქმიანობას, რომ არ არსებობს აკადემიური საბჭოს დადგენილებაც და ამ პროცესში იძულებული გავხდი — უარი მეთქვა პროგრამის განხორციელებაზე, რადგან ამის საშუალება აღარ მომცეს. ანუ, რეალურად, პროგრამის მდგრადობას შეუქმნეს სერიოზული საფრთხე. არჩევნები უნდა გაიმართოს და მე არ მივიღებ მასში მონაწილეობას, თუმცა იგი უნდა ჩატარდეს ღირსეულად.

— როგორ ფიქრობთ, იმ ადამიანებმა, რომლებმაც ხმა მოგცეს აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის დროს, შეიცვალეს პოზიციები?

— არსებული პრობლემების ამ თემასთან კავშირს ვერ ვხედავ. ვხედავ მხოლოდ იმას, რომ ბოლო ერთ კვირაში ამ ადამიანებმა მიიღეს ძალიან არასწორი და არაკანონიერი ინსტრუქციები — რა უნდა გაეკეთებინათ ჩემთან მიმართებაში. ეს, შესაძლოა, ხვალ განხორციელდეს სოციოლოგიის მიმართულებაზე, გეოგრაფიის მიმართულებაზე, თავად რექტორთან მიმართებით და სხვა მმართველ ორგანოს ხელმძღვანელთან მიმართებითაც. პროცესი იყო ძალიან გაუმჭვირვალე. მე ვითხოვ გამჭვირვალე არჩევნებს! ეს ნიშნავს, რომ უნდა გამოიცეს შესაბამისი ბრძანება იმის შესახებ, რომ დაინიშნა არჩევნები; ამის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში; ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; უნდა განისაზღვროს ვადები კანდიდატებისთვის, რომლებიც დააფიქსირებენ სურვილს. ამ არჩევნებში მონაწილეობაზე სურვილიც კი არ დამიფიქსირებია, რადგან ღამით ელექტრონული წერილი მომწერა ასისტენტ პროფესორმა, რომ არჩევნები ტარდებოდა და მეორე დღეს უკვე აირჩიეს კანდიდატი. ეს არ არის არჩევნები!

— ფიქრობთ, რომ შედეგი შეიცვლება?

— ამ შემთხვევაში ამას არ აქვს მნიშვნელობა. უნივერსიტეტის წესდებაში წერია, რომ ყველა არჩევნები ტარდება გამჭვირვალედ, საჯაროდ, კონკურსის სახით და ფაკულტეტს არ აქვს უფლება — დებულებით რაიმე სხვა განსაზღვროს. არჩევნების შედეგებს უნდა ჰქონდეს მაღალი ლეგიტიმაცია და ეს შედეგი არ უნდა იყოს კულუარებში დაგეგმილი და ამგვარად განხორციელებული. გამოიკვეთა, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო კონკრეტული ადამიანის მოსაშორებლად. სწორედ ეს არის შესაცვლელი უნივერსიტეტში. სულ ეს ქარგა ტრიალებს ჩვენთან!

2016 წელს გვაქვს საპარლამენტო არჩევნები. მოვა ვიღაცა ახალი ხელისუფლება და, შესაძლოა, ახალ ხელისუფლებას არ მოეწონოს ლადო პაპავა და მერე რაღაც აუგოროს (მაგალითად „კომუნიკაცია დაუწუნოს"). მე ეს ქარგა აღარ მინდა! იმიტომ კი არა, რომ ყველაფერში ვეთანხმებით მე და ბატონი ლადო ერთმანეთს, არამედ იმიტომ, რომ ეს წრე უნდა გავარღვიოთ; აღარ უნდა შევქმნათ მტრის ხატები — ის ზვიადისტია, ის „იმისტია" და ა.შ. ყველა ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. მე არ ვკითხულობ — ჩემი პროფესორი რომელ პარტიას აძლევს ხმას... არ მაინტერესებს და არც სხვას უნდა აინტერესებდეს ეს, რადგან ყველა ვაკეთებთ ჩვენს საქმეს და მინდა, დავფიქრდეთ ამაზე. უნდა დასრულდეს ხელების ფათური უნივერსიტეტში, ყველა პროფესორის და სტუდენტის მისამართით. შევცვალოთ ეს და ვიზრუნოთ მხოლოდ განვითარებაზე!

უფლებამოსილების საკითხი უდავოდ გასარკვევია...

მეთხუთმეტე გვერდიდან

ჯერ ერთი, ეს პროცესი უფრო არჩევა მგონია, ვიდრე დანიშვნა, მეორე - სხვას რომ ეხსენებინა რიცხვი რვა, მე აუცილებლად ვკითხავდი დასაბუთებას: რატომ რვა და არა შვიდი ან ცხრა? ამასთან გულწრფელად მგონია, რომ აქ რიცხვები არ არის მთავარი და არც იმ შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც რაოდენობრივი ცვლილებები თვისებრივში გადადის.

ჩემი „უფლებამოსილების" საკითხი, იმედია, გაირკვევა, მაგრამ მარიამ გერსამიამ არა მხოლოდ „არაუფლებამოსილი პირი" მიწოდა, ცინიკური ტონით „დეკანის გამხმოვანებელიც" მეძახა და არც ცილისწამებას ერიდება ჩემს მიმართ - მე არც სამართლებრივ საკითხებს შევხებივარ და არც ვინმეს შეცდომაში შეყვანა მიცდია - მხოლოდ თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი რამდენიმე წესი განვმარტე. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ან თავად მარიამია შეცდომაში შეყვანილი ან შეცდომით საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების მარეგულირებელი დოკუმენტები სამართლებრივი ჰგონია.

ვსარგებლობ შემთხვევით და მოვითხოვ, რომ ჩემი სტატუსის გარკვევასთან ერთად, ისიც გაირკვეს, მარიამ გერსამიას რა სტატუსი ანიჭებს ჩემი ცილისწამებისა და ღირსების შელახვის მცდელობის უფლებამოსილებას?

პასუხის პასუხი

იურიდიული დეპარტამენტის ოფიციალურ გამოხმაურებას, კვლავ პასუხობს პროფესორი მარიამ გერსამია და აცხადებს: „16 დეკემბერს ჩამბარდა იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული პასუხი და ამ ეტაპზე, ამ პასუხიდან გამომდინარე და იმ ოქმების საფუძველზე, რომლებიც საქმეს აქვს თანდართული, მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ მივმართო სახალხო დამცველის ოფისსა და სასამართლოს კანონის დარღვევისთვის, რომელიც დაფიქსირდა უნივერსიტეტში. საუბარი შეეხება ანტიდისკრიმინაციული კანონის დარღვევას" — აღნიშნა მარიამ გერსამიამ.

ოფიციალური გამოხმაურება

დადგინდა, რომ დარღვევა არ ყოფილა

არჩილ კუკულავა,
თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

— ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში თსუ-ის პროფესორმა მარიამ გერსამიამ შემოიტანა განცხადებები, რომლებითაც ითხოვდა გარკვეული საკითხების შესწავლას. კერძოდ, ეს ეხებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ალტერნატიული ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხს. იგი, ასევე, ითხოვდა გარკვევას, თუ რა უფლებამოსილებით სარგებლობდა ქალბატონი ნინო დურგლიშვილი, როცა იგი დეპარტამენტის სხდომას ესწრებოდა.

თსუ-ის რექტორის დავალებით, იურიდიულმა დეპარტამენტმა და შიდა აუდიტის სამსახურმა შეისწავლეს ეს საკითხები. გაირკვა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდა ფაკულტეტის დებულების მიხედვით და დარღვევა არ ყოფილა.

რაც შეეხება ქალბატონ ნინო დურგლიშვილს, გაირკვა, რომ ქალბატონი ნინო, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (ანაზღაურების გარეშე), წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის მრჩეველს და იგი სხდომაზე იმყოფებოდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რევაზ ჯორბენაძის მიწვევით.

ქალბატონი მარიამ გერსამია ასევე ითხოვდა შესაბამისი დოკუმენტაციის გადაგზავნას და დღეს მის სახელზე ეს დოკუმენტაციაც გაიცა.

მიმართულების ხელმძღვანელობა უფრო მენეჯმენტის სფეროა

მეთხუთმეტე გვერდიდან

ლი პროფესორების მიმართ გამოხატულმა არაკოლეგიალურმა დამოკიდებულებამ გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია და უკვე ღია კონფლიქტის საშიშროების წინაშე დავდექით. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ქალბატონი მარიამი უარს აცხადებდა კომუნიკაციის ჩვენთვის მისაღებ ფორმებზე და თანახმა იყო, ემუშავა მხოლოდ მის მიერ შემოთავაზებული ფორმატით, უარს აცხადებდა არჩევნებზე (ამაზეც ვიმსჯელეთ, რადგან ფაკულტეტის ახალი დებულება გვავალდებულებდა და შესაძლო პანაცეადაც მოვიაზრეთ), ამბობდა, რომ იგი უკვე იყო არჩეული და არჩევნების ჩატარების აუცილებლობას ვერ ხედავდა.

ამ სიტუაციაში კოლეგებმა იმსჯელეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნორმალური მუშაობისთვის და დაპირისპირებულ მხარეთა შორის კომუნიკაციისთვის საჭირო იყო ნეიტრალური პიროვნება, ასეთად მე ჩამთვალეს და შემომთავაზეს, დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობის არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა. ეს სრულიად სპონტანურად მოხდა, თანაც ცაიტნოტის პირობებში, რადგანაც პროგრამის ხარისხის სამსახურში წარდგენამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. მიმართულების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი კი არ ესწრებოდა ჩვენს სამუშაო შეხვედრებს, რაც გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებელს ხდიდა და პროგრამის ჩავარდნის დიდი რისკი შეიქმნა. შექმნილ ვითარებაში კონკურსში მონაწილე სხვა პროფესორებმა საკუთარი კანდიდატურები ჩემ სასარგებლოდ მოხსნეს. მარიამ გერსამიას არჩევნებში მონაწილეობის სურვილი არ გამოუხატავს. აქვე აუცილებელია აღვნიშნო, რომ ინფორმაცია დაგეგმილი არჩევნების შესახებ მას არაერთგზის ჰქონდა მიწოდებული.

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე მედიატორის როლის შესრულება და ქალბატონმა მარიამმა, რომელთანაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, „მტრების“ ბანაკს მიმაკუთვნა და ჯერ პროგრამის სრულყოფის პროცესში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა, შემდეგ კი ორი წამყვანი პროფესორი, რომლებიც მის პოზიციას არ იზიარებდნენ, სამაგისტრო პროგრამიდან გააძევა, რაც სწავლების ხარისხზე უარყოფითად აისახება.

სიმართლისგან შორსაა ვერსიები, რომელთა თანახმად მარიამ გერსამია თანამდებობიდან სოციალურ ქსელებში აქტივობის გამო გაათავისუფლეს, მით უფრო დიდი

სიცრუე იქნება, ამ მოვლენებში რაიმე პოლიტიკური კვალი ვეძებოთ.

— ***აკადემიური საბჭოს არჩევნები ერთი წლის წინ გაიმართა და საბჭოს წევრად ფაკულტეტმა მარიამ გერსამია აირჩია. თქვენი აზრით, რა შეიცვალა ამ ერთ წელიწადში და რატომ გახდა თქვენს დეპარტამენტში უმრავლესობისთვის მარიამ გერსამია მიუღებელი?***

ზემოთ საკმაოდ ვრცლად გესაუბრეთ იმ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე, რაც ბოლოდროინდელ პროცესებს წინ უძღოდა. ქ-ნი მარიამი დღესაც ფაკულტეტის საბჭოს წევრია. რაც შეეხება დეპარტამენტის უფროსის ცვლილებას, აქაც გერსამიას გათავისუფლება ტექნიკურადაც ვერ მოხერხდებოდა, რადგანაც ხელმძღვანელის პოზიციაზე იგი არც დანიშნული და არც არჩეული ყოფილა. უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი რეგულაციის მიღებამდე არსებობდა დათქმა, რომ დებულების შემუშავებამდე მიმართულებას სრული პროფესორი უხელმძღვანელებდა. 2014 წელს შეიქმნა დებულება, რომლის თანახმადაც დეპარტამენტის ხელმძღვანელი არჩევითი თანამდებობაა და კანდიდატი კონკურსის წესით საბჭომ უნდა აირჩიოს. დებულების მიღების შემდეგ წელიწადზე მეტია გასულია, მაგრამ ლეგიტიმური ხელმძღვანელის არჩევნები არ ჩატარებულა. არჩევნებში მონაწილეობის მიღება, როგორც უკვე აღვნიშნე, ქალბატონმა მაირამმა თავად არ ისურვა. ასე რომ, გერსამიას არჩევაზე თუ გადაყენებაზე საუბარი ზედმეტია.

ერთს დაზუსტებით ვიტყვი: დეპარტამენტის პროფესურის მიერ არჩეული ხელმძღვანელი ამიერიდან უფრო ლეგიტიმურია და აკრედიტაციის პროცესსაც დეპარტამენტი მოწესრიგებული და დაკომპლექტებული შეხვდება. ასევე მნიშვნელოვანია პროგრამებში აკადემიური პროფესურის მეტი ჩართულობა, რამდენიმე ხელმძღვანელის პრაქტიკა, რაც უკვე ადაპტირებულია თსუ-ის სივრცეში და კარგ შედეგს იძლევა. ამგვარი დეცენტრალიზაცია საშუალებას იძლევა, აკადემიური პერსონალი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გაცილებით აქტიურად ჩაერთოს და პროგრამის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული ახალი იდეების გენერაცია უზრუნველყოს.

— ***არჩევნებში თქვენ გაიმარჯვეთ და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდით. როგორც რექტორმა აღნიშნა, უხერხულია ასისტენტ-პროფესორი ხელმძღვანელობდეს პროფესორებსა და ასოცირებულ პროფესორებს. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამგვარ შეფასებასთან მიმართებაში?***

მოდით დავაზუსტოთ. უნივერსიტეტის დებულების თანახმად, დეპარტამენტის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორი. არსად არის მითითებული, რომ ეს ასისტენტ-პროფესორებს ეკრძალებათ - მიმართულების ხელმძღვანელობა ხომ უფრო მენეჯმენტის, ვიდრე სამეცნიერო სფეროა. ბატონმა რექტორმა ისიც ბრძანა, რომ სამართლებრივად პროცესი სწორად მიმდინარეობდა.

რაც შემეხება პირადად მე, აღნიშნულ პროცესებამდე გავიარე კონკურსი თსუ-ის ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე და 5-დან 5 ხმით ვარ არჩეული. მიზეზთა გამო, აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენილი ოქმი, პროფ. გერსამიას განცხადების შედეგად, შეაჩერეს და იურიდიულ სამსახურს დაუბრუნდა ხელახალი შესწავლისთვის. დარწმუნებული ვარ, ფორმალური მხარე დროულად მოგვარდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ პროგრამებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს. ერთ-ერთი არგუმენტი, რის გამოც კოლეგებმა შემომთავაზეს თსუ-შიც ჩამებარებინა დეპარტამენტი, სწორედ ეს იყო. იმედი მაქვს, ეს გამოცდილება დამეხმარება თსუ-შიც, რომლის აღზრდილი და პატრიოტი ვარ.

— ***რას გეგმავთ, როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელი სამომავლოდ და რა პრიორიტეტებს გამოყოფდით?***

პირველ რიგში ჩემი საზრუნავი მიმართულებაზე არსებული პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ხელშეწყობაა. მოგეხსენებათ დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილებით, უკვე არჩეულია საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები და კოორდინატორი. ჩემი უპირველესი ამოცანა ამ ადამიანების მუშაობის ხელშეწყობაა.

მომავალი სემესტრის დასაწყისში დაგეგმილი მაქვს მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის განვითარების ხედვის დოკუმენტის პრეზენტაცია. მსგავსი დოკუმენტი აქამდე არასოდეს შექმნილა და ჩემი მიზანია მასში ასახული იყოს უახლოესი ორი წლის ამოცანები, ასევე გრძელვადიანი გეგმები, რომელსაც ალბათ 2 წლის შემდეგ არჩეული ხელმძღვანელი გააგრძელებს. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებით საფუძველი მინდა ჩავუყარო ინსტიტუციური განვითარების ისეთ ფორმატს, როცა განვითარების პროცესი არ არის დამოკიდებული ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე და იგი ორგანიზებული, დაგეგმილი და წინასწარ განჭვრეტადი პროცესია.

დღეისათვის დეპარტამენტის პრიორიტეტს წარმოადგენს თეორიული მასალის ინტეგრირება პრაქტიკულ კურსებში, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და სტუდენტების მოთხოვნებზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს ფორმირების ხელშეწყობა.

გარდა ამისა, ვაპირებ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო მიმართულების სამეცნიერო განვითარებას. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, მიმართულებაზე დასაქმებული პროფესორები მუშაობდნენ დამოუკიდებლად და არ ხდებოდა მათი პუბლიკაციების, მიღწევების პრეზენტირება მიმართულებაზე მომუშავე აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისათვის. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, საინტერესო იქნება სამეცნიერო სემინარების პროგრამის განვითარება, რაც საშუალებას მოგვცემს, გავიზიაროთ კოლეგების გამოცდილება და გავაცნოთ იგი როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებსაც.

ცალკე მიმართულებად მინდა გამოვყო საერთაშორისო თანამშრომლობა. ვაპირებ გავაგრძელო ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და დონორთა მოზიდვაზე ვიმუშაო.

თუმცა, როგორც ვთქვი, დასაწყისისათვის დეპარტამენტის უპირველესი ამოცანა პროგრამული აკრედიტაციის უზრუნველყოფაა, დანარჩენი კი ეტაპობრივად განხორციელებადი პროექტებია.

ესაუბრა **ნინო კაკულია**

მივიჩნევ — აკადემიური პერსონალის ნება პატივისცემას იმსახურებს!

მეთხუთმეტე გვერდიდან

გავცდებით. ეს იყო მუშა პროცესი და როგორც ვიცი, მთელი თვის განმავლობაში იკრიბებოდნენ... არანაირ ,,ფეისბუქპოსტს" არ აქვს კავშირი არსებულ მოვლენებთან... ან რა პასუხი უნდა გავცე სოციალურ ქსელში გამოთქმულ თვალსაზრისს? პროფესურა ოქმით მომმართავს და მათ მიერ არჩეული ხელმძღვანელი ან უნდა დავნიშნო, ან — არა. არ მაქვს საბაბი, წავიდე დეპარტამენტის პროფესურის წინააღმდეგ. მათ თავიანთი არჩევანი გააკეთეს და მისი რევიზია რატომ უნდა მოვინდომო? მივიჩნევ — აკადემიური პერსონალის ნება პატივისცემას იმსახურებს!

— ***ეს დებულება სენატმა განიხილა?***

— რა თქმა უნდა, სენატმა განიხილა და დაამტკიცა წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №6).

— ***არჩევნები სხვა მიმართულებებზეც ჩატარდება?***

— დიახ. ამ პროცესს ვერც დავაჩქარებ, ვერც შევანელებ. რაც ფაკულტეტის დებულებაშია მოცემული, იმის მიხედვით უნდა იმოქმედონ.

— ***ანუ ამ ეტაპზე ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საკითხი დადგა?***

— კითხვაზე კითხვითვე მოგიგებთ: რატომ დადგა ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის არჩევნების საკითხი? იმიტომ, რომ პროფესურამ გადაწყვიტა, ლეგიტიმური ხელმძღვანელი ჰყოლოდა. სად ის, რომ დათქმით ხარ ხელმძღვანელი და სად — როცა არჩეული გქვია?! არავის შეუშლია ხელი პროფესორ მარიამ გერსამიასთვის, თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. კიდევ ვიმეორებ, მე ამ პროცესებს შორიდან ვიცნობ. ჩემ გვერდითაა დეპარტამენტის საბჭოს იმ სხდომის თავმჯდომარეც — ქალბატონი ხათუნა მაისაშვილი, რომლისგანაც შეგიძლიათ ზუსტი პასუხები მიიღოთ. გამოცემულია დეკანის ბრძანება №13 და არსებობს ხათუნა მაისაშვილის განცხადება... ჩვენს ხელთაა ოქმი, რომელშიც აღნუსხულია სხდომის მსვლელობა — ვინ რა აზრი გამოთქვა, რა საკითხები დაისვა, ეს ყველაფერი განთავსებულია ვებ-გვერდზეც. მინდა გითხრათ, რომ გული მწყდება მარიკაზე... ყველაფერი გამჭვირვალედ ჩატარდა. როგორც ოქმიდან ჩანს,

მარიამ გერსამიას კანდიდატურა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე არც კი დასახელებულა, წამოაყენეს პროფესორების — თამაზ ჯოლოგუას, მარი წერეთელის, ნათია კუპრაშვილისა და ნინო ჭალაგანიძის კანდიდატურები. ნინო ჭალაგანიძის გარდა სხვა კანდიდატებმა არგუმენტირებულად აიცილეს ეს შეთავაზება. ჩატარდა კენჭისყრა და მივიღეთ ის შედეგი, რაც გაცხადდა. ყოველივეს შემდეგ, რა საფუძველი მაქვს, რევიზია გავუკეთო პროფესურის ამ გადაწყვეტილებას?

— ***და სხვა დეპარტამენტებიც თავად გადაწყვეტენ, როდის იქნება არჩევნები?***

— დიახ. დღეის მდგომარეობით, უკვე 5 დეპარტამენტს ჰყავს არჩევნების გზით დანიშნული ხელმძღვანელი: ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტს — რევაზ ჯორბენაძე, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტს — ნინო ჭალაგანიძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტს — გიორგი გოგსაძე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს — ზურაბ დავითაშვილი და სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტს — იაგო კაჭკაჭიშვილი.

— ***თუკი არჩევნების შედეგებს პროფესურა და სტუდენტები გააპროტესტებენ, მაშინ როგორ წარიმართება სწავლების პროცესი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტში?***

— გეტყვით, რომ არჩევნების შედეგს პროფესორები არა თუ აპროტესტებენ, მათმა უმრავლესობამ აირჩია სწორედ დღევანდელი ხელმძღვანელი. დეპარტამენტის 17 პროფესორიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 12-მა. მხოლოდ 4 პროფესორი არ დასწრებია სხდომას (ერთ-ერთი უცხოეთში იყო) და არც ერთ მათგანს უთქვამს, რომ სტუდენტებს ლექციებს აღარ ჩაუტარებს... მხოლოდ ერთი მოწვეული ლექტორი ვიცი — დალი სინჯარაძე, რომელმაც სოციალურ ქსელში პოსტიც კი გამოაქვეყნა მსგავსი განცხადებით და სტუდენტებისგანაც შევიტყვე, რომ აღარ აპირებდა ლექციების ჩატარებას. მონიტორინგის სამსახურმაც დააფიქსირა მისი გაცდენები. მიკვირს, რა უფლება აქვს პროფესორს, რომელსაც უნივერსიტეტთან ხელშეკრულება აქვს დადებული, კრედიტი ჩაუგდოს სტუდენტებს, დაარღვიოს ხელშეკრულება და ლექციაზე არ შევიდეს იმის გამო, რომ დეპარტამენტის არჩეული ხელმძღვანელის კანდიდატურა არ მოსწონს?! თუმცა, ისიც უნდა შევნიშნო, რომ მან მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალა და, მცირე ხნიანი პაუზის შემდეგ, სააუდიტორიო მუშაობას დაუბრუნდა. აქვე მინდა ვისარგებლო თქვენი ტრიბუნით და ღიად განვაცხადო – ჩვენ ყოველთვის დავიცავთ სტუდენტებს ასეთი სუბიექტური გადაწყვეტილებისა და ფუჭი ვნებათაღელვებისგან!

2015 – მეცნიერების წელი

მიზანი: როგორც ლიდერები, გავცდეთ ჩვენი რეგიონის ფარგლებს

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის ავთანდილ ქორიძის მოღვაწეობა, ძირითადად, მოსკოვში წარიმართა. 2013 წლამდე იგი მუშაობდა მეტალორგანული კლასტერების ქიმიის ლაბორატორიის გამგედ ცნობილ ა. ნ. ნესმეიანოვის სახელობის ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტში. სხვათა შორის, ლაბორატორია ითვლებოდა ერთერთ ყველაზე წარმატებულ ერთეულად ინსტიტუტში, ის იზიდავდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უმაღლესი ქიმიური კოლეჯის ნიჭიერ სტუდენტებს. ახალგაზრდების სწრაფვა - ემუშავათ ა. ქორიძის ლაბორატორიაში, განპირობებული იყო იქ წარმოებული კვლევების აქტუალობით და მრავალსახეობით.



ავთანდილ ქორიძე — 2009 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი;

1977 წლიდან 2013 წლამდე მუშაობდა ა. ნ. ნესმეიანოვის სახელობის ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტის მეტალორგანული კლასტერების ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლად, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად და ლაბორატორიის გამგედ;

2001-2009 წლებში პარალელურად იყო თსუ-ის მეტალორგანული ქიმიის ლაბორატორიის გამგე;

1957- 1962 წლებში სწავლობდა ი. მ. გუბკინის სახელობის მოსკოვის ნავთობქიმიის და გაზის მრეწველობის ინსტიტუტში; 1965-1968 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი;

1969 წლიდან არის ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (თემის დასახელება: „ზოგიერთი აზოტშემცველი ფეროცენის ნაწარმების და მათ საფუძველზე პოლიმერების სინთეზი“);

1988 წლიდან არის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (თემის დასახელება: „მეტალორგანული კარბკათიონების სტაბილიზაციის პრობლემა და მაგნიტური იზოტოპების რკინა - 57 და ოსმიუმ - 187 გამოყენება მეტალორგანულ ქიმიაში“);

1991 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა პროფესორის წოდება სპეციალობით „ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმია“.

არის 130-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, მათ შორის ამერიკის ქიმიური საზოგადოების, ინგლისის სამეფო საზოგადოების და საერთაშორისო წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. მისი შრომების ციტირების რიცხვი აღემატება 1400-ს.

ა. ქორიძის ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია ათი საკანდიდატო დისერტაცია. არის ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრი.

ავთანდილ ქორიძის სამეცნიერო ინტერესები საკმაოდ ვრცელია და მოიცავს მეტალორგანულ სინთეზს, გარდამავალ მეტალთა კლასტერებს, მეტალორგანულ კარბკათიონებს, ახალი თაობის პინსერულ კომპლექსებს, მცირე მოლეკულების აქტივაციას, ალკანების ფუნქციონალიზაციას, წყალბადის მიღებას ორგანული სუბსტრატებიდან, ჰომოგენურ კატალიზს; ბოლო პერიოდში მის ინტერესთა სფეროს წარმოადგენს აგრეთვე ბიოლოგიურად აქტიური, კერძოდ, ლეიკემიის საწინააღმდეგო თვისებების მქონე ნაერთების სინთეზი.

ავთანდილ ქორიძის და მისი თანაავტორების მიერ შექმნილია ალკანების დეჰიდრირების ახალი თაობის ჰომოგენური კატალიზატორები, მიღებულია ახალი ტიპის მეტალორგანული კომპლექსები, აღმოჩენილია ახალი გადაჯგუფებები, C-H და C-C ბმების წარმოქმნის და გახლეჩის რეაქციები რომლებიც მიმდინარეობს არაჩვეულებრივ რბილ პირობებში, პირველად გამოყენებულია ქიმიაში მაგნიტური იზოტოპების რკინა-57 და ოსმიუმ-187 ბმრ-ის სპექტროსკოპია. ამ კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში: Organometallics, Dalton Trans., J.Chem. Soc., Chem. Commun., Eur. J. Inorg. Chem., J.Organomet.Chem., და სხვ.

ავთანდილ ქორიძეს უწევს აგრეთვე წამყვან ჟურნალებში წარდგენილი სტატიების რეცენზირება. ამაზე მეტყველებს ამერიკის ქიმიური საზოგადოებიდან მიღებული სერტიფიკატი — CERTIFICATE OF APPRECIATION to Dr. Avthandil A. Koridze, „For your valuable contribution and dedicated service in peer review of manuscripts submitted to ACS journals”, სადაც აღნიშნულია ა. ქორიძის წვლილი როგორც რეცენზენტის და ავტორის, რომელიც სხვა მრავალ ქიმიკოს კოლეგასთან ერთად უზრუნველყოფს ACS-ს პუბლიკაციების მაღალ დონეს (most trusted, most cited, most read).

აღსანიშნავია, რომ ბ-ნი ავთანდილ ქორიძე მრავალი წლების განმავლობაში ცდილობდა მიეღო საშტატო თანამდებობა თსუ-ში — მისი სურვილი იყო ქიმიკოს-კოლეგებთან ერთად მოემზადებინა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, პირველ რიგში მეტალორგანული ქიმიის და ჰომოგენური კატალიზის დარგში. ეს თანამედროვე ქიმიური დისციპლინა ძალიან სწრაფად ვითარდება და მასზე დაყრდნობით შესაძლებელია ბევრი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა: ეს ეხება ენერგეტიკის, ეკოლოგიის, მედიცინის პრობლემებს და ზოგადად ცხოვრების დონის ამაღლებას.

2001 წელს ავთანდილ ქორიძეს მისცეს საშუალება დაეარსებინა თსუ-ში მეტალორგანული ქიმიის ლაბორატორია. 2002 წლიდან კი პრაქტიკულად ყოველი მისი პუბლიკაცია ქვეყნდებოდა საქართველოს, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ა. ნ. ნესმეიანოვის სახელობის ინსტიტუტის სახელით. იგი მუდმივად ცდილობდა დახმარებოდა ქიმიის დარგის განვითარებას საქართველოში — იზიდავდა გრანტებს (ISTC, CRDF, INTAS, NATO და სხვ.) — საზღვარგარეთიდან მიღებულ იქნა დაფინანსება რამდენიმე ასეული ათასი დოლარის რაოდენობით. ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობა.

ბოლო წლებში ავთანდილ ქორიძემ საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს, კერძოდ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაბრუნებოდა. იგი არ ფიქრობს რანგსა და ანაზღაურებაზე. ამბობს, რომ ბედნიერია, რადგან არაერთი მცდელობის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნდა საქართველოს და ქართულ საქმეს.

მისი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომელთა შრომები გამოქვეყნდება პრესტიჟულ ჟურნალებში. იგი ცდილობს დაინტერესოს სტუდენტები თანამედროვე მეცნიერებით — მეტალორგანული ქიმიით და მეტალოკომპლექსური კატალიზით.

უკანასკნელ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაავრცელა მოთხოვნა — პროფესორებს წარედგინათ მათ მიერ განხორციელებული „მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კვლევები და აღმოჩენები“. ავთანდილ ქორიძის აზრით, ასეთი კვლევები უნდა ეძღვნებოდეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ან ამა თუ იმ დარგის პრობლემებს და ამოცანებს, ახალი ცოდნის მოპოვებას. კვლევები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და შედეგები გამოქვეყნებულია დარგის წამყვან, ან მრავალპროფილურ პრესტიჟულ ჟურნალებში; პუბლიკაციებმა კი გამოიწვია სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი (ეს ინტერესი გამოიხატება სტატიების ციტირებაში, კვლევის შედეგების განხილვაში ცნობილი მეცნიერების მიმოხილვებში, მონოგრაფიებში, ან სახელმძღვანელოებში).

ავთანდილ ქორიძემ, მისი და თანაავტორების მიერ იმპაქტ ფაქტორის (IF) მქონე ჟურნალებში 130-მდე გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან, წარადგინა რამოდენიმე (23) ასეთი ნაშრომი, ისევე როგორც აღნიშნული სტატიების ციტირების რიცხვი. (ა. ქორიძე არის ყველა მოყვანილი სტატიის მთავარი ავტორი.)

ამ სტატიებიდან პროფესორი ქორიძე განსაკუთრებით გამოყოფს ორ პუბლიკაციას, რომლებიც იყო პირველი პუბლიკაციები მისთვის სრულიად ახალ სფეროში; მიუხედავად ამისა, მათში პრობლემა გადაწყვეტილი იყო.

პირველი მათგანი ეხებოდა ოსმიუმის და რუთენიუმის კარბონილურ კლასტერებში $M_3(CO)_{12}$ (M=Os, Ru) შიდამოლეკულური გადაჯგუფების მექანიზმს. ამ პრობლემაზე მუშაობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ტურინის და ნორთრიჯის (კალიფორნია) უნივერსიტეტებიდან. მრავალწლიანი კვლევების შემდეგ სამეცნიერო საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ამ მექანიზმის დადგენა შეუძლებელია. ავთანდილ ქორიძის პირველივე პუბლიკაციაში მეტალოკლასტერების დარგში ცალსახად, ორი მიდგომის გამოყენებით იყო ნაჩვენები, თუ როგორ ხდება CO ჯგუფების მიმოცვლა ოსმიუმის და რუთენიუმის კარბონილებში. ერთ-ერთი მიდგომა ითვალისწინებდა პირველად ოსმიუმ-187 ბმრ სპექტროსკოპიის გამოყენებას ქიმიაში. ჟ. Chem. Soc., Chem. Commun. 1981, 853-855 (IF 6.720). (ციტ. რიცხვი 48).

მეორე პრობლემას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა — იგი ეხება ალკანების, ნავთობის შემადგენელი ნაჯერი ნახშირწყალბადების, კატალიზურ დეჰიდრირებას უფრო ღირებული, უფრო გამოსადეგი ოლეფინების მიღებით. მსოფლიოში ამ პრობლემაზე მუშაობს ბევრი „ნობელის ხარისხის“ (Nobel – quality) მკვლევართა ჯგუფი. ავთანდილ ქორიძემ შექმნა ალკანების დეჰიდრირების ჰომოგენური კატალიზატორები, რომლებიც თავისი აქტიურობით აღემატება ყველა ცნობილ კატალიზატორს. მის პირველივე პუბლიკაციაში ჰომოგენური კატალიზის დარგში ნაჩვენებია, რომ ირიდიუმის ახალი ტიპის ე.წ. პინსერული კომპლექსები ავლენენ უპრეცედენტო აქტიურობას ალკანების დეჰიდრირებაში; ასევე პირველად მინიშნებულია ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ირიდიუმის პინსერული კომპლექსების აქტიურობას ალკანების კატალიზურ დეჰიდრირებაში. Organometallics 2006, 25, 5466-5476. (IF 4.126). (ციტ. რიცხვი 84). (კატალიზატორების ორიგინალობაზე მეტყველებს ასევე პატენტი: U.S. Patent, US 6,906,009, August 8, 2005). ამ ნაშრომმა სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია, რაც აისახა კვლევის შედეგების განხილვაში გამოჩენილი მეცნიერების Daniel G. Nocera (Massachusetts Institute of Technology), Alan S. Goldman (Rutgers University) და Maurice Brookhart (University of North Carolina), მიმოხილვებში (Chem. Rev. 2007, 107, 4022-4047; 2011, 111, 1761-1779). როგორც ცნობილი ამერიკელი პროფესორი კოლტონი (Kenneth G. Caulton, Indiana University) აღნიშნავს: „ა. ქორიძემ მიაღწია სრულიად განსაკუთრებულ პროგრესს ალკანების კატალიზურ დეჰიდრირებაში, და ეს აღიარებულია მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოების მიერ“.

ბოლო დროს ავთანდილ ქორიძემ დეტალურად შეისწავლა სპირტების კატალიზური დეჰიდრირება ირიდიუმის პინსერული კომპლექსებით (საყოველთაოდ აღიარებულია, რომ წყალბადი წარმოადგენს მომავლის ენერგომატარებლს, ხოლო სპირტებმა შეიძლება შეასრულონ წყალბადის კონტეინერის როლი); კატალიზატორებმა გამოავლინეს მაღალი ეფექტურობა მეორადი სპირტების დეჰიდრირებაში წყალბადის და კეტონების მიღებით; ცნობილი საუკეთესო კატალიზატორებისაგან განსხვავებით, შესწავლილი სისტემები არ საჭიროებენ ორგანული გამხსნელის გამოყენებას; პირველადი სპირტები განიცდიან დეჰიდრირებას/დეკარბონილირებას უკვე ოთახის ტემპერატურაზე, ეთანოლის შემთხვევაში გამოყოფილია ადრე უცნობი ინტერმედიატები, რამაც ახალი შუქი მოჰფინა ამ რეაქციის მექანიზმს. Organometallics 2013, 32, 1000-1015 (ციტ. რიცხვი 18).

ნათელია, რომ ასეთი კვლევების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვე ხელსაწყოების და სათანადო დაფინანსების გარეშე. ავთანდილ ქორიძე და მისი თანამშრომლები ყოველწლიურად წარადგენენ საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 2-3 პროექტს; უცხოელი ექსპერტები ხშირად ანიჭებენ პროექტებს ძალზე მაღალ შეფასებას, 98 ან 99 ქულასაც, მაგრამ პროექტები არ ფინანსდება. ბატონი ავთანდილი იმედოვნებს, რომ ფონდში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად ეს „ტრადიცია“ დაირღვევა.

ამ პირობებში საყურადღებო იყო უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2015 წლის მეცნიერების წლად გამოცხადება. ამ წელს პირველად გამოიყო საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტები. ავთანდილ ქორიძემ და მისმა თანამშრომლებმაც მიიღეს მცირე თანხა, რომელიც მოხმარდა 1 სტუდენტის დაფინანსებას და ქიმიური რეაქტივების შეძენას. თსუ-ის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ მომავალში საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების სისტემა უფრო დაიხვეწება და გრანტის თანხები გაიზრდება. ამ ეტაპისთვის რამდენიმე სტუდენტმა გამოთქვა სურვილი — მიიღოს მონაწილეობა კვლევებში ავთანდილ ქორიძის ხელმძღვანელობით.

„მსოფლიო დონეზე კვლევების წარმოება აამაღლებს თსუ-ის და ქვეყნის პრესტიჟს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს არა „ლიდერობა რეგიონში“, არამედ კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს წამყვან ცენტრებს შორის“ — მიიჩნევს პროფესორი ავთანდილ ქორიძე.

წიგნის თარო

რელიგიათმცოდნეობითი კრებული

სულ ახლახან თსუ-ის რელიგიათა ინტერდისციპლინური კვლევის ცენტრის ინიციატივითა და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ხელშეწყობით „რელიგიათმცოდნეობითი კრებული“ გამოიცა, რომელშიც, ძირითადად, რელიგიური ცხოვრების თეორიული პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებია თავმოყრილი. როგორც კრებულის შემდგენლები განმარტავენ, წიგნის ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ კრებულში შეტანილ წერილებში აქცენტირებულია თეორიული (რელიგიათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური, სოციოლოგიური და სხვა) საკითხები, რომელთა გაცნობაც, მეტ-ნაკლებად, დაეხმარება საზოგადოებას შეივსოს რელიგიათმცოდნეობის განათლების სფეროში არსებული დეფიციტი, რასაც ხშირად თან სდევს უარყოფითი შედეგები. წიგნში შესულია ცნობილი მეცნიერების და თეოლოგების: ზურაბ კიკნაძის, კახაბერ კურტანიძის, ზურაბ ჯაშის, ლელა ფირალიშვილის, დევიდ მორგანის, ანა მგალობლიშვილის და გეორგი მანძარიდისის პუბლიკაციები. კრებულის შინაარსზე და მნიშვნელობაზე გვესაუბრება ფილოსოფიის დოქტორი ზაზა ფირალიშვილი.

შურთხია გეროშვილი

— ბატონო ზაზა, დღეს რამდენად აქტუალურია კრებულში შეტანილ წერილებში წამოჭრილი საკითხები?

— თავისთავად უკვე მნიშვნელოვანია, რომ რელიგიათა შესახებ საუბარი სამეცნიერო დისკურსის ფარგლებში ხდება. სამწუხაროდ, ამგვარი გამოცემები ჩვენთან იშვიათი იყო. არადა, რელიგიური ცხოვრება აუცილებლად მოითხოვს რაციონალურ გააზრებას. თანამედროვე სამყარო ვერ იტანს მსგავს სფეროებში ირაციონალური ელემენტის სიჭარბეს. ამას რომ მძიმე შედეგები მოჰყვება, ვგონებ ყველანი დავრწმუნდით. მსგავსი მცდელობები სწორედ რაციონალური დამოკიდებულების გაძლიერებას უწყობს ხელს. ჩვენ ხომ გლობალურ სამყაროში ვცხოვრობთ და ვერსად გავექცევით მას. იგი უნდა გავიგოთ და შევისწავლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შურს იძიებს და გაგვრიყავს.

— იქნებ უფრო ვრცლად განმარტოთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს რელიგიათმცოდნეობითი განათლების დეფიციტს საქართველოში და რამდენად დაეხმარება მკითხველს ეს კრებული ამ დეფიციტის შევსებაში?.

— რელიგიური ცხოვრების სფეროში ქსენოფობია თითქმის მთლიანად განათლების, კერძოდ კი რელიგიათმცოდნეობითი განათლების დეფიციტს ეფუძნება. უკეთ უნდა გავეცნოთ ერთმანეთის რელიგიებს და მაშინ მეტად შევძლებთ, რომ გავიგოთ ერთმანეთის სურვილები და მისწრაფებები. ამის შემდეგ კი უკვე ჩნდება შანსი, რომ ერთად ცხოვრების ოპტიმალურ ფორმებზე შევჯერდეთ. ერთად ცხოვრება შეუძლებელი იქნება, ვიდრე ერთმანეთში მხოლოდ ბოროტებას ან ბოროტების მსახურებს დავინახავთ. რელიგიათმცოდნეობითი განათლება ადამიანს შველის - დაძლიოს ირაციონალური შიში სხვა აღმსარებლობის ადამიანის მიმართ; ეხმარება - კაცობრიობა მთელს მის მრავალფეროვნებაში აღიქვას. ეს სულაც არ ნიშნავს საკუთარი რწმენის დათმობას, არამედ, ეს, უბრალოდ, იმას ნიშნავს, რომ შენგან განსხვავებული მრწამსის ადამიანსაც აძლევ არსებობის უფლებას. მოგეხსენებათ, განსხვავებულის მიმართ შემწყნარებლობა ზედმიწევნით ქრისტიანული უნარია. უფრო კონკრეტულად ვიტყვი: ალბათ, გახსოვთ, რომ სულ რამდენიმე წლის წინ საკმაოდ ცნობილი პირები კათოლიკეებს, ორმოცდაათიანელებსა და სხვებს ერთიანად „იეღოველებს“ უწოდებდნენ. ასეთი უმეცრება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. უმეცრება და მისგან გამომდინარე სიხისტე ბევრ ბოროტებას განაპირობებს ჩვენს ცხოვრებაში.

— რა პრობლემებზეა საუბარი თქვენს სტატიაში?

— ჩემი წერილი ეძღვნება რელიგიათა სოციალურ დოქტრინასთან დაკავშირებულ ზოგ კონკრეტულ პრობლემას. მოგეხსენებათ, რომ ესა თუ ის აღმსარებლობა მნიშვნელოვნად ახდენს საზოგადოების სოციალური ცხოვრების მოდელირებას და სამეცნიერო ლიტერატურაში ეს უკვე დიდი ხანია, შესწავლის საგანი გახლავთ. ჩემს წერილში ვცდილობ იმის გარკვევას, თუ რა გავლენას ახდენს ქართული სოციუმის გამჟღავნების ფორმებზე ჩვენი რელიგიურობა. ამოსავალ ცნებად შრომის ცნება მაქვს აღებული. უფრო ვრცლად წერილის შინაარსს, დაინტერესებული მკითხველი, კრებულის საშუალებით გაეცნობა.

თემურ კობახიძის ახალი წიგნი

„აწმყო და წარსული, ორივე, ალბათ, მოცემულია მომავალში,
მომავლის შემცველი — წარსულია, ყველა დრო მარად აწმყოა“
ტომას ელიოტი

შურთხია გეროშვილი

XX-20 საუკუნის მოდერნისტი მწერლის ტომას ელიოტის პოეზია ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია შეიყვარა. ამიტომ, მისი შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის კარგი საჩუქარი იქნება თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორის, თემურ კობახიძის ახალი წიგნი: „ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა“, რომელიც გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა.

მოდერნიზმის ჩამოყალიბებას და განვითარებას კულტურაში და ხელოვნებაში უდიდესი ძვრები მოჰყვა, მან მთელი ევროპა მოიცვა. წარსულის ესთეტიკური ღირებულებების გადაფასებამ, რომელიც ამ მიმდინარეობის დამკვიდრებას თან ახლდა, უდიდესი გავლენა მოახდინა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში განვითარებულ პროცესებზე. ანგლო-ამერიკელი პოეტი ტომას ელიოტი სწორედ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, რომლის შემოქმედება და თეორიული წერილები უშუალოდ გამოხატავენ მოდერნისტული ესთეტიკის არსს, მთელი ლიტერატურული ეპოქის სულისკვეთებას.

„მოდერნისტული ლიტერატურა და, კერძოდ, ტომას ელიოტის თეორიული ნაწერები, მისი პოეტური შემოქმედება დიდი ხანია მაინტერესებს. წლების წინ კემბრიჯის, შემდეგ ლონდონის უნივერსიტეტებში ხანგრძლივი მივლინებებით ყოფნისას გამიჩნდა იდეა, დამეწერა ვრცელი მონოგრაფია ტომას ელიოტის შემოქმედებაზე, რომელიც წარმოაჩენდა არა მხოლოდ მისი პოეზიის, არამედ 20-30-იანი წლების ევროპული კულტურული ცნობიერების მთავარი ნაკადის ერთიან სურათს, როგორადაც მე ის წარმომედგინა. ანუ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამგვარი „პანორამული” ნაშრომის ცენტრში აუცილებლად უნდა მდგარიყო უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომელიც თავისი დროის შემოქმედებითსა და მსოფლმხედველობრივ პროცესებს განასახიერებდა. შედეგად დაიწერა წიგნი, რომელიც ეხება ტომას ელიოტს და მასთან ერთად, მთელ იმ დიდ ლიტერატურულ ეპოქას, რომელშიც მას მოუხდა მოღვაწეობა და რომელიც მე-20 საუკუნის მთელ პირველ ნახევარს მოიცავს“.

თემურ კობახიძის ინფორმაციით, მკითხველისთვის სიახლე იქნება ავტორის ხედვა და მეტი კონკრეტიკა მოდერნიზმთან დაკავშირებით, რომელიც ჩვეულებრივ უფრო ზოგადად განიხილება, როგორც სტილი, ან ეპოქისათვის დამახასიათებელი წერის მანერა. „ჩემს ნაშრომში შევეცადე განმემარტა და დამეკონკრეტებინა არა მხოლოდ მოდერნიზმის, როგორც ზოგად ევროპული ლიტერატურული მოვლენის არსი, არამედ დამეხასიათებინა მისი ბირთვი — მაღალი მოდერნიზმის მწერლობა და განმემარტა, კონკრეტულად რა საერთო ნიშნებით ხასიათდება მაღალი მოდერნიზმის ავტორთა შემოქმედება. წიგნში საუბარია იმაზე, თუ როგორ დაამკვიდრეს მოდერნისტული მწერლობის წარმომადგენლებმა თავისი დროის ახალი ესთეტიკური იდეალი, რომელიც, მეტ-ნაკლებად სახე შეცვლილი ფორმით, დღესაც აქტუალურია. წიგნის მიზანს შეადგენს ტომას ელიოტის, როგორც ინგლისურენოვანი მაღალი მოდერნიზმის წამყვანი ფიგურის წარმოჩენა და იმ კავშირების დადგენა, რაც მის პოეტურ შემოქმედებას დასავლური კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად აქცევს“.

როგორც თემურ კობახიძე ამბობს, მისი ახალი წიგნი განკუთვნილია ლიტერატორებისა და მკვლევარებისათვის, ასევე, სტუდენტებისა და მოდერნისტული ლიტერატურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. „ამ წიგნის წერისას სტიმული სწორედ სტუდენტებმა მომცეს, რომლებიც ბოლო დროს განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის გაცნობით. დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც მომავალში აკადემიურ კარიერას აირჩევს და ღირსეულად გააგრძელებს ევროპული და ანგლო-ამერიკული ლიტერატურის შესწავლის დარგში მოღვაწეობას“, — აღნიშნავს წიგნის ავტორი.

„კალკულუსი“ — პირველი სახელმძღვანელო მათემატიკური ანალიზის შესწავლის მსურველთათვის

2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს „კალკულუსს“ — სახელმძღვანელოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ამ წიგნის გამოცემა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ის ზუსტადაა მორგებული ბაკალავრიატის სტუდენტების სასწავლო გეგმას.

წიგნის ავტორები არიან თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი უშანგი გოგინავა, *ასოცირებული პროფესორები:* თეიმურაზ ახობაძე *და* თენგიზ კოპალიანი, *ასისტენტ-პროფესორები:* გივი ნადიბაიძე *და* ანა დანელია. *სახელმძღვანელოს რეცენზირება გაუწიეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებმა* გიორგი ონიანმა *და* ოთარ ჯოხაძემ.

მაია ტორაძე

იყო დრო, როცა მათემატიკური ანალიზი სტუდენტებისთვის არც თუ ისე სასიამოვნო საგანი გახლდათ, რადგან სკოლის მერხიდან უნივერსიტეტში მოსულ ახალგაზრდას ხვდებოდა ურთულესი მათემატიკური ამოცანებით დატვირთული პროგრამა, რისი დაძლევაც ბევრს უჭირდა. მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესი სამსაფეხურიანი გახდა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა), სახელმძღვანელოებიც შეიცვალა და სხვადასხვა საფეხურზე სწავლების მიზნებიც. განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა ბაკალავრიატი, რადგან მათემატიკური ანალიზი ამ საფეხურისთვის ძალიან რთული იყო და მისი საკითხების სრულად ამოწურვა 4-წლიან სასწავლო პროგრამაში ვერ ხერხდებოდა. სწორედ მაშინ დადგა საკითხი — შეცვლილიყო ეს საგანი უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული და მარტივად გასაგები გაცნობითი საგნით — „კალკულუსით“, რომელიც იქნებოდა წინა ეტაპი მაგისტრატურაში საგნის უფრო დაწვრილებით სასწავლად.

„კალკულუსის“ ავტორთა კოლექტივი (თეიმურაზ ახობაძე, უშანგი გოგინავა, თენგიზ კოპალიანი, გივი ნადიბაიძე, ანა დანელია) 7-8 წელია, ამ წიგნზე მუშაობს. მისი დახვეწა, შევსება, სტუდენტების მოსაზრებების გათვალისწინება წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, რათა წიგნი კარგად მორგებოდა ბაკალავრიატის დონეს და ასათვისებლად ადვილი ყოფილიყო. „მან გაიარა აპრობაცია სტუდენტებში და თითქმის მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ მაინც თავს ვიკავებდით, რადგან გვინდოდა მეტი მოქნილობა შეგვემატებინა სახელმძღვანელოსთვის, თუმცა, პროფესორ უშანგი გოგინავას ინიციატივით, წერტილი დავსვით. სახელმძღვანელოს გამოცემას ხელი შეუწყო ჩვენმა ფაკულტეტმა და უნივერსიტეტმა. წიგნი უკვე გამომცემლობაშია და მალე იხილავს დღის სინათლეს“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პროფესორმა თეიმურაზ ახობაძემ.

„კალკულუსის“ წინასიტყვაობაში ავტორები წერენ: „წიგნში ახსნილია მთელი რიგი ძირითადი დებულებები დამტკიცების გარეშე: რათა ზუსტ მსჯელობებს არ გაეძნელებინა მასალის გაგება, მოგვიხდა ხელმეორედ გაგვეაზრებინა ზოგიერთი სტანდარტული მიდგომა. ამასთან ხშირად ვიყენებთ მაგალითებს და ვიზუალურ მასალას სასწავლო მასალის აგებისას“.

უნდა ითქვას, რომ წიგნის შესწავლა არ მოითხოვს სპეციალურ მათემატიკურ განათლებას, გარდა საშუალო სკოლის დონეზე მათემატიკის ცოდნისა. სახელმძღვანელოს ახლავს სავარჯიშოები, ასევე მოცემული მაგალითებისა და ამოცანების პასუხები (ზოგ შემთხვევაში ამოხსნებიც), რაც კიდევ დამატებითი სტიმულია დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში

საგამოცდო ცენტრს „გეოანალიტიკა“-ს ISO საერთაშორისო აკრედიტაციის მოწმობა მიენიჭა

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ჩვენს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და თუ კარგად შევისწავლით და ეფექტურად გამოვიყენებთ ქვეყანაში არსებულ უამრავ ბუნებრივ ნედლეულს, ხელი შეეწყობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიური შესწავლა, მისი ქიმიური შემადგენლობის კვლევა და გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.

ამ მიზნის მიღწევა ქვეყანაში არსებული სანედლეულო ბაზის პოტენციალის შეფასებისა და მისი მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზეა შესაძლებელი. დღეს ამ მიმართულებით მუშაობს თსუ-ის შემადგენლობაში მყოფი კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომელმაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პროექტი განახორციელა და დღესაც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას. ინსტიტუტის სამეცნიერო მიღწევები პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების მიერ მრავალჯერ არის აღიარებული და დაჯილდოებული. რამდენიმე დღის წინ ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრს „გეოანალიტიკა“-ს Iშ საერთაშორისო აკრედიტაციის მოწმობა მიენიჭა. ეს დიდი საერთაშორისო აღიარება ინსტიტუტის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და უცხოელი ინვესტორების ნდობის ხარისხს გაზრდის და გაამყარებს.

როგორც კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი რევაზ კვატაშიძე აცხადებს: „Iშ საერთაშორისო აკრედიტაციის მოწმობა ინსტიტუტის კოლექტივის პროფესიონალიზმისა და მაღალი კომპეტენციის აღიარების გამომხატველია, რომელიც ერთი ორად გაზრდის ინსტიტუტის პრესტიჟსა და სტატუსს. დღესდღეობით, ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი საქართველოში ერთადერთ დაწესებულებას წარმოადგენს, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნისათვის აუცილებელი გამოყენებითი გეოლოგიის, მათ შორის, მინერალური რესურსების შესწავლასა და მათ ტექნოლოგიური დამუშავების პრობლემატიკაზე; გეოლოგიური გარემოს, მათ შორის, ლანდშაფტების გეოქიმიის შესწავლასა და გეოეკოლოგიურ კვლევებზე“.

დღეს ინსტიტუტის საქმიანობის, გეგმების, წარმატებებისა და პრობლემების შესახებ საუბრობს კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი რევაზ კვატაშიძე.

თამარ დადიანი

— ბატონო რევაზ, რამდენად მნიშვნელოვანია ISO სერთიფიკატის მიღება ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარებისათვის და რა პერსპექტივებს უსახავს იგი ინსტიტუტის სამომავლო საქმიანობას?

— ინსტიტუტს თავისი არსებობის განმავლობაში საკუთარი კვლევებით მოპოვებული აქვს მდიდარი ფაქტობრივი მასალა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებზე არსებული სხვადასხვა სახის სასარგებლო ნამარხების — ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების, არალითონური (ქიმიური მრეწველობის ნედლეული, სამშენებლო მასალები, მოსაპირკეთებელი ქვები, აგრონომიული მადნები) და სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის გეოლოგიის, მათი ქიმიური შემადგენლობისა და გადამუშავების ტექნოლოგიების თაობაზე.

ბოლო წლებში ინსტიტუტი თავისი საქმიანობით გასცდა კავკასიის ფარგლებს. ჩვენით დაინტერესდა საერთაშორისო ორგანიზაცია Business Initiative Directions (B.I.D), რომელმაც ინსტიტუტი მის მიერ შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხისათვის პრიზით (ოქროს ნომინაციაში) დააჯილდოვა. ეს პრიზი საზეიმო ვითარებაში გადმოგვეცა ლონდონში გამართულ შეხვედრაზე (2009 წ.). ამასთანავე ინსტიტუტს მიენიჭა ხმის უფლება ამ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამავე ორგანიზაციამ ინსტიტუტი 2010 წელსაც (აშშ, ჰიუსტონი) დააჯილდოვა სპეციალური პრიზით და იგი თავის მუდმივ წევრად აირჩია.

რამოდენიმე დღის წინ, ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრს — „გეოანალიტიკა“-ს, რომელიც ანალიტიკური და ტექნოლოგიური განყოფილებების ბაზაზე ჩამოყალიბდა, მიენიჭა ISO საერთაშორისო აკრედიტაციის მოწმობა, რომელიც ინსტიტუტის მთელი კოლექტივის ხანგრძლივი და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. აღნიშნული მოწმობის მიღება ნიშნავს საერთაშორისო აღიარებას, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ნდობას ინსტიტუტის საქმიანობის მიმართ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. უცხოური კომპანიების მიერ საჭირო აღარ იქნება სინჯების გაგზავნა სხვადასხვა ქვეყნების კვლევით ლაბორატორიებში, ადგილობრივი მინერალური ნედლეულის გამოსაკვლევად. ეს საერთაშორისო აღიარება მნიშვნელოვნად გაზრდის ინსტიტუტის სტატუსს, რაც ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

— მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევები მკვეთრად გამოხატულ გამოყენებით ხასიათს ატარებს. მაგრამ მისი რესურსების შესაძლებლობასა და საჭიროებაზე დღეს ნაკლებად საუბრობენ, როგორც სამთავრობო წრეებში ისე უნივერსიტეტის შიგნით...

— დღეისათვის, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი არის ერთადერთი სახელმწიფო გეოლოგიური ორგანიზაცია, სადაც მინერალური ნედლეულის გეოლოგიურ შესწავლასთან ერთად, ხორციელდება მისი ტექნოლოგიური და ქიმიურ-ანალიტიკური კვლევები. ასეთი კომპლექსური მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, წიაღით სარგებლობის სფეროში, სრულად და ეფექტურად გამოვიყენოთ ინსტიტუტის ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები.

საქართველო ფლობს მინერალური ნედლეულის მცირე და საშუალო მასშტაბის რამდენიმე ასეულ საბადოს. ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოტენციალის საორიენტაციო ღირებულება აღემატება რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს. სახელმწიფომ, რომ ამ სიმდიდრიდან მაქსიმალური მოგება ნახოს, აუცილებელია, ისეთი სპეციალიზირებული გეოლოგიური დაწესებულების არსებობა, როგორიცაა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. მხოლოდ ასეთი სამსახური შეძლებს მინერალური ნედლეულის თითოეულ სახეობაზე, თითოეულ საბადოზე მოამზადოს და საინვესტიციოდ წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია.

თუ არ განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკის შეუქცევადი ზრდა და სრულად არ ამოქმედდება ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოტენციალი, მაშინ როგორ გაუმჯობესდება ბიზნეს გარემო? სწორედ ამ პოტენციალის ამოქმედებისთვისაა საჭირო გეოლოგიური პროფილის ისეთი დაწესებულება, როგორიცაა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. სახელმწიფოს ხელშეწყობით განმტკიცდეს ის პოზიციები, რომლებიც ამჟამად გააჩნია მას და წინა აზიასა და შუა აღმოსავლეთში მოიპოვოს გამოყენებითი გეოლოგიის დარგში წამყვანი საბაზო სპეციალიზირებული ცენტრის სტატუსი. როცა მდიდარი უცხოური კომპანიები დაინახავენ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მინერალური ნედლეულის შემსწავლელ დაწესებულებაზე, მეტი საფუძველი ექნებათ სულ უფრო ხშირად მიმართონ ამ ინსტიტუტს წინადადებებით (შეკვეთებით) კონკრეტული საკითხების დამუშავების მიზნით. ისინი მეტი ნდობით მოეკიდებიან საქართველოს მიერ შეთავაზებულ წინადადებებს და გაუჩნდებათ მყარი მოტივაცია უფრო გაბედულად ჩადონ ინვესტიციები ჩვენი ქვეყნის მინერალური რესურსების ასათვისებლად.

— დღეს, როცა აქტუალურია მეცნიერების კომერციალიზაციის საკითხი, ცოტა გაუგებარია ის დამოკიდებულება, რასაც მთავრობა ამ ინსტიტუტის მიმართ იჩენს. უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს თუ არა სახელმწიფო საქართველოში ერთადერთი სპეციალიზებულ დაწესებულების საქმიანობით, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის მინერალური რესურსების შესწავლასა და მათი ტექნოლოგიური გადამუშავების პრობლემატიკაზე?

— ქვეყნის წიაღი და მასში განთავსებული სასარგებლო წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაა, მისი სიმდიდრეა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების გარანტია. ამდენად, წიაღით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირება და წიაღის გეოლოგიური შესწავლა, მონაცემთა ბაზების შექმნითა და მათი მუდმივი განახლების რეჟიმით, ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს.

წიაღით სარგებლობით სახელმწიფო რეგულირება აერთიანებს მართვას, ლიცენზირებას, აღრიცხვას და კონტროლს, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა განსაზღვრავდნენ.

წიაღით სარგებლობისა და წიაღის დაცვის პრობლემატიკა, მათ შორის მინერალურ-რესურსული პოლიტიკის საკითხები, არ შეიძლება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან განყენებულად იქნეს განხილული და მიშვებული თვითდინებას. ფაქტია და, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამჟამად საქართველოში არ არსებობს სერიოზული, გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი სამთავრობო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს: საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღისა და იქ არსებული რესურსების სახელმწიფო რეგულირების სფეროში ჩართვა; ეკონომიკური მნიშვნელობისა და კონიუქტურის გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფების განსაზღვრა და ამ ჯგუფებში შემავალი მინერალური ნედლეულის სახეობათა ნუსხების შედგენა; წიაღით სარგებლობის მთლიანად და მინერალური ნედლეულის ცალკეულ სახეობებთან დაკავშირებული საკითხების მომზადება და გადაწყვეტილების მისაღებად სათანადო მასალების წარდგენა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი.

აუცილებელია, ქვეყანაში სახელმწიფო გეოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოებისათვის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება ქვეყანაში არსებული გეოლოგიური გარემოსა და მინერალურ-რესურსული ბაზის მდგომარეობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა სახის გეოლოგიური შინაარსის საკითხების გადაწყვეტა.

— კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის სამეცნიერო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს პოტენციალი წარმატებით გამოიყენოთ კომერციული მიზნებისთვის. რამდენად იყენებს უნივერსიტეტი დღეს ამ შესაძლებლობას?

— სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კარგად არ აქვს გაცნობიერებული ის შესაძლებლობანი, რაც ინსტიტუტს გააჩნია. ამ პოტენციალს უნივერსიტეტი, ჯერჯერობით, სათანადოდ ვერ იყენებს.

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა დონეზე შესწავლილი 100-ზე მეტი საბადო და მადანგამოვლინება გააჩნია. ისინი ყველა აღმოჩენილია ყოფილი სსრკ-ის დროს. საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს თითოეული მათგანის თანამედროვე მეთოდებით შეფასება და შემდგომში მათი ფასის დადგენა. რიგი მადანგამოვლინებებისთვის საჭიროა დამატებითი გეოლოგიურ-საძიებო და საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარებისთვის შესაძლებლობების განსაზღვრა. დღეისთვის ბევრი საბადო, (როგორც მეტალური ისე არამეტალური), განსაკუთრებით ადრე ექსპლუატაციაში მყოფი მოითხოვს რევიზიას. ჩვენი ინსტიტუტის მყარი სასარგებლო წიაღისეულის სამეცნიერო კვლევითი განყოფილება ორიენტირებულია, სწორი მარკეტინგის საფუძველზე, მოახდინოს პირველი რიგის შესასნავლი კონიუქტურული სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიური ობიექტების შერჩევა და საინვესტიციოდ მომზადება. განყოფილებას გააჩნია შესაძლებლობა სხვა სამეცნიერო განყოფილებებთან ერთად მოახდინოს შერჩეული წიაღისეულის (მხედველობაშია როგორც მადნეული, ისე არამადნეული საბადოები) შეფასება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებული მეთოდების გამოყენებით. ასე შეიქმნება ქვეყნის მინერალურ-რესურსული ბაზა, რის შედეგადაც, მინერალურ რესურსებს მიეცემათ ზუსტი ღირებულებითი გამოსახულება, რასაც ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი პოტენციალი ათეულობით მილიარდი აშშ დოლარით გაიზრდება.

ინსტიტუტში წარმატებით ფუნქციონირებს საინჟინრო გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და გეოფიზიკური სამეცნიერო კვლევითი განყოფილება, რომელსაც შეუძლია სამშენებლო ობიექტებზე სრული საინფორმაციო პაკეტის მომზადება (ბურღვითი სამუშაოები, საინჟინრო-გეოლოგიური

მე-21 გვერდზე



ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში

საგამოცდო ცენტრს „გეოანალიტიკა“-ს ISO საერთაშორისო აკრედიტაციის მოწმობა მიენიჭა

მეოცე გვერდიდან

სამუშაოები, გეოფიზიკური სამუშაოები, მათ შორის სეისმოძიება, ელექტროძიება, გრავიმეტრიული ძიება და სხვ.). ასევე ტოპოგეოდეზიური სამუშაოების განხორციელება, სამშენებლო ობიექტებისთვის პროექტირებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის შედგენა, საპროექტო ობიექტების (რკინიგზის ხაზები, ავტობანები და საავტომობილო მაგისტრალები, სარწყავი სისტემები და ა.შ.) გასწვრივ არსებულ საბადოებზე სრული საინფორმაციო პაკეტის მომზადება, აღნიშნული საბადოების გადაფასება და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება.

ინსტიტუტი დამკვეთს მიაწვდის სრულ ინფორმაციას სამშენებლო ობიექტების გასწვრივ არსებულ მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე, ჩაატარებს გეოლოგიურ-გეოფიზიკური კვლევებს მეწყრულ, ღვარცოფულ და ეროზიული უბნების დასადგენად და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე საჭირო რეკომენდაციებს წარუდგენს დამკვეთს.

სილიკატებისა და საშენი მასალების სამეცნიერო კვლევითი განყოფილება მუშაობს ბუნებრივი არამადნეული მასალების (ქვიშა, თიხა, კირქვა და ა.შ), ბუნებრივი და ხელოვნური ფოროვანი შემავსებლების, ცემენტების, კირის, თაბაშირის, მოსაპირკეთებელი და საკედლე მასალების ფიზიკურ-მექანიკური და სამშენებლო ტექნიკური თვისებების განსაზღვრაზე, რომელთა საფუძველზეც ხდება მათი გამოყენების სფეროების დადგენა.

გეოეკოლოგიისა და გამოყენებითი გეოქიმიის სამეცნიერო კვლევითი განყოფილებას შეუძლია აწარმოოს შემდეგი სახის კვლევები: გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, საველე კვლევები, კლიმატი და მეტროლოგია, გეომორფოლოგია, ბიოლოგია და გეოლოგიური რისკ-ფაქტორი, ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობა, ჰიდროგეოლოგია და ზედაპირული წყლის ხარისხი, ნიადაგები, დაბინძურება, ლანდშაფტი და ტერიტორიები. აქვე შეუძლიათ მოახდინონ გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებების გატარების გეგმა შეიმუშაონ.

სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების და ჩამდინარე წყლების სამეცნიერო კვლევითი განყოფილების ბაზაზე ხდება აგრეთვე არამადნეული და მადნეული წიაღისეულის (ოქრო, სპილენძი, პოლიმეტალები, ტყვიათუთია, რკინა, მანგანუმი, ბარიტი, კალციტი მინდვრის შპატები, კვარცის ქვიშა, ღორღი და სამშენებლო ქვიშა, ფაიფურის ქვა, ცარცი, თიხა, ქვანახშირი, დარიშხანი, ლითიუმი და სხვა იშვიათი მეტალები და ა. შ) გამდიდრების ტექნოლოგიის დამუშავება (დამსხვრევა, მორეცხვა, გრავიტაციული გამდიდრება, ელექტრომაგნიტური და ელექტრული სეპარაციები, ფლოტაცია, გამოტუტვა, ქიმიური გამდიდრება) და საორიენტაციო ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლები.

ტესტირების აკრედიტირებული ცენტრი — გეოანალიტიკა ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს სთავაზობს მინერალურ ნედლეულში, მადნებში და გადამუშავების პროდუქტებში, აირებში, ნიადაგებში და ორგანულ ნივთიერებებში ცალკეული კომპონენტების განსაზღვრას და მათ კომპლექსურ ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზს. მინერალური ნედლეულის და მოდიფიცირებული პროდუქტების თერმულ, რენტგენოსტრუქტურულ ანალიზს (JCPDS სისტემით); აქვე შეგიძლიათ სასმელი წყლებისა და ნიადაგების სანიტარულ მიკრობიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზების ჩატარება მოქმედი სახელმწიფო სტანდარტებისა და მეთოდური მითითებების შესაბამისად.

ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია იმისა, რისი შესაძლებლობაც ინსტიტუტს დღეს გააჩნია. მისი საქმიანობით დაინტერესებულია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოური ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ კვლევებსა და წარმოდგენილ რეკომენდაციებში არცთუ უმნიშვნელო თანხა გადაიხადონ. ეს თანხა არა მხოლოდ ინსტიტუტის ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას მოხმარდება, არამედ სასიკეთოდ წაადგება უნივერსიტეტის ბიუჯეტსაც.

— გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუციური მოდელის ჩამოყალიბება კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება. ეს სფერო კომპლექსური პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას, და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად საკმაოდ სერიოზული სამუშაოების ჩატარებაა საჭირო. თქვენ რა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?

— მსოფლიოს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში წიაღით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და იგი ხორციელდება მხოლოდ ამ სფეროში შეწონილი და დასაბუთებული პოლიტიკის საფუძველზე. სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმა არ ნიშნავს ბიზნესის ხელშეწყობას, მით უმეტეს ისეთ სფეროში, როგორიც გეოლოგია და წიაღით სარგებლობაა. ამის მაგალითია ის, რომ გეოლოგიური საქმიანობის სალიცენზიო რეჟიმის გაუქმების შემდგომ, გეოლოგიური დასკვნის გაცემა შეუძლია ნებისმიერ საწარმოს, რაც თავის მხრივ, განაპირობებს სპეციალური გეოლოგიური სამუშაოების არასრულფასოვნად და ზედაპირულად, რიგ შემთხვევაში კი, ფორმალურად ჩატარებას. ამის შედეგად, ვღებულობთ არასრულყოფილი დასკვნების გაცემას და არასწორად დაგეგმილი პროექტების (მათ შორის სამშენებლო) შედგენას, შემდგომ კი, მათ განხორციელებას.

აუცილებლად მისანიშნებელია ისიც, რომ წიაღით სარგებლობის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ საბადოების დამუშავება, არამედ ნებისმიერი ტექნოგენური ქმედება, რომელიც წიაღის მთლიანობას არღვევს. ამდენად წიაღით არასწორი სარგებლობა, გარკვეული ნორმების დაუცველობა იწვევს შეუქცევადი სტიქიური (მეწყერი, ზვავი, სელური მოვლენები, მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი რეზერვუარების დაბინძურება და მრავალი სხვ.) მოვლენების განვითარებას და რთულ ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნის.

90-იანი წლებიდან ამ სფეროში საკმაოდ ბევრი ხარვეზი იყო, რაც უკანასკნელ პერიოდში გააღრმავა სახელმწიფოს მმართველობის სტრუქტურებში წიაღის შემსწავლელი დარგის — გეოლოგიის, ფაქტობრივად, გაქრობამ.

ამგვარად ირკვევა, რომ კონსოლიდირებული სახელმწიფო დაწესებულების გარეშე სახელმწიფო რეგულირება წიაღით სარგებლობისა და წიაღის დაცვის სფეროში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვერ იქნება სრულყოფილად უზრუნველყოფილი.

— ხელისუფლებამ თუ იცის რა ბუნებრივ რესურსს ფლობს დღეს ქვეყნის მასშტაბით?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენს ქვეყანაში აღრიცხულია მინერალური ნედლეულის რამდენიმე ასეული საშუალო და მცირე საბადო და მადანგამოვლინება, რომლებიც ელიან ექსპლუატაციას. პირველი, მიახლოებით გაკეთებული შეფასებებით, ამ საბადოების ფარგლებში განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის ჯამური ღირებულება ათეულობით მილიონ დოლარს შეადგენს, მაგრამ ეს საბადოები აღმოჩენილი და აღწერილია საბჭოთა კავშირის პირობებში, როდესაც ორიენტაცია იყო აღებული მსხვილ ობიექტებზე. ამდენად, მათი შესწავლის მეთოდოლოგია არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით, ქვეყნის მინერალურ რესურსული პოლიტიკის კონცეფციის საფუძველზე, 2 ტომად მომზადებულია მასალები, რომლებიც საჭიროებენ კონკრეტიზაციას, დაზუსტებას და მარაგების დამტკიცებას სახელმწიფო კომისიაში. რატომ სახელმწიფო კომისიაში? რადგან თუ სახელმწიფომ არ წარადგინა დასაბუთებული, საიმედო და დამაჯერებელი მასალები ამა თუ იმ რესურსის არსებობის თაობაზე, მისი მოცულობის რაოდენობის, ხარისხის, წოლის ფორმებისა და სხვა გარემოებების შესახებ, არც ერთი, ელემენტარულად ჭკუათამყოფელი ინვესტორი არ მოინდომებს რაიმე სერიოზული ინვესტირების განხორციელებას. სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ამ მხრივაც ძალზედ არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით არა ერთი სპარსული პიესა გაცოცხლდა ქართულ სცენაზე

27 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის“ ორგანიზებით გაიმართა პროფესორ გულიკო მამულაშვილის საჯარო ლექცია „სპარსული თეატრი“.

ქალბატონი გულიკო მამულაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის უძლიერესი სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი სამეცნიერო მონოგრაფიები ირანული კულტურის კვლევაში გზამკვლევი შრომებია. უნდა ითქვას, რომ ქალბატონი გულიკო საქართველოში აღმოსავლური თეატრალური ხელოვნების ფუძემდებელია. თავის დროზე სახელოვანი რეჟისორის, ბატონი დოდო ალექსიძის თხოვნით დაინტერესდა სპარსული თეატრით და მას შემდეგ ამ სფეროს კვლევას წლები და არაერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. ქართულ თეატრალურ სფეროსთან მისი დაახლოება კი თეატრის პატრიარქის, ბატონი დიმიტრი ჯანელიძისა და გიზო ჟორდანიას წყალობით მოხდა.

ქართულ რეალობაში შედარებით ნაკლებად შესწავლილი სპარსული თეატრის ისტორია და გენეზისი, მისი ტრანსფორმაცია ქართულ სინამდვილესთან, სწორედ ქალბატონი გულიკოს შრომებით გახდა ცნობილი.

მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით არაერთი სპარსული პიესა გაცოცხლდა ქართულ სცენაზე და სპარსული თეატრის ვიზიტები დაიგეგმა საქართველოში. მათ შორის ცნობილი „შაჰ-ნამეს’ გაცოცხლება ქართულ სცენაზე ქალბატონი გულიკოს დამსახურებაა.

გულიკოს მამულიშვილური საქმის ჩამონათვალში საინგილოს ქართველი მოსახლეობისთვის ქართულ თეატრალურ კულტურასთან ზიარებაცაა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მისი ხელმძღვანელობით, საინგილოს, სოფელ ალიბეგლოს (ისტორიული ქათმისხვი) ქართული სპექტაკლებით თეატრალური დელეგაცია ესტუმრა. ქალბატონი გულიკოს ხელმძღვანელობითა და თაოსნობით შეიქმნა სოფელ ალიბეგლოს თეატრალური დასი. მას ადგილზე ანზორ დოლენჯაშვილი ხელმძღვანელობდა.

ქალბატონი ნათელა ურუშაძის თქმით, პროფესორი გულიკო მამულაშვილი „აღმოსავლური თეატრალური ხელოვნების პიონერია“.

მისი დამსახურებაა თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ირანული თეატრის ჩართვა, რამაც მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა ეს ღონისძიება. ამ ნაბიჯებმა კი ბიძგი მისცა ირანული დასების ვიზიტებს საქართველოში, რაც ორმხრივ კულტურულ ურთიერთობებს კიდევ უფრო აღრმავებს.

მისივე ინიციატივით თბილისს ეწვია ცნობილი ირანელი რეჟისორი ბეჰრუზ ღარისბფური. მისი მოღვაწეობა და თოჯინების თეატრი, არა მხოლოდ ირანული საზოგადოებისთვისაა ცნობილი.

ქალბატონ გულიკოს მიღებული აქვს არაერთი მადლობის წერილი, სიგელი თუ ჯილდო თავისი მოღვაწეობის გზაზე. იგი ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა 2003 წელს „წლის ქალბატონად“

აღიარა საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის.

ქალბატონი გულიკო საქმისადმი უდიდესი სიყვარულითა და შესაშური ახალგაზრდული შემართებით დღემდე აგრძელებს საქმიანობას.

ჩვენ კი ჩვენი მხრივ ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს.

თსუ-ის „საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი“

სტუდ-ეტიკეტი

№17

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

თსუ ჰარვარდის ბიზნეს სკოლის აფილირებული უნივერსიტეტი გახდა

თსუ ჰარვარდის ბიზნეს სკოლის აფილირებული უნივერსიტეტი გახდა. შედეგად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ახალი არჩევითი საგანი „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ დაემატება, რომელიც ჰარვარდის ბიზნეს სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტში იკითხება და მისი ზუსტი ანალოგი იქნება. თსუ-ის სტუდენტები ზუსტად იმ მეთოდოლოგიით, ლიტერატურითა და მაგალითებით ისწავლიან, როგორც ჰარვარდში. საგანს ეკონომიკის დოქტორი, თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭარაია წაიკითხავს, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰარვარდის ბიზნეს სკოლის სააპლიკაციო ცენტრში წარმატებით წარადგინა და შესაბამისი ტრენინგები გაიარა. ლექციები ინგლისურ ენაზე ჩატარდება. დეტალებზე ვახტანგ ჭარაიას *ვესაუბრეთ.*

ნატო ოგოლაძე

— რას ნიშნავს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის აფილირებული უნივერსიტეტი, რა დამატებით შესაძლებლობას აძლევს თსუ-ს ეს სტატუსი?

— ჰარვარდის ბიზნეს სკოლასთან აფილირებული უნივერსიტეტის სტატუსი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ თსუ-ში წავიკითხოთ ზუსტად ის საგნები, რაც ჰარვარდის ბიზნეს სკოლაშია. ამ შემთხვევაში საუბარია „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკაზე“. ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და რაც მთავარია, ამ საგანს ხელმძღვანელობს პროფესორი მაიკლ პორტერი — ამ დარგის ფუძემდებელი.

— ეს საგანი ოფიციალურად შევა თსუ-ის სასწავლო პროგრამაში?

— საგანი ინგლისურენოვანია და ამიტომ არჩევითი იქნება. ჩვენი კანონმდებლობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქართულენოვან პროგრამაზე სავალდებულო საგანი უცხო ენაზე იკითხებოდეს. თუმცა, ეს გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. მთავარია, რომ საგანი თსუ-ის სასწავლო პროგრამის ნაწილი გახდება და ვისაც სურვილი ექნება შეძლებს მის შესწავლას მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურებზე.

— თსუ-ის სტუდენტებს ჰარვარდის ბიზნეს სკოლასთან კონტაქტის საშუალება მიეცემათ?

— ეს პროგრამა არ იძლევა სტუდენტების ჰარვარდში გაგზავნის საშუალებას, თუმცა სტუდენტები ამ საგანს ზუსტად იმ პროგრამითა და სასწავლო ლიტერატურით გაივლიან, როგორიც ჰარვარდის ბიზნეს სკოლაშია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამერიკელებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან საუკეთესო ბიზნეს-ქეისები აქვთ შესწავლილი, განხილული და რეკომენდაციებით თანდართული. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის და ცალკეული კლასტერების შესწავლის საშუალებას გაძლევენ. ამ ინფორმაციასთან წვდომა უსასყიდლოა. გარდა ამისა, ჰარვარდის ბიზნეს სკოლასთან აფილირებულ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს კვლევები და ამ უახლესი ნაშრომების გაცნობაც სისტემატურად მოხდება. ვისაც აინტერესებს ახალი თანამედროვე სტანდარტებით სწავლა, ახალი თეორიული პრაქტიკული ცოდნის მიღება კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის თემაზე ახალი საგანი ამის საშუალებას იძლევა.

დირიჟორი და მოჭიკჭიკე მერცხალი, რომელიც გაზაფხულს ელოდება

თამარ უმფრიანი

1992 წლის 11 ოქტომბერს მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში უნიკალური მოვლენა დაფიქსირდა — საქართველოში პარლამენტის თავმჯდომარე პირდაპირი კენჭისყრით აირჩიეს. თუმცა, ლორთქიფანიძეების ოჯახისთვის ეს დღე შესაძლოა კალენდრის ერთერთ გადახაზულ თარიღად დარჩენილიყო, რომ არა მათი ქვეყნიერებას მოვლენილი პირველი ვაჟიშვილი, რომელსაც, მისდა ბედად, ბიულეტენის ნაცვლად ლევანი დაარქვეს.

ქვეყნისთვის განსაკუთრებულ დღეს დაბადებული, თბილისის ძველი უბნებისთვის დამახასიათებელ მრავალეროვან იტალიურ ეზოში გაიზარდა. საშუალო განათლება ქართულ-გერმანულ გიმნაზიაში მიიღო და, როგორც თავად ხუმრობს, სკოლის დამთავრებისას დირექტორი ლევანისეული უღელიდან გათავისუფლდა, ანუ აღარავინ მოითხოვდა კონფერენციების ჩატარებას, სასკოლო კლუბების შექმნასა თუ უპარტიო პედაგოგებს.

სკოლის შიდა განაწესში ფუნდამენტური ცვლილებები ვერ შეიტანა, თუმცა სწორედ ამ პერიოდში შეიძინა ცხოვრების არაერთი თანამგზავრი — თანაკლასელები — ვისთან ერთადაც ბნელი, ნავთის სუნით გაჟღენთილი ,,90-იანები” გამოიარა. „თვალწინ მიდგას ჩემი კლასის დამრიგებელი, რომელსაც ხელში კლასის სია უჭირავს და კითხულობს: დღეს ნავთი რატომ არ მოიტანეთ?“ — ამბობს ლევანი და ამატებს, რომ მათი მეგობრობა მსგავსი მოგონებების ფონზე მყარი და შეუცვლელია.

თანატოლების უმრავლესობისგან ინტერესთა სფეროთი გამოირჩეოდა. უყვარდა ისტორია და გეოგრაფია, განსაკუთრებით XIX საუკუნის საფრანგეთი, გერმანია და უახლესი პოლიტიკური მოვლენები. X კლასში პოლიტიკური მეცნიერების, როგორც ცალკე მიმართულების, არსებობის შესახებ შეიტყო და სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ საკუთარ ტიტულებს სახელმწიფო უნივერსიტეტის წითელი დიპლომიც შემატა. წელს, უკვე დიდი ალბათობით, მაგისტრის კვლავ წითელ დიპლომს დაუფლება და, როგორც თავად ხუმრობს, დამსახურებული ტაქსისტის ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს.

თვითკრიტიკა და სარკაზმი ლევანის პიროვნების ხოტბაშესასხმელი თვისებაა. ხშირად ხუმრობს საკუთარ წონაზე: „მომერიდა ამხელა სანაპიროზე ჩამოსატარებელი დათვივით არსებას, მისნაირი მშვიდი ადამიანისთვის მეთქვა, რომ სურათის გადაღება მინდოდა“, — წერს საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე მანანა მენაბდისადმი მიძღვნილ პოსტში. ასევე მხიარულად მოგვითხრობს იმ სერიოზულ პრობლემებზე, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებთან შეხვედრისას აწყდება.

სანამ მისი თანაკურსელები და მეგობრები უკვე მერამდენე კონფერენციას ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, იგი ტრენინგებს და „ვორქშოპებს“ მართავს ბოლნისში, ჭიათურასა თუ ლანჩხუთში. ამ დროისთვის საქმიანი ვიზიტით საქართველოს 25 ქალაქი მოიარა. თითოეულ დასახლებაში ხვდება ადგილობრივ მოსახლეობას, გაუსაძლის სამუშაო პირობებში მყოფ მუშებს, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს, ანუ მათ, ვისი პრობლემებიც დღეს უმნიშვნელოვანესი, მაგრამ გადაუჭრელია. ამ საკითხების გაშუქებას კი ლევანი და მისი მეგობრები მოძრაობა „მწვანე მუშტის“ მეშვეობით ცდილობენ. მასში მემარცხენე ძალები და გარემოს დამცველები „სხვა საქართველოს“ ინტერესების დასაცავად ერთიანდებიან და ეს მათი გაერთიანება ეძღვნება ხალხს, ვისი პრობლემებიც არც ჩვენი მედიის ობიექტივსა და, მით უმეტეს, ვერც პოლიტიკის დღის წესრიგში ხვდება. მათი მიზანი კი მსგავსი თემების იმ ელიტამდე მიტანაა, რომლისთვისაც ქვეყნის დემოკრატიულობა და კეთილდღეობა ერთი ტელევიზიის ყოფნა-არყოფნაზე გადის.

სულ ცოტა ხნის წინ, რამდენიმე ახალგაზრდა მემარცხენე მკვლევართან ერთად კიდევ ერთ ახალ საქმეს ჩაუყარა საფუძველი და „ფაბიანური საზოგადოება“ დააარსა. მათი მთავარი საქმიანობის სფერო საქართველოს მემარცხენე ძალების ისტორიის შესწავლაა. უკვე გამოიცა ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის პირველი ტომი. 2018 წელს, პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილეზე კი, ქრესტომათიის ყველაზე მნიშვნელოვანი წერილებით დახუნძლული 1000 გვერდის გამოცემას გეგმავენ.

აღსანიშნია, რომ ლევანი არაჩვეულებრივად წერს როგორც მსუყე, პოლიტიკის ჭრილში მსჯელობითა და ანალიზით გაჟღენთილ ტექსტებს, ასევე მსუბუქ, იუმორნარევ ისტორიებს. მსგავს შემთხვევებს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გვიზიარებს და ხშირად არაერთ ადამიანს დღის განწყობასაც უქმნის. ამჟამად კი ჟურნალ „ცივიკუსი“-ს რედაქტორია, სადაც სამოქალაქო საკითხებზე ანალიტიკური, თეორიული პოლიტიკური მასალები იბეჭდება და თავად აქტიურად ცდილობს თითოეულ ნომერში ერთი კლასიკური ნაშრომი მაინც ითარგმნოს.

მისი ამჟამინდელი საქმიანობა შეგვიძლია უნივერსიტეტის სენატის ღირსეული წევრობით დავასრულოთ, სადაც მეგობრების დაჟინებული თხოვნით იყარა კენჭი. „მწვანე მუშტში“ იგი ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების, სენატში კი სტუდენტთა ხმაა. სხდომებზე სწორედ მათი მოთხოვნები და ინტერესები შეაქვს, იქიდან გამოსული კი ანგარიშს წერს და მიღებულ გადაწყვეტილებებს, ბიუჯეტსა და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს განიხილავს. „იქ შიგნით ერთი მსუქანი მერცხალი მეორე მერცხალთან ერთად ვჭიკჭიკებ. გაზაფხულამდე კი შორია“, — ამბობს ლევანი.

მოჭიკჭიკედ არა, მაგრამ ოცნებებში თავს დირიჟორად არაერთხელ წარმოიდგენს. ნებისმიერი ჟანრის ხარისხიანი მუსიკის შემსრულებლის მადლიერია, რადგან თვლის, რომ მის გასაკეთებელს ასრულებენ და განგებას მართლაც რომ დაეჯილდოვებინა მუსიკალური ნიჭით, საინტერესოა, სამოქალაქო აქტივიზმს დირიჟორის სმოკინგს თუ ანაცვალებდა.

ოცნებებს მიღმა კი რეალური ცხოვრებისეული მიზნებია, რომელთაც, ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება. ფიქრობს, რომ პოლიტიკურად საინტერესო რეგიონში დაიბადა, რაც შანსს აძლევს — საკუთარი კვლევებითა და ნაშრომებით მსოფლიოს ახალი სიტყვა უთხრას პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან. იმედოვნებს, რომ მაგისტრის ხარისხს დოქტორანტურა მოჰყვება, კარიერას კი პროფესორის ხარისხით უნივერსიტეტში გააგრძელებს. აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას დროდადრო საკუთარ კვლევებს შეაშველებს და, რაც მთავარია, კვლავ აქტიურად იქნება ჩართული სამოქალაქო აქტივიზმში.

ქალაქისაგან ცოტათი მოშორებულ დასახლებაში იდგება აგურის მყუდრო სახლი, ყველასათვის ღია კარით, დიდი ბუხრით, ბევრი წიგნითა და ლევანისეული სამყაროთი. გულის სიღრმეში და აბსტრაქციულ ოცნებებში კი საქართველო იქნება კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფო.

P.S. სტატიაში საუბარია ლევან ლორთქიფანიძეზე, რომელიც ამჟამად თსუ-ის მაგისტრანტია და სენატის წევრია.

ინოვაცია აბიტურიენტებისთვის

2016 *წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოხვედრის მსურველ აბიტურიენტებს სიახლე ელით. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის მე-11 სხდომაზე ერთერთ საკითხად განიხილეს ბაკალავრიატის ანკეტა/კითხვარის დამტკიცება. ანკეტაში შევიდა სიახლე, რომლის თანახმადაც, ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველ აბიტურიენტებს სამოქალაქო განათლების ჩაბარებაც შეეძლებათ.*

მოცემული საკითხი და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აბიტურიენტებისთვის, არამედ მთლიანად ფაკულტეტისთვის. როგორც ცნობილია, მიმდინარე სასწავლო წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეამცირა. ამას დაემატა ისიც, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გასულ წელს გამოაკლდა ერთ-ერთი წამყვანი და რაოდენობრივად ყველაზე დიდი მიმართულება — ფსიქოლოგია და ჩამოყალიბდა ახალი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აისახა ფაკულტეტის ბიუჯეტის შემცირებაზეც, რადგან ნაკლები სტუდენტი ავტომატურად ნიშნავს ნაკლებ შემოსავალს, თუმცა, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შემცირება რომ გარდაუვალი პროცესი იყო, ამაზე, სავარაუდოდ, არ უნდა ვიდავოთ. უკვე დიდი ხანია ჩვენი, სტუდენტების, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უნივერსიტეტში სწორედ სტუდენტთა რაოდენობის შემცირებაა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ გვიხდება ისეთ აუდიტორიებში ლექციებზე დასწრება, სადაც, მაგალითისთვის, 50 ადგილი არის, ხოლო კონკრეტულ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა რიცხვი 100 აჭარბებს. რეალურად, დღეს, უნივერსიტეტს არ ჰყოფნის ინფრასტრუქტურული რესურსები, რათა შესაბამისად უზრუნველყოს სტუდენტები.

რექტორის ბრძანებით, 2016-2017 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობა 1 000 სტუდენტით უნდა შემცირდეს. შესაბამისად, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შემცირება ასევე შეეხო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს. გასულ წელს ფაკულტეტმა მიიღო 490 პირველკურსელი, ხოლო მომავალ წელს ეს რიცხვი 210 სტუდენტი გახდება (რაშიც არ შედის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტების რაოდენობა). სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველ აბიტურიენტებს, როგორც ყოველთვის, არჩევითანუ მე-4 საგნად საშუალება ეძლევათ ჩააბარონ: ისტორია, გეოგრაფია და მათემატიკა. საბჭოს რიგით მე-11 სხდომაზე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სრულმა პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ წამოაყენა ინიციატივა, რომ არჩევით საგნებს დაემატოს სამოქალაქო განათლება. მსგავსი ინიციატივა გასულ სხდომებზეც ყოფილა დღის წესრიგში, თუმცა მისი მიუღებლობის არგუმენტები, ხშირ შემთხვევაში, ის იყო, რომ საჯარო სკოლებში დღეს სამოქალაქო განათლება ძალიან დაბალ დონეზე ისწავლება. ასევე, ერთერთ პრობლემად დასახელდა აბიტურიენტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. თუმცა, ბოლო სხდომაზე, აკადემიურმა პერსონალმა საკუთარი პოზიცია ვრცლად ჩამოაყალიბა, სტუდენტებმაც დავაფიქსირეთ საკუთარი აზრი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და საბოლოო ჯამში, მივიჩნიეთ, რომ პირველ ეტაპზე სამოქალაქო განათლებას მივცეთ მინიმალური კვოტა — 10 სტუდენტის ოდენობით, რაც შემდეგ წლებში სტიმულის მიმცემი იქნება სხვა აბიტურიენტებისთვის და, შესაბამისად, ამ საგნით დაინტერესებულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება.

სამოქალაქო განათლების ამ სახით შესვლას ბაკალავრიატის ანკეტა/კითხვარში მხარი დაუჭირა საბჭოზე დამსწრე 17 წევრიდან 10-მა და საკითხიც დამტკიცდა. 2016 წლის ეროვნულ გამოცდებზე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოსახვედრად, აბიტურიენტებს 3 სავალდებულო ძირითად საგანთან ერთად შეეძლებათ ჩააბარონ შემდეგი საგნები: გეოგრაფია — 80 სტუდენტი; ისტორია — 80 სტუდენტი; მათემატიკა — 40 სტუდენტი და (მთავარი სიახლე) სამოქალაქო განათლება — 10 სტუდენტი. შესაბამისად, აბიტურიენტებს უკვე შეუძლიათ დაიწყონ სამოქალაქო განათლების კუთხით მომზადება.

ტატო ირემაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

აკადემიკოს პეტრე მელიქიშვილის დაბადებიდან 165 წლისთავისადმი მიძღვნილი თსუ-ის სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო-სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საუნივერსიტეტო-სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება ტრადიციულად, ყოველწლიურად გაზაფხულზე მართავს. მასში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები.

წელს კონფერენცია განსაკუთრებულ ვითარებაში ჩატარდა. იგი მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის პირველი რექტორის — აკადემიკოს პეტრე მელიქიშვილის დაბადებიდან 165 წლისთავს.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებამ ორგანიზებულად დაიწყო რიგით 75-ე სამეცნიერო კონფერენციის მომზადება, შემუშავდა ერთიანი სამუშაო განრიგი, ფაკულტეტებზე ჩამოყალიბდა დარგობრივი სექციები და წინასწარ გამოიცა კონფერენციის პროგრამა, რომელშიც მითითებული იყო სექციების დასახელება, ჟიურის შემადგენლობა, კონფერენციის სამუშაო განრიგი (ჩატარების თარიღი, დრო, აუდიტორია), მომხსენებლებისა და მათი მეცნიერ-ხელმძღვანელების მონაცემები და წარმოდგენილი სტატიების სრული დასახელება.

კონფერენცია 14 ივნისს დაიწყო და 26 ივნისს დასრულდა. მას კონკურსის სახე ჰქონდა და ყოველ სექციას ჟიური ხელმძღვანელობდა, რომლის შემადგენლობაშიც უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები შედიოდნენ. სულ იმუშავა 54-მა დარგობრივმა სექციამ და მასში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა სტუდენტმა. ჟიურის მუშაობაში ყველა ფაკულტეტიდან მონაწილეობა მიიღო 200-მდე პროფესორმა.

25 ნოემბერს თსუ-ის I კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში მოეწყო სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის შრომების წიგნის პრეზენტაცია და კონფერენციაზე გამარჯვებული სტუდენტების (I, II, III ადგ.) საპატიო სიგელებით დაჯილდოების ცერემონია.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულს, რომელიც ყოველწლიურად გამოიცემა, ჩვენი აქტიური მცდელობით წელს მიენიჭა წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) და საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი (ISSN).

კონფერენციის დებულების თანახმად, I ადგილზე გასულ სტუდენტებს, რომელთა სტატიებიც დაიბეჭდა შრომების კრებულში, სიგელებთან ერთად საჩუქრად გადაეცათ აღნიშნული კრებულის თითო ეგზემპლარი.

რაც შეეხება თვითონ სამეცნიერო შრომების კრებულს, მასში წარმოდგენილი სტუდენტების სტატიები მეცნიერების სხვადასხვა დარგის აქტუალურ პრობლემატიკას ეხება. აღნიშნული ნაშრომები, გარდა იმისა, რომ მკაცრი კონკურენციის პირობებში გამარჯვებულია საუნივერსიტეტო კონფერენციაზე, აგრეთვე რეცენზირებულია შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ, ამიტომ საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა და თვალსაჩინოდ ასახავს იმ სამეცნიერო პოტენციალს, რომელიც უნივერსიტეტში დღესდღეობით არსებობს.

ცხადია, სტუდენტებისთვის, ეს პირველი გამოქვეყნებული ნაშრომებია, ამიტომ უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება გულითადად ულოცავს მათ ამ პირველ გამარჯვებას.

ტარიელ კვიციანი,
თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარე

ყველა კარგი წამოწყება გადამდებია...

22-24 ოქტომბერს ENOTHE-ს (European Network of Occupational Therapy in Higher Education) ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც წელს ქ. რუსეში (ბულგარეთი) გაიმართა, სადაც საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაციის (Ge-OTA - Georgian Occupational Therapists Association) მხარდაჭერით, საქართველოს და, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ მედიცინის ფაკულტეტის ოკუპაციური თერაპიის მიმართულების II კურსის ორი სტუდენტი — ნაზიბროლა ქაჯაია და თამარ რეხვიაშვილი ლექტორთან, ქეთევან ტალახაძესთან ერთად.

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა თსუ-ში 2006 წლიდან მოქმედებს. სიტყვა „ოკუპაცია“ (Occupation) ნიშნავს საქმიანობას, ანუ, სხვაგვარად, ოკუპაციური თერაპია შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც საქმიანობითი თერაპია. შესაბამისად, ოკუპაციური თერაპევტები ძირითად აქცენტს აკეთებენ ადამიანის მიზანმიმართულ საქმიანობებში ჩართულობით მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხარისხის გაზრდაზე.

ნაზიბროლა ქაჯაია, თამარ რეხვიაშვილი, ჰანნეკე ვან ბრუგენი (ოკუპაციური თერაპიის პროფესიისა და სასწავლო პროგრამის დამფუძნებელი საქართველოში) და ქეთევან ტალახაძე

ნაზიბროლა ქაჯაია, სტუდენტი:

— მსგავს შეხვედრაზე პირველად ვიყავი. იქ იყვნენ ევროპისა და კანადის სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორები, ლექტორები და სტუდენტები. ძალიან საინტერესო იყო მათი გამოცდილების გაზიარება, იდეებისა და ხედვის გაცნობა. წლევანდელი კონფერენციის თემა იყო „განვითარების ევროპული წელი“ („European Year for Development“). კონფერენციის ფარგლებში ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები (ვორქშოპები), პრეზენტაციები, როგორც ზეპირი, ასევე, პოსტერის. ჩვენ წარვადგინეთ პროექტი „მწვანე საქმიანობები“, რომელზეც მოვამზადეთ პოსტერის პრეზენტაცია. პროექტი ეხებოდა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას, თუ რა ბუნებრივ რესურსებს ვიყენებთ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების დროს და რამდენად ეკონომიურად ვაკეთებთ ამას; ასევე, რისი გაკეთება შეიძლება ხარჯების მინიმალიზირებისთვის. პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები. შევადგინეთ კითხვარი, რომელიც საკუთარი ყოველდღიური საქმიანობების გაანალიზებაში გვეხმარება და გავავრცელეთ სოციალურ ქსელში. კითხვარი ხელმისაწვდომია Facebook-ჯგუფში „მწვანე საქმიანობები/Green Occupations“, რომელიც სპეციალურად ამ პროექტის ფარგლებში შევქმენით და პერიოდულად იდება სადისკუსიო საკითხები და ინფორმაცია პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგების შესახებ. გარდა ამისა, საკუთარი ხელით დავამზადეთ ყუთი მაკულატურისთვის, რომელიც ჩვენს სასწავლო კორპუსში, დიღმის მასივში მდებარე მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობაში დავდგით. მაკულატურის დახარისხებასა და ტრანსპორტირებას ჩვენვე უზრუნველვყოფთ, ჩავერთეთ „პალიტრა მედია“-ს პროექტში „მაკულიტერატურა“ და ყოველ ჩაბარებულ კილოგრამ მაკულატურაზე ვიღებთ თითო „ნერგს“, რომლის გადაცვლაც შემდგომ შესაძლებელია სასურველ წიგნებში. ამჟამად გვაქვს უკვე 40 ნერგი, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ მაგალითით გვინდა წავახალისოთ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც, რომ საკუთარ კორპუსებშიც წამოიწყონ მსგავსი აქტივობები. კარგი იქნება თუ შემოგვიერთდებიან სოციალურ ქსელში, გაგვიზიარებენ იდეებსაც და საკუთარ წვლილს შეიტანენ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებასა და ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივად ხარჯვის შემცირებაში.

ნაზიბროლა ქაჯაია, ქეთევან ტალახაძე და მარია-ანტუანეტა მინისი (ENOTHE ვიცე-პრეზიდენტი)

ბექა და მარიამი ნაძვის ხეს წელს პირველად მორთავენ ერთად

ბექა დადეშქელიანი და მარიამ შაქარიშვილი, ერთი შეხედვით, „ჩვეულებრივი“ ოჯახური წყვილია, მაგრამ ორი სტუდენტის ოჯახური ცხოვრება, რომელიც მხოლოდ ოთხი თვის წინ დაიწყო, სავსეა საინტერესო მოვლენებით და თავგადასავლებით და ამ ამბავში ყველაზე კარგი ის არის, რომ ამ თავგადასავლების „შემქმნელები“ თავადვე არიან. ერთ ჭერქვეშ ყოფნამ ორივეს ცხოვრება შეცვალა, თუმცა, არ შეცვლილა მათი მისწრაფებები და საქმისადმი დამოკიდებულება. ამიტომ, მათი პირველი ახალი წელი ოცნებების ასრულების იმედით იქნება სავსე და ორივეს სჯერა, რომ, ჯადოსნურ ღამეს, ნაძვის ხესთან ჩათქმული ნატვრა და სურვილები შესრულდება, რადგან ისინი ამისთვის უკვე ყველაფერს აკეთებენ.

შურთხია ბეროშვილი

„სამი რამ არასდროს ბრუნდება უკან — დრო, სიტყვა, შესაძლებლობა! სამი რამ გამოავლენს ადამიანს — შრომა, პატიოსნება და მისწრაფება! იყო უნივერსიტეტელი — ეს პრივილეგია და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაა, როგორც საკუთარი თავის, ისე ოჯახისა და ქვეყნის წინაშე“, — ამ სიტყვებით მიმართა ბექა დადეშქელიანმა პირველკურსელებს ახალი სასწავლო წლის დაწყებისას და მას ამის თქმის უფლება ჰქონდა, რადგან თავად როგორც ამბობს, ყოველთვის ცდილობს, ამ პასუხისმგებლობით იცხოვროს. ამაში, რა თქმა უნდა, მარიამიც ეთანხმება — როგორც მეუღლე და, ამავე დროს, როგორც თანამოაზრე.

ბექამ და მარიამმა ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს. ბექა მაშინ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი იყო, სწორედ მისი ინიციატივით ფაკულტეტზე მრავალი საინტერესო პროექტი განხორციელდა. მარიამიც აქტიურად ჩაერთო თვითმმართველობის საქმიანობაში და სულ მალე კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის პოზიცია დაიკავა.

„თავიდან საერთო საქმე და ინტერესები გვაკავშირებდა, მალე მივხვდით, რომ ჩვენი მეგობრობა სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა და ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ. ოჯახური ცხოვრება დაბრკოლებას არ გვიქმნის ჩვენი გეგმების განხორციელებაში, პირიქით, ვეხმარებით და რჩევებსაც ვუზიარებთ ერთმანეთს, ამიტომ როდესაც რამე გეგმას დავსახავთ, ორივე ერთად მოვიაზრებით“, — ამბობს ბექა.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბექა და მარიამი წარმატებული, შემდგარი წყვილია და ამას მათი წარსული და ამჟამინდელი საქმიანობაც მოწმობს.

ბექამ წარმატებით დაამთავრა პირველი კლასიკური გიმნაზია, სადაც ასევე აქტიურად იყო ჩართული თვითმმართველობის საქმიანობაში და იმავე წელს გრანტით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. როგორც თვითონ ამბობს, ეტაპობრივად გაიარა განვითარების საფეხურები და ყველა პოზიციაზე ყოფნის დროს ცდილობდა საზოგადოებრივად სასარგებლო პროექტებში ჩართვას და მათ განხორციელებას. „დღეს თსუ-ის სენატის წევრი ვარ, რაც ასევე დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და ამ კუთხითაც ვცდილობ აქტიურად ჩავერთო უნივერსიტეტის მართვის პროცესებში“, — ამბობს ბექა.

მრავალ განხორციელებულ პროექტებს შორის ბექა დადეშქელიანი ახლახან დაარსებულ უისტონ ჩერჩილის სკოლასაც ასახელებს და, ამჟამად, სამთვიან პროექტს — „საქართველოს პარლამენტის მოდელირება“-ს, რომლის მიზანია საქართველოს პარლამენტის მუშაობის პრინციპების შესწავლა, საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება, კანონპროექტების შემუშავება და, ამავე დროს, პროექტი ითვალისწინებს ახალგაზრდების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბექას სამომავლოდ ბიზნეს-გეგმებიც აქვს, ერთ-ერთი მათგანი მშობლიურ კუთხეს — სვანეთს უკავშირდება. „გასაკვირი არ არის, რომ სვანეთი გამორჩეულად მიყვარს, ამავე დროს, ჩემი გვარი დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. უისტონ ჩერჩილის სკოლის პროექტის ფარგლებში, ახლო მომავალში, მე და ჩემი მეგობრები სვანეთში საგანმანათლებლო ცენტრის შექმნას ვგეგმავთ, რაც, ჩვენი აზრით, სვანეთის ახალგაზრდებისთვის კარგი საჩუქარი იქნება“.

ბექა ამჟამად თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების მაგისტრატურის სტუდენტია, სპეციალობად კონფლიქტის ანალიზი და მართვა აირჩია. პროფესიული ზრდა მისთვის ასევე მნიშვნელოვანია და მომავალში, რა თქმა უნდა, დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებასაც გეგმავს. „მე და მარიამს ბევრი გეგმა გვაქვს, თუმცა, ორივეს გვესმის, რომ, პირველ რიგში, კარგი განათლება უნდა მივიღოთ“, — ამბობს ბექა.

მარიამი მეუღლეს უმეტეს შემთხვევაში ეთანხმება და იმასაც „აღიარებს“, რომ ბექა ოჯახში „ლიდერია“. „ჩვენ მართლაც განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს, არასდროს ვჩხუბობთ და, თუ განსხვავებული აზრი გვაქვს, ვცდილობთ არგუმენტირებულად დავარწმუნოთ ერთმანეთი. სწავლა ჩემთვისაც მნიშვნელოვანია, თუმცა მეც აქტიურად ვარ ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. თსუ-ის თვითმართველობაში ჩემი საქმიანობა კულტურის დეპარტამენტში დაიწყო, სადაც ჩვენი ინიციატივით მრავალი ღონისძიება განხორციელდა, მათ შორის, წიგნების პრეზენტაციები. გამოცდილება მივიღე პიარის დეპარტამენტშიც და მომავალში, როდესაც ბექა თავის ბიზნეს-გეგმებს განახორციელებს, სიამოვნებით დავეხმარები“, — ამბობს მარიამი.

ბექა და მარიამი სწავლაში ხელს არ უშლიან ერთმანეთს, თუმცა, თუ რომელიმე დიდხანს მეცადინეობს, მეორეს ცოტა არ იყოს სწყინს „უყურადღებობა“, მაგრამ ამ დროს მარიამი ცდილობს თავისი „კულინარიული შემოქმედებით“ „შემოირიგოს“ მეუღლე. „ბექას ღომი, სულგუნი და კუბდარი უყვარს. მართალია, სანამ ოჯახს შევქმნიდით, არაფერი ვიცოდი, მაგრამ ბექას ხათრით, ნელ ნელა, ყველაფერს ვსწავლობ და გამომდის. თავისუფალ დროს ფილმების ყურება მიყვარს, ბექას — კითხვა (სხვათა შორის, თვითონაც წერს) და შემდეგ ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს შთაბეჭდილებებს. ერთმანეთის გვერდით ყოველი დღე საინტერესოა“, — ამბობს მარიამი.

ბექა და მარიამი წელს პირველად მორთავენ ერთად ნაძვის ხეს, ახალ წელს ერთად ჩაუთქვამენ სურვილებს, შემდეგ კი უნდათ ბაკურიანში წავიდნენ მეგობრებთან ერთად, სადაც ბევრი, ბევრი თოვლია... ახალ წელს უხდება თოვლი...

როგორ „დადგება“ ახალი წელი სტუდენტებისთვის?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნელ-ნელა საახალწლო სამზადისი იწყება. სხვადასხვაგვარად ემზადებიან სტუდენტები, ადმინისტრაცია და თვითმმართველობის წარმომადგენლები. ცოტა ხანში უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მთავარი ნაძვის ხე დაიდგმება, საახალწლო ღონისძიებები კი თვის ბოლოსაა დაგეგმილი.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარის ტატო ირემაძის თქმით, ცენტრალური სტუდენტური თვითმმართველობა 25 დეკემბერს კლუბ Underwheel-ში საახალწლო წვეულების მოწყობას გეგმავს. წვეულებაზე დასწრება მკაცრად გაკონტროლდება და კლუბში შესვლას მხოლოდ თსუ–ის სტუდენტები შეძლებენ. მისივე თქმით, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ოთახში ექვსივე ფაკულტეტის თითოეულ სტუდენტს შეეძლება მისვლა და ბილეთის აღება.

ტატო ირემაძე აღნიშნავს, რომ საერთო წვეულების გარდა, ღონისძიებები ცალკეული ფაკულტეტებისთვისაც იგეგმება, რომლებსაც ამავე ფაკულტეტების თვითმმართველობის წევრები უწევენ ორგანიზებას. მაგალითად, 21–დან 25 დეკემბრამდე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის VI კორპუსს საახალწლოდ მორთავენ სტუდენტები, გაიმართება კონცერტი, სადაც ორგანიზატორები მოიწვევენ რამდენიმე მომღერალსა და DJ-ის, იქნება ნომინაციები და სპეციალური საჩუქრები გამარჯვებული სტუდენტებისთვის. გასული წლის მსგავსად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს ადმინისტრაცია სერტიფიკატებს გადასცემს.

სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით სტუდენტები აფიქსირებენ მოსაზრებებს, თუ რა სახის ღონისძიების/წვეულების/საღამოს გამართვას ისურვებენ საახალწლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ან სტუდენტური თვითმმართველობისგან. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას კლუბ Underwheel-ში დაგეგმილი წვეულების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, რადგან მათ უმრავლესობის მიერ გამოთქმული სურვილი სწორედ კლუბში წვეულების გამართვას ეხებოდა. სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ყველასგან დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით გეგმავენ საახალწლო განწყობის შექმნასა და წვეულების გამართვას. გარდა ამისა, გამოიკვეთა რამდენიმე სურვილი, რომლის შესრულებასაც სტუდენტები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ელოდებიან: მათ სურთ უნივერსიტეტში გამართულ კონცერტზე მოიწვიონ ჯგუფი „ბანი“ და „თსუ-გროდელა“, ასევე, ახალგაზრდების ნაწილი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას კოსტიუმირებულ საღამოში.

სტუდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც საახალწლოდ შეგროვებული თანხით სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდა სურთ. რამდენიმე სტუდენტმა კი სურვილი გამოთქვა, წინასაახალწლოდ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში მოეწყოს ექსკურსია.

სტუდენტთა საახალწლო მოლოდინები განსხვავებულია. მათ სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ ახალი წელი თსუ-ში, თუმცა სურვილი ერთია — უნივერსიტეტის ფარგლებში მხიარულად და დასამახსოვრებლად გააცილონ 2015 წელი.

თამთა ჭრიკიშვილი,
ანა მესხი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62